ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№216 (275) 16-23 აპრილი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ალექსანდრე ჭაჭია: “აგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა!”

როგორ მოქმედებდნენ საქართველოს ხელისუფალნი 2008 წლის აგვისტოს ოპერაციის დაწყებამდე, რას სთხოვდა სააკაშვილს რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და რა პასუხი გასცეს მას, – ამაზე «Кавказская политика»-ში საუბრობს რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სოციალური და ეროვნული ურთიერთობების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია.

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, დმიტრი მედვედევის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამდე, თქვენ რამდენიმეჯერ პრესის მეშვეობით მიმართეთ მიხეილ სააკაშვილს თხოვნით, რომ იგი შეხვედროდა რუსეთის პრეზიდენტს იმ საშინელების თავიდან ასაცილებლად, რომელიც შემდგომში მოხდა კიდეც. როგორ ფიქრობთ, რატომ არ იღო ყურად სააკაშვილმა თქვენი თხოვნა და როგორ აფასებთ საქართველოს პრეზიდენტის საქციელს?

– 2008 წლის 7 აგვისტოს მე თბილისიდან გავემგზავრე ბათუმში იმ განზრახვით, რომ რამდენიმე დღე გამეტარებინა ზღვისპირას. გზაში შემხვდა ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების კოლონები, მანქანები ჯარისკაცებით, რომლებიც მიემართებოდნენ ცხინვალისკენ. სურათი თითქოს ნათელი იყო, მაგრამ მაინც არ მჯეროდა, რომ სააკაშვილი ჩაიდენდა ამ სიგიჟეს. ვიმედოვნებდი, რომ ეს იყო რაღაც **«დაშინების აქციის»** მაგვარი, **«ნაცმოძრაობის»** მორიგი პიარაქცია.

მეორე დღეს ყველამ გაიგო ომზე. თბილისში დაბრუნების შესაძლებლობა უკვე არ მქონდა, ამიტომ პრესით მივმართე პრეზიდენტს და მოვუწოდე, შეეწყვიტა ეს სამარცხვინო თვითმკვლელური ავანტიურა. მე პირდაპირ განვაცხადე, რომ ამ სამხედრო მოქმედებებს მოჰყვებოდა არამარტო ჩვენი სასტიკი დამარცხება და ასობით ადამიანის სიკვდილი, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მხრიდან.

პარალელურად შევეცადე, დავკავშირებოდი ნაცნობებს სააკაშვილის გარემოცვიდან. პირველი ორი დღე ისინი მპასუხობდნენ, რომ ცხინვალი უკვე აღებულია და სულ მალე ოსები შეწყალებას გვთხოვენო, ხოლო მთელი მსოფლიო მიესალმება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მიმართულ ჩვენს ოპერაციასო.

შემდგომ, როდესაც ჩვენი ჯარისკაცების გვამები იხრწნებოდა თაკარა მზის ქვეშ, **«ნაციონალები»** ზეიმობდნენ **«ისტორიულ გამარჯვებას»** – მღეროდნენ და ცეკვავდნენ რუსთაველის გამზირზე. მერე თბილისისკენ მომავალი რუსული ტანკების შიშით პარალიზებულებს ხმა ჩაუვარდათ, მაგრამ, როდესაც მიხვდნენ, რომ პირადად მათ არაფერი ემუქრებოდათ, გონს მოეგენ და უწინდელი აპლომბით თავდაჯერებულად აცხადებდნენ, რომ მსოფლიო თანამეგობრობა მათ მხარეზე იყო, ხოლო რუსეთი ვერ გაბედავდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

პირადად მე სპეცსამსახურების თანამშრომელთა ალყაში აღმოვჩნდი. ისინი დაუფარავად უთვალთვალებდნენ ყოველ ჩემს ნაბიჯს. ამ დროს ინტერვიუები მივეცი რამდენიმე გამოცემას, რომლებშიც არა მხოლოდ სააკაშვილსა და **«ნაცმოძრაობას»**, არამედ პოლიტიკურ პარტიებს, ინტელიგენციას, საზოგადოებას მოვუწოდებდი გონიერებისკენ, მაგრამ ამაოდ. ბოლო ინტერვიუში ვურჩიე სააკაშვილს, როგორც სამარცხვინოდ დამარცხებულ მთავარსარდალს, თავი მოეკლა; აღსანიშნავია, რომ გაზეთმა ეს მასალა მიაწოდა მკითხველს სათაურით **«ჭაჭია ემუქრება სააკაშვილს მკვლელობით!»**. აგვისტოს ბოლოს ბათუმიდან გადავფრინდი სტამბოლში.

– ბატონო ალექსანდრე, დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებთ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს? შესაძლებელი იყო მათი თავიდან აცილება?

– მე მაშინაც და ახლაც ვთვლი, რომ აგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა! ის ფაქტი, რომ ამ მარიონეტებს აქეზებდნენ სისხლიანი სანახაობების ოკეანგაღმელი მოყვარულები, იმ მიზნით, რომ მოესინჯათ რუსეთის შესაძლებლობა ადეკვატური ქმედებებისკენ, **«ნაციონალებს»** ვერ ჩამორეცხავს იმ ასეულობით ადამიანის სისხლს, რომლებიც მსხვერპლად შეეწირნენ ამ ვერაგულ აქციას!

ამასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ომი იყო კანონზომიერი რგოლი საქართველოს მარიონეტული ხელისფლებისა და მისი პატრონების მიზანმიმართული პოლიტიკისა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ავტონომიებისგან გათავისუფლებას, ვინაიდან ავტონომიების არსებობა ხელს უშლიდა საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ან მისი წევრი ქვეყნების სამხედრო ბაზების განთავსებას.

– ამ მოვლენების შემდეგ თქვენ აგიკრძალეს საქართველოში ჩამოსვლა. დღეს ეს აკრძალვა ძალაშია?

– ოფიციალურად ჩემთვის არავის აუკრძალავს საქართველოში ჩამოსვლა, თუმცა მაგრძნობინებდნენ, რომ ჩემი ჩამოსვლა და საზოგადოებრივი აქტიურობა არასასურველია, მაგრამ მე არც მქონია ამის მცდელობა. საქმე ისაა, რომ მთელი ჩემი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა განპირობებული იყო ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების პოზიტიური გადაწყვეტის იმედით. პოლიტიკისგან მეტი არაფერი მჭირდებოდა. 2008 წლის აგვისტოში ეს იმედი დამემსხვრა და ამიტომ დავტოვე საქართველო.

ამა წლის 14 მარტს მე ჩამოვფრინდი თბილისში და სასიამოვნოდ გამიკვირდა, რომ მესაზღვრისთვის წარდგენილი პასპორტი ერთი წუთის შემდეგ დამიბრუნეს. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ეს პროცედურა, როგორც წესი, გრძელდებოდა 20-30 წუთს, ხანდახან კი ერთი საათითაც ჭიანურდებოდა, თუ ვერ უკავშირდებოდნენ იმ პირს, რომელსაც ჰქონდა უფლება ჩემი შემოშვების ან გასვლის ნებართვა გაეცა. ეს იყო ძალზე დამამცირებელი. მე, საქართველოს მოქალაქეს, მჭირდებოდა ვიღაცის ნებართვა საკუთარ ქვეყანაში შემოსასვლელად! მადლობა ღმერთს, ეს ფაშისტური წესები, რომლებიც მოქმედებდა ჩემთან დაკავშირებით ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან, გაუქმებულია!

– როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია ის პირველი ნაბიჯები, რომლებიც განახორციელა პრემიერმა ივანიშვილმა რუსეთთან დაკავშირებით?

– ამ ნაბიჯების ეფექტურობაზე ლაპარაკი ნაადრევია, ისინი უფრო სიმბოლური ხასიათისაა, მაგრამ უკვე კარგია, რომ ჩვენმა მმართველმა წრეებმა უარი თქვეს ბრიყვულ, აგრესიულ და შეურაცხმყოფელ რიტორიკაზე, მიაღწიეს გარკვეულ ეკონომიკურ შეთანხმებას, ასე თუ ისე გამოცოცხლდა კულტურული ურთიერთობებიც.

რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები აგრძელებენ უაზრო დემაგოგიას **«ნატოში მალე შესვლის»** თაობაზე, **«ევროკავშირში ინტეგრაციაზე»** და სხვა პოლიტიკურ ატრიბუტიკაზე, რომლიც დამახასიათებელია დასავლეთის თანამედროვე კოლონიებისთვის, მაგრამ რუსეთის მხარე ამას სათანადო გაგებით უნდა მიუდგეს. საქართველოში ხომ დამკვიდრდა რაღაც მახინჯი ორხელისუფლებიანობა, რომელსაც ამერიკელები თავგამოდებით იცავენ. ბიძინა ივანიშვილს, ძალიანაც რომ უნდოდეს (მე ამაზე ჯერ ვერ ვიმსჯელებ), არ შეუძლია გააკეთოს მკვეთრი მოძრაობები: პარლამენტშია **«ნაცმოძრაობის»** სოლიდური წარმომადგენლობა, არანაკლებ სოლიდურია **«ნაციონალებთან»** სულით მონათესავე პარტიების დეპუტაციაც, რომელიც ჯერჯერობით ივანიშვილის კოალიციაში იმყოფება, მაგრამ, **«ნაციონალების»** მსგავსად, მთლიანად კონტროლირებადია ამერიკელების მხრიდან.

ივანიშვილის პოლიტიკური ბაზა ძალზე მწირია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უმრავლესობას, სასამართლო სისტემას, რიგ წამყვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ძველებურად აკონტროლებს სააკაშვილის ჯგუფი. და ამ ყველაფრის უკან აშშ-ის ელჩის ფხიზელი თვალია. ივანიშვილი კარგად რომც აცნობიერებდეს (და მე მინდა, ამის მჯეროდეს), რომ ჩვენი მთავარი, სასიცოცხლო პრობლემები – კონფლიქტების დარეგულირება და ეროვნული ეკონომიკის შექმნა – პირდაპირაა დამოკიდებული რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაზე, ის მაინც იძულებულია, გაითვალისწინოს საქართველოში ჩამოყალიბებული ძალთა თანაფარდობა.

– ბატონო ალექსანდრე, თქვენ მშვენივრად იცით, რომ არც ერთი ქართველი არ შეურიგდება ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას. შეუძლია თუ არა საქართველოს, არც თუ ისე შორეულ მომავალში, გადაწყვიტოს ეს საკითხი რუსეთის იგნორირებითა და აშშ-ის, ევროპისა და ნატოს იმედზე ყოფნით?

– ჩვენ შეგვიძლია არ შევურიგდეთ ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, მაგრამ ამით ის ვერ გამთლიანდება. ოც წელზე მეტია, გამოვხატავთ **«შეურიგებლობას»** ნატოს, აშშ-ს, ევროკავშირის, მითიური დახმარებისა თუ აბსტრაქტული მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერისა და სხვა აბსურდული ილუზიების იმედით. საზოგადოება წამოეგო ხელისუფლების ამ ანკესზე, იმ ხელისუფლების, რომელიც ამგვარი ფრაზეოლოგიით ფარავდა კონფლიქტის დარეგულირების სურვილის უქონლობას და უუნარობას.

ჩვენ ვხედავდით, რომ წლების განმავლობაში ამ კონფლიქტების მოგვარების პრობლემებით დაკავებულნი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არავინ იცნობდა არც მოსკოვში, არც სოხუმში, არც ცხინვალში, თბილისშიც კი მათ მხოლოდ თანაპარტიელთა ვიწრო წრე თუ იცნობოდა! რა შედეგი უნდა მოეტანა მათ მოღვაწეობას?! სამწუხაროდ, მდგომარეობა ამ თვალსაზრისით ჯერ არ შეცვლილა.

ახალი ხელისუფლება დეკლარირებს თავის სწრაფვას დიალოგისკენ, მაგრამ ეფექტური დიალოგი, კონკრეტული წინადადებები, მოქმედების რეალური პროგრამები ჯერ არ ჩანს. მიაქციეთ ყურადღება: პოლიტიკის დასავლური ვექტორით დაკავებულნი არიან პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მთელი რიგი საპარლამენტო კომიტეტები, სპეციალურად შექმნილი მითიური **«ჩრდილოატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის»** სამინისტროები, ასობით გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობებისთვის არსებობს მხოლოდ რეინტეგრაციის სამინისტრო, რომლის მარტო დასახელებაც კი გამორიცხავს დიალოგს!

არაა გასაკვირი, რომ ამ სტრუქტურის **«დაძაბული მოღვაწეობის»** პროდუქტი გახდა მინისტრის მიერ გამოცხადებული რეცეპტი: ჩვენ ავაშენებთ ისეთ განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომ აფხაზები და ოსები თავად გვთხოვენ შემოსვლას საქართველოს შემადგენლობაშიო. ბუნებრივია, ასეთი მიდგომით პროგრესის მიღწევა შეუძლებელია.

ახლახან ქართულ პრესაში გამოვედი წინადადებით, რომ აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, რუსეთთან, მათ შორის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობები რეალურად ავიყვანოთ სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს რანგში. მე ვთვლი, რომ ამ უაღრესად საჭირო საქმისთვის აუცილებელია გამოვიყენოთ პრეზიდენტის პოსტი, რომელიც მალე გამოთავისუფლდება. ახალ პრეზიდენტს უნდა დაევალოს პოლიტიკის ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაწყვეტა.

თავისთავად, ეს უკვე აღარ იქნება ის კომფორტული თანამდებობა, რომელიც ევროპულ დედაქალაქებში უაზრო ხეტიალისა და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკის საშუალებას იძლეოდა. ახალ პრეზიდენტს მოუწევს ჩასვლა სოხუმში, გუდაუთაში, ცხინვალში; აუცილებლად – ვლადიკავკაზში, მაიკოპში, გროზნოში, ნალჩიკში, მახაჩკალაში და, რა თქმა უნდა, მოსკოვში.

თუ ეს იქნება მისაღები ადამიანი მიმღები მხარისთვის, მაშინ ის, როგორც მაღალი სახელმწიფო სტატუსის მქონე და კვალიფიციური გუნდის მყოლი პირი, პრემიერ-მინისტრთან მჭიდრო თანამშრომლობით შეძლებს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებით გარღვევას. გარღვევად მიმაჩნია საზღვრების გახსნა, საერთო ეკონომიკური და ჰუმანიტარული სივრცის შექმნა მუშახელისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილებით, კერძო საკუთრების უფლების საყოველთაო აღიარებით.

ესაუბრა ფრიდონ დოჩია

სახელგანთქმული აფხაზი პედაგოგ-განმანათლებელი ანდრია მაქსიმეს ძე ჭოჭუა

აფხაზეთის ღირსეული შვილები

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობარმა ნუგზარ სალაყაიამ მოგვაწოდა არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი **"ხალხი: დრო და ცხოვრება"**, რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.

რუბრიკით **"აფხაზეთის ღირსეული შვილები"**, ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

ანდრია ჭოჭუამ ჯერ კიდევ ცარიზმის მძიმე წლებში მოჰკიდა ენერგიულად ხელი აფხაზი ხალხის ზოგადი განათლების საქმეს. ეს საკმაოდ სახიფათო საქმე გახლდათ, რადგან ყოველი არასანქცირებული ქმედება მეფის რუსეთს იმპერიის ინტერესების შელახვად მიაჩნდა. ანდრიას კი ბრმად სწამდა ბუნებით შემოქმედი აფხაზი ხალხის განათლებისადმი სწრაფვისა, რომელსაც ხალხური ფოლკლორისა თუ მატერიალური კულტურის თვალსაჩინო ძეგლები ჰქონდა შექმნილი საუკუნეთა განმავლობაში. შესანიშნავი დემოკრატიული ტრადიციების შენარჩუნება კი მასებში განათლების მუხტის შეტანის გარეშე გაძნელდებოდა. სწორედ ამიტომ, ანდრია ჭოჭუას არაფერი დაუშურებია დასახული მიზნების განსახორციელებლად, რადგან საჭირო იყო მრავალი თაობის მიერ შექმნილი საუკეთესო კულტურული და ყოფითი ტრადიციების შენარჩუნება. ამ პატრიოტული გრძნობებით აღსავსე ანდრია აფხაზი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის მცირე ჯგუფთან ერთად შეუდგა ხალხის განათლების საქმეს, ქმნიდა სოფლებში დაწყებით და საშუალო სკოლებს, ხელს უწყობდა სასწავლო დაწესებულებებში აფხაზური ენის სწავლების შემდგომი წინსვლის საქმეს. მისი თაოსნობით გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები აფხაზურ ენაზე და საძირკველს უყრიდა სხვა პროგრესულ წამოწყებებს. ანდრია ჭოჭუას არ აკრთობდა სიძნელეები და არც იმ მუქარების ეშინოდა, რომელსაც მას ხშირად უთვლიდნენ შავრაზმელური ძალები.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ანდრია ჭოჭუა აქტიურად ჩაერთო კულტურულ და საგანმათლებლო საქმიანობაში, რომლის ცხოვრებისეული კრედო გახლდათ მშობლიური ხალხისადმი სამსახური, მასებში განათლების შეტანა და იმ მდიდარი ტრადიციების შენახვა-შენარჩუნება, რომლის სიმდიდრითაც ყოველთვის გამოირჩეოდნენ აფხაზები. სწორედ ამ სფეროში გამოვლინდა ანდრია ჭოჭუას ორგანიზატორული უნარ-თვისებები, ენერგიული და მაღალპროფესიული საქმიანობა აფხაზეთის განათლების სფეროში.

1921 წლიდან იგი თითქმის 10 წლის განმავლობაში მუშაობდა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ, რა დროსაც მთლიანად გამოვლინდა სახალხო განათლების სფეროში მისი უზარმაზარი შესაძლებლობები. ს.ა. ჭანბასთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა აფხაზეთში შრომითი სწავლების საბჭოური სისტემის დამკვიდრებას. რა წინააღმდეგობებს არ წააწყდა იგი ამ ფრონტზე, როგორი რთული საკითხების გადაწყვეტა არ უწევდა მას!

მისი თავკაცობით აფხაზეთში ჩამოყალიბდა აფხაზური, ქართული, სომხური, ბერძნული და სხვა ნაციონალური სკოლები, აშენდა შენობები ახალი სკოლებისათვის, მომარაგდა სკოლები ინვენტარითა და მეთოდური ლიტერატურით, გადამზადდა ძველი და მომზადდა ახალი კადრები, აფხაზური სკოლებისათვის შეიქმნა ახალი სახელმძღვანელო ლიტერატურა, დაიხვეწა აფხაზური დამწერლობა, ამაღლდა მასების განათლების ზოგადი დონე – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ კონკრეტული სასიკეთო საქმეებისა, რითაც სულგანათლებული ანდრია ჭოჭუა აშკარად გამორჩეული გახლდათ მისი თანამედროვეებისაგან.

გადაუდებელი პრაქტიკული საქმეების განხორციელებისას ანდრია პრინციპულ სახელმწიფოებრივ თვისებებს ავლენდა. სწორედ ამის წყალობით აღწევდა იგი გამარჯვებას იმ ურთულეს სფეროებში, რომელთან შეხებას გამოცდილი სპეციალისტებიც კი ვერ ბედავდნენ.

ანდრია ჭოჭუას შემოქმედებაში დიდი ადგილი ეკავა სათანადო კადრების მომზადების საქმნეს აფხაზეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის. სწორედ მისი ინიციატივითა და უშუალო ჩარევით 20-30-იან წლებში აფხაზეთში შეიქმნა 15 სხვადასხვა ტიპის ტექნიკუმი და სპეციალიზირებული სასწავლებელი. არქივებში ინახება უნიკალური დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ ანდრია ჭოჭუას მიერ ჩატარებულ ზღვა სამუშაოზე კადრების მომზადების კუთხით.

აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატში მუშაობისას ანდრია ჭოჭუა პირადად არჩევდა სახელმწიფო სტიპენდიანტებს თბილისის, მოსკოვისა, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნად. აფხაზეთში უმაღლესი სასწავლებლების გახსნამდე ამ გზით მომზადდა ასობით სპეციალისტი რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურისა და განათლების სფეროში სამოღვაწეოდ. სწორედ მათი რიგებიდან აღიზარდნენ ისეთი თვალსაჩინო სპეციალისტები და მეცნიერები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია, ილია ვეკუა, კომპოზიტორ-დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი და სხვები. სწორედ ანდრია ჭოჭუას სახელს უკავშირდება აფხაზეთში ისეთი უმაღლესი სასწავლებლების ჩამოყალიბება, როგორებიც იყვნენ სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტი და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის პირველი რექტორიც თავად გახლდათ. ორგანიზაციული საქმიანობის მდიდარმა გამოცდილებამ საშუალება მისცა ანდრიას, რომ მოკლე ხანში დაეკომპლექტებინა ეს უმაღლესი სასწავლებლები სათანადო პროფესორებითა და გამოცდილი პედაგოგებით, რათა ინსტიტუტები მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და წვრთნის სამჭედლოდ ექცია.

ათასობით ადამიანმა გაიარა ეს წვრთნა და უანგაროდ ეზიარენ კვალიფიკაციას სწორედ სულმნათ ანდრია ჭოჭუას ხელდასხმის წყალობით. განსაკუთრებულია ანდრია ჭოჭუას როლი აფხაზმცოდნეობის, როგორც მეცნიერების ახალი დარგის შექმნისა და განვითარების საქმეში. იგი გახლდათ აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის აკადემიის აფხაზმცოდნეობის სამეცნიერო საზოგადოების პირველი თავკაცი, რომელიც 1925 წელს სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით. მიუხედავად იმისა, რომ ეს აკადემია საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობდა, მან მაინც მოახერხა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომის წიგნად გამოცემა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არ იყვნენ აფხაზმცოდნე მეცნიერები, მაგრამ ეს ტვირთი თავის თავზე აიღო მოწინავე აფხაზმა ინტელიგენციამ, რომელსაც სათავეში ანდრია ჭოჭუა ჩაუდგა. ამ სფეროსადმი აფხაზი ხალხის ინტერესის გათვალისწინებით იქმნებოდა ახალი აქტუალური ნაშრომები, რომელთა შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დიდი მეცნიერები ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, დიმიტრი გულია და სხვები.

სწორედ ანდრია ჭოჭუას ინიციატივით ჩამოყალიბდა აფხაზმცოდნეობის პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ახლა, როცა არქივებში ეცნობი ამ ინსტიტუტის წესდებას და სხვა სააქციდენციო დოკუმენტებს, გაოცებას იწვევს ჭოჭუას შორსმჭვრეტელობა და მომავლის შეუმცდარი ხედვა. სწორედ მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ფილიალში აფხაზური ასპირანტურა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აფხაზური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებაში.

მრავალმხრივი და საინტერესო გახლდათ ანდრია ჭოჭუას სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პედაგოგიური და ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც აფხაზური კულტურის განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. სწორედ მისი თაოსნობით ყალიბდებოდა რესპუბლიკის კულტურული პოტენციალი მაშინ, როცა საბჭოთა კულტურა პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა.

ანდრია ჭოჭუა გარდაიცვალა 1965 წლის 17 აპრილს. მადლიერმა აფხაზმა საზოგადოებამ ღირსეული პატივი მიაგო ამ დიდი ადამიანის ხსოვნას – სოხუმის ცენტრს ამშვენებს მისი ძეგლი, აფხაზეთში მის სახელს ატარებენ სკოლები და სოხუმის ერთერთი ქუჩა, 2004 წლის 17 აგვისტოს კი აფხაზეთში ფართოდ აღინიშნა ანდრია ჭოჭუას დაბადებიდან 125 წლისთავი. უამრავი ნაშრომია შექმნილი ამ დიდ პატრიოტსა და მამულიშვილზე, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ ანდრია ჭოჭუას სახელი სამუდამოდ დარჩება სალოცავ ხატად თითოეული აფხაზის გულში.

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

მხოლოდ ენგურის ხიდთან

მიმდინარე წლის მარტის თვეში ვეტერანმა ქართველმა მეომრებმა ერთად პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომრებს.

თბილისში, გმირთა მოედანზე, სადაც განთავსებულია ომათამკვლელ ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი და ცოცხალი ყვავილებით შემკეს ძეგლი.

კარგია, როცა ვიხსენებთ ომში დაღუპულთ და პატივს მივაგებთ მათ ნათელ ხსოვნას, მაგრამ, ჩემი აზრით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ ჩვენ, ერთ დათქმულ დღეს, ენგურის ხიდთან მოვაწყობდით გაერთიანებულ სამგლოვიარო მიტინგს, ხოლო ხიდს გაღმა მოეწყობოდა აფხაზ მეგობართა სამგლოვიარო მიტინგი და ერთმანეთს მივუსამძიმრებდით ბიჭების დაღუპვას.

ასევე შედეგის მომტანი იქნებოდა იმ აფხაზ და ქართველ მგლოვიარე მშობელთა შეხვედრის ორგანიზება, რომელთაც ორი ან მეტი შვილი დაჰკარგეს ამ თავსმოხვეულ ომში.

ამის შესახებ მე გამოვთქვი ჩემი აზრი, როცა მე და ჩემს მეგობარს მწერალს, საზოგადო მოღვაწეს ბატონ მირიან ჯალაღონიას შემოგვიერთდა ბატონი ანზორ წოწონავა.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამით საბოლოოდ შევრიგდებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ ერთ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ წინ, შერიგებისაკენ!

დროა შევიგნოთ, მეგობრებო, რომ აფხაზეთს ჩვენ ომით ვეღარ დავიბრუნებთ, ან ვის უნდა მიწა აფხაზების გარეშე, რომლებთანაც ჩვენ საუკუნეთა განმავლობაში ერთად გვიცხოვრია, ჩვენი ადათ-წესები ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული და ბოლოს, ჩვენს შორის უამრავი ნათესაური კავშირია შექმნილი – რა გასაკვირია, რომ ახლაც ხშირია ქართველებსა და აფხაზებს შორის დაქორწინების მაგალითები.

სჯობია, რაც შეიძლება მალე გავთავისუფლდეთ ცრუ, მავნე ილუზიებისაგან და სიმართლეს გავუსწოროთ თვალი – ყველაზე დიდი სიმართლე კი ჩვენი ერთად ყოფნაა.

აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირისა და ქართველ უხუცესთა საბჭოს (აფხაზეთიდან) სახელით,
პატივისცემით,
მამანტი ჯოლია

კავკასიონის მთაგრეხილზე ავტოსტრადის გაყვანა არ შეიძლება

სოხუმში სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა, თავის გამოსვლაში, ხაზი გაუსვა უარყოფით დამოკიდებულებას კავკასიონის მთაგრეხილზე ავტოსტრადის გაყვანის საკითხთან დაკავშირებით, რომლის აუცილებლობასაც სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებს ზოგიერთი იურიდიული და კერძო პირი. მან აღნიშნა, რომ **"სოხუმი-ჩერკესკის"** გზის გაყვანის თაობაზე, კავკასიონის მთაგრეხილის გავლით, ზუსტად იმდენი იცის, რამდენიც იციან ჟურნალისტებმა. მიუხედავად ამისა, ანქვაბმა დააფიქსირა საკუთარი აზრი, ამ თემასთან დაკავშირებით, როგორც მოქალაქემ და როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელმა: **"მე ამ პროექტის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მით უმეტეს, რომ კოდორის ხეობა ჩვენთვის უნიკალურ ბუნებრივ ძეგლს წარმოადგენს.**

აფხაზეთის მრავალ მოსახლეს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არა აქვს გააზრებული, თუ როგორ აუწონავ და დაუთვლელ სიმდიდრეს ფლობს კოდორის ხეობის სახით. ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში, მე და აწგანსვენებული პრეზიდენტი სერგო ბადაფში განვიხილავდით ამ დაცული ტყის ზონაში უნიკალური ეროვნული პარკის შექმნის საკითხს, რაც, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე რესპუბლიკის სტუმრების ერთ-ერთ დასასვენებელ ადგილად უნდა ქცეულიყო. 2009 წელს ჩვენი ინიციატივით შეიქმნა შესაბამისი კომისია, რომელმაც, შეიძლება ითქვას, რომ ზღვა სამუშაო გასწია. მე მაშინ ვურჩიე აფხაზეთის რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ რომან დბარს, რომ საჯარო გაეხადა კომისიის მუშაობის შედეგები, ყოველივე დაწვრილებით მოეხსენებინა აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებისათვის, ჩაეტარებინა გაფართოებული პრეს-კონფერენციები. ჩვენ ვალდებული ვართ მომავალი თაობების წინაშე, რომ კოდორის ხეობა უნდა შევინარჩუნოთ პირვანდელი სახით. ეს არა მხოლოდ ჩემი მტკიცე აზრი გახლავთ".

რაც შეეხება დიდი სიღრმეების მქონე საზღვაო პორტების მშენებლობას, ბატონ ალექსანდრე ანქვაბის აზრით, ამ საქმეში უკიდურესად დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. **"შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთი ფრიად სპეციფიურია და მასში ადამიანის უხეშმა ჩარევამ შეიძლება ფრიად არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს, – ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა, – აფხაზეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არავის მისცემს იმ პროექტების განხორციელების საშუალებას, რასაც შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჩვენი ქვეყნის უნიკალურ ეკოლოგიას. ჩვენ ძალზე პრინციპული ეკოლოგები გვყავს, რომლებიც პოლიტიკური დაწოლის არსებობის შემთხვევაშიც კი არ დაიხევენ უკან. ჩვენ კი არასგზით არ დავუშვებთ მათზე რაიმე სახის პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ დაწოლას".**

გვერდში გამოყენებულია "საქინფორმის" და აფხაზეთის საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესის" მასალები

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲔᲑᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲠᲝᲜ!!!

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

თავის ამასწინანდელ ტელეინტერვიუში საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ჰაგის სამხედრო ტრიბუნალის მოთხოვნით ქართველი სამართალდამცავები თავიდან გამოიძიებენ 2008 წელს გაჩაღებული პროვოკაციული ომის მიზეზებს, რათა დირსეული სასჯელი მიაგონ მის ორგანიზატორებს. მართალია, საქართველოს პარლამენტში შექმნილმა საგამოძიებო ჯგუფმა, ჩვენს მიერ **“მეწისქვილე ბონიად”** წოდებული დეპუტატის პაატა დავითაიას ხელმძღვანელობით უკვე შეისწავლა დიდი მსხვერპლით დასრულებული ომის გაჩარების მიზეზები და გამოიტანა **“სათანადო ობიექტური დასკვნა”**, რომლის თანახმად ამ ომის გაჩაღებაში მთავარი ეჭვმიტანილი მიხეილ სააკაშვილი და მისი ბანდა ლამის საქართველოს ეროვნულ გმირებად გამოაცხადა, მაგრამ, როგორც ჩანს, არც მთლად ასეა საქმე და, ამიტომაც, ჰაგის სამხედრო ტრიბუნალის პროკურატურამ კატეგორიულად მოითხოვა ქართველი სამართალდამცავებისაგან აღნიშნული საქმის ხელმეორედ გამოძიება, რათა მასზე დადგეს სამართლიანი განაჩენი.

აღნიშნულმა განცხადებამ ძალზე შეაშფოთა ქართველი **“ნაციონალები”**, რომელთაც ჩვეული უტიფრობით მორთეს ყაყანი იმის თაობაზე, რომ ამ საქმის წამოწევით მხოლოდ რუსები არიან დაინტერესებული და ყოველივე ეს იმიტომ კეთდება, რომ ჩრდილოელმა მეზობელმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია გაამართლოსო. ვერ გაგვიგია, თუ სააკაშვილი და მისი დამქაშები მართლები არიან და არავითარი წვლილი არ მიუძღვით 2008 წლის პროვოკაციული ომის გაჩაღების საქმეში, რამაც დიდი მსხვერპლი მოუტანა ყოველ მებრძოლ მხარეს, მაშინ, რატომ ეშინიათ მათ ობიექტური გამოძიების ჩატარების?

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაზეთ **“ᲘᲚᲝᲠᲘᲡ”** მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს აფხაზეთის ომის ვეტერანის, საბრძოლო ქვედანაყოფ **„ავაზას“** მეთაურის, აგვისტოს ომის მონაწილისა და **„ნაცმოძრაობის“** ყოფილი პოლიტპატიმრის, გენერალ **ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲧᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ექსკლუზური ინტერვიუდან, რომელიც მან საქინფორმის კორესპონდენტ ბაია ამაშუკელს მისცა.

“ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲡ ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ... ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲑᲐᲡᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ ᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ?!“

ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲧᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: “დღეს ყველა ერთად უნდა დავდგეთ, გამოვიჩინოთ სიფხიზლე და ამ ადამიანს მის კრიმინალურ გუნდთან ერთად აღარ მივცეთ საშუალება, რომ თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი აზრებით ისევ დამოძღვრონ ხალხი. სააკაშვილთან ერთად კრიმინალია უგულავაც, წიკლაურიც, კაკო ბობოხიძეც, ის საყვარელიძეც, რომლის ხელშიც გაირა ამ შეთითხნილმა სისხლის სამართლის საქმეებმა! “ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის უმეტესობა, ლიდერიანად, საბრალდებო სკამებზე უნდა დასხდნენ, იქიდან გასცენ პასუხი ხალხსა და საზოგადოებას – რატომ ჩაიდინეს ესა თუ ის დანაშაული. მე ვიქნები ერთ-ერთი მთავარი მოწმე 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების გამოძიების განახლების შემთხვევაში, თუ როგორ დაიწყო სააკაშვილმა ეს პროვოკაცია და გაწირა იქაური მოსახლეობა!

მიკვირს იქაური მოსახლეობის, რომელსაც, ხელისუფლებამ ფაქტობრივად, საკონცენტრაციო ბანაკების მსგავსი საცხოვრებელი გეტოები შეუქმნა! როგორ უჭერენ მხარს სააკაშვილს, როგორ მიჰყვებიან იმ ბადრი ბასიშვილს, რომელიც არის პირწავარდნილი კრიმინალი და უნდა გასამართლდეს?! ის დღესაც დადის იქაურ მოსახლეობაში და დაჭერით ემუქრება!

როდესაც 2008 წლის 12 აგვისტოს თბილისში ჩამოვედი, აქ ფაქტობრივად ყველაფერი დასრულებული იყო. სააკაშვილი „გამარჯვებას“ ზეიმობდა... ჩვენ კი ადგილებზე ცხედრების დაბინავებას და პატრონობას ვუნდებოდით... მხოლოდ პატრიარქის ჩარევის შედეგად განეიტრალდა ვითარება და დარჩენილი (ხელისუფლებისგან მიტოვებული) ხალხი გამოგვიყვანეს...”

“ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲗᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲝᲜ ᲪᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲖᲣᲠᲒᲨᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲜᲐᲡᲠᲝᲚᲘ!“

ᲑᲐᲘᲐ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ: ინფორმაცია გავრცელდა ჩვენივე მხრიდან მეომრებისა და რეზერვისტების დახოცვაზეც! სანდო წყაროს მოწმობით, მათ ხელმძღვანელობის დავალებით ესროდნენ ზურგში...

ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲧᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ზუსტად ასე იყო. ეს შეგნებულად გაკეთდა. აუცილებელია, რომ დაღუპულთა მშობლებმა და ახლობლებმა დააყენონ ცხედრების ექსპერტიზის საკითხი, რადგან ჩვენი ჯარისკაცების უმეტესობას ზურგში აქვს ნასროლი! რომ არა პატრიარქის თავგანწირულ ნაბიჯი, ჩვენ იმ დახოცილ მეომრებსაც ვერ გამოვიყვანდით, რაც შევძელით. ხელისუფლებას ამ ცხედრების გამოტანაც არ უნდოდა ბრძოლის ველიდან, რადგან ეს უკვე მტკიცებულება იყო! ინფორმაცია მაქვს, რომ ყველა ოჯახს ჩამოუარეს და გააფრთხილეს, რომ როგორც კი ექსპერტიზას ჩაატარებდნენ – მოუკლავდნენ მეორე შვილს და ა.შ., როგორც საერთოდ აკეთებდნენ...

ყველა გადმოსვენებული ცხედარი ექსპერტიზისა და დოკუმენტაციის გარეშეა დასაფლავებული. არავითარი საბუთი არ არსებობს! დღესაც შეიძლება ამ ექსპერტიზის ჩატარება! ვიმეორებ, სააკაშვილს უნდოდა მსხვერპლი როგორც მშვიდობიან მოსახლეობაში, ისე სამხედრო მოსამსახურეებში, და ეს შესანიშნავად დაგეგმა. ასეთი დავალება, როგორც ორმაგ აგენტს, მას გარედან – სპეცსამსახურებიდან ჰქონდა მიღებული!

“ᲙᲐᲠᲨᲘ ᲘᲓᲒᲜᲔᲜ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ, ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ, ᲒᲘᲕᲘ ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲔ ᲧᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲙᲐᲠᲘ ᲤᲠᲐᲖᲐᲡ: „ᲓᲘᲓᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲨᲣᲨᲐᲕᲡ – ᲩᲕᲔᲜᲡᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ!“

ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲧᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „შტაბის ეზოში ცხონებული გენერალი გუჯა ბუცხრიკიძე დამხვდა, რომელსაც აფხაზეთის ბრძოლებიდან კარგად ვიცნობდი. ვუთხარი ჩემს ეჭვზე, რომ დიდი მსხვერპლის მიღების მიზნით ხელისუფლება სოფლებში მშვიდობიანი მოსახლეობის შეგნებულად დასატოვებლად ემზადებოდა. ცოცხალი ძალით დახმარება ვთხოვე, თვითონ კი შტაბში ავედი ხელმძღვანელობის სანახავად. კართან მივედი, სადაც მართვა მიმდინარეობდა. მოპირდაპირე ღია კარიდან კარგად ისმოდა ლაპარაკი. კარში იდგნენ უგულავა, ბოკერია, გივი თარგამაძე – ეს, ვინც დავინახე. ყური მოვკარი ფრაზას: „დიდი მსხვერპლი იქნება, მაგრამ არა უშავს – ჩვენ ჩვენსას ხომ მივაღწევთ!“. ქართულ მოსახლეობაზე ლაპარაკობდნენ... მივხვდი, რომ შტაბის ხელმძღვანელობის გეგმა ჩემს ეჭვს ემთხვეოდა, რათა მერე ეყვირათ: “ტერიტორიები დავკარგეთ, რუსებმა მოსახლეობა დაგვიხოცეს, არიქა, გვიშველეთ!“.

ამის შემდეგ შტაბში აღარ შევსულვარ, რადგან მივხვდი, რომ იქ რაღაც საშინელი პროვოკაცია იგეგმებოდა! ჩამოვბრუნდი ეზოში და ელგუჯას ვუთხარი: „სასწრაფოდ წავედით აქედან!“. გუჯამ 60 კაცი დამახმარა. მე რამდენიმე რეზერვისტი იქვე შევკრიბე და ამ ძალებით დავიწყეთ მუშაობა მოსახლეობის ევაკუაციისთვის...”

“ᲙᲣᲓ-ᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ ᲩᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲝᲡᲣᲠ, ᲘᲡᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲬᲧᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲕᲘᲕᲔᲑᲚᲐᲓ!“

ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲧᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: “რასაც მე ვამბობ, ეს რეალობაა! იმის დოკუმენტებიც გვაქვს და ფირებიც, თუ როგორ ადიოდა კუდ-ის სპეცრაზმის რამდენიმე ჯგუფი წვერიახოს მთაზე, სადაც კონფლიქტის დაწყებამდე ჩვენი სამშვიდობო კონტინგენტი იყო განლაგებული. ისინი იშლებოდნენ ორ ჯგუფად, ჩადიოდნენ როგორც ოსურ, ისე ქართულ სოფლებში და აწყობდნენ პროვოკაციებს კონფლიქტის გასაღვივებლად – თითქოს ქართულ სოფლებში – ოსური და პირიქით – ოსურში ქართული დაჯგუფება იყო შესული!..

ამ მიმართულებით რამდენიმე საათს მუშაობდნენ. შემდეგ ტოვებდნენ ტერიტორიას და ბრუნდებოდნენ თბილისში. ამ წინასწარ გაღვივებულ ხელოვნურ კონფლიქტებს სააკაშვილი შეგნებულად ქმნიდა, რათა შემდგომ, ფართომაშტაბიან საბრძოლო მოქმედებებზე გადასულიყო!“

„ᲡᲣᲤᲠᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲥᲔᲘᲤᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲗᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲓᲒᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲡᲠᲝᲚᲔᲡ!“

ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲧᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს – ეს ბევრად ადრე, 2006 წელს დაიწყო. სადღაც სუფრიდან ნაქეიფარი სააკაშვილი, მერაბიშვილი, თავთუხაშვილი ადგნენ და მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით (პიარისთვის მოუვიდა თავში აზრად) ცხინვალის მიმართულებით პირველი დაჯგუფება გადაისროლეს. მოგეხსენებათ, რა დიდი დარტყმები მივიღეთ, როდესაც ამით 1992 წლიდან არსებული სამშვიდობო ხელშეკრულება დავარღვიეთ.

იქ იყო სამშვიდობო ჯგუფები, რომლებიც, ამ ხელშეკრულების თანახმად, წესრიგს ამყარებდნენ და სიტუაციას ანეიტრალებდნენ – როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. არც ცხინვალის და არც კოდორის მიმართულებით საბრძოლო შენაერთები არ უნდა შესულიყვნენ. სააკაშვილმა, როგორც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიდან მოვლენილმა მოღალატემ, ამ ყველაფრის კეთება შეგნებულად, ეტაპობრივად დაიწყო. სისტემატური პროვოკაციებიც 2006 წელიდან დაიწყო, მოაწყო პროვოკაცია 2006 წელს, 2007 წელს. კერძოდ ცხინვალის მიმართულებით კი ამ პროვოკაციებმა სისტემატური ხასიათი 2007 წლის ბოლოს მიიღო”.

“2008 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲓᲦᲐᲪ 25 ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘ, ᲒᲝᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲡ 10 000 ᲨᲐᲕᲘ ᲡᲞᲔᲪᲢᲝᲛᲐᲠᲐ ᲪᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲗᲐᲕᲡᲔᲑᲚᲐᲓ...“

ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲧᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: “2008 წლის ივლისის თვეში უკვე დაიწყო პროვოკაციული ომისათვის აქტიური მომზადება – კერძო ბანკებმა გორში თავიანთი ოფისები სასწრაფოდ დაცალეს და ფული და ძვირფასეულობა საგულდაგულოდ გადამალეს. სპეციალურად მომზადებულ სამალავებში გაჰქონდათ ყველა ფასეული ნივთი თუ დოკუმენტი. დაახლოებით 25 ივლისს კი სპეცსამსახურებმა გორში ჩამოიტანეს 10 000 შავი სპეცტომარა (ცხედრების მოსათავსებელი).

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის და საბრძოლო მოქმედებების ზონიდან მისი გამოყვანისთვის კი არანაირი მუშობა არ მიმდინარეობდა. არადა, თუ ხელისუფლება საბრძოლო მოქმედებებს იწყებს ან დაწყებას აპირებს, თუ უფრო ადრე არა, ერთი თვით ადრე მაინც ,და არა მარტო ბრძოლის ადგილას (მიმდებარე ტერიტორიაზეც, სიღრმეშიც და ზურგშიც) ახლომდებარე სოფლების და ქალაქების მოსახლეობის ევაკუაცია ხდება.

ოსურმა მხარემ თითქმის ორი კვირით ადრე გაიყვანა მშვიდობიანი მოსახლეობა ცხინვალიდან. ეს ბუნებრივია, რადგან ისეთი ინტენსიური მზადება, მილიტარიზაცია და რიტორიკა მიმდინარეობდა, რომ ამის შესახებ ოსურ მხარესაც ეცოდინებოდა...“

ლაფანყურის სპეცოპერაციის სკანდალური დეტალები

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა საქართველოს პარლამენტს 2012 წლის ანგარიში წარუდგინა. ანგარიშში ერთ-ერთ მთავარ საკითხად მოყვანილია ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს განვითარებული მოვლენები.

შევახსენებთ საქინფორმის მკითხველს, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში მათთვის დიდ სიახლეს არაფერი წარმოადგენს – ამ ყველაფერზე საქინფორმი ლაფანყურის ოპერაციის შემდეგ წერდა.

აგრეთვე შევახსენებთ საქინფორმის მთავარი რედაქტორის **არნო ხიდირბეგიშვილის** 2012 წლის 7 სექტემბრის ინტერვიუს ქართულ გაზეთ **„ასავალ-დასავალს“ – „დოშუევი და დანარჩენები დახოცეს იმიტომ, რომ ივანიშვილის მოკვლაზე უარი თქვეს!“,** სადაც ის ლოპოტას ხეობაში დატრიალებული ტრაგედიის თავისებურ, აბსოლუტურად განსხვავებულ ვერსიაზე საუბრობს.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, **„საქართველოს ძალოვანი უწყებები ჩეჩენ მეომრებს ჰპირდებოდნენ ე.წ. კორიდორს ჩეჩნეთში გადასასვლელად, საქართველოში წვრთნას, აღჭურვას და ჩეჩნეთში გადასვლისთვის ყოველგვარი პირობების შექმნას“.**

სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჩეჩნეთში საომრად გადასვლის იმედით ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში დაახლოებით 120 ჩეჩენი და ჩრდილოკავკასიური წარმოშობის მებრძოლი ჩამოვიდა, რომლებსაც **შსს**-ს მაღალჩინოსნები აეროპორტში ხვდებოდნენ და დისლოკაციის ან საცხოვრებელ ადგილებზე გადაჰყავდათ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფთან უშუალო კავშირი ჰქონდათ და მათთვის საჭირო ყველა საკითხს აწესრიგებდნენ შს მინისტრის მოადგილე **გია ლორთქიფანიძე**, **შსს**-ს მაღალჩინოსნები **სანდრო ამირიძე** და **ზურაბ მაისურაძე**.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურში ე.წ. სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე შევიდა ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფი.

ამავე დროს, კონფიდენციალური წყაროს ცნობით, სავარაუდოდ, საქართველო–რუსეთის საზღვრისკენ ჯგუფის შესაძლო გადასვლის აღკვეთის მიზნით, ლაფანყურის სპეცოპერაციის დაწყებამდე ორი დღით ადრე საქართველო–რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს სასაზღვრო და სპეციალური დანიშნულების ძალების რაზმები ვერტმფრენებით გადასხეს. ამის პარალელურად ლაფანყურში დაბანაკებული ჩეჩენი მებრძოლების შეიარაღებული ჯგუფი შეპირებულ **“კორიდორს”** ითხოვდა, რაზეც ბოლო მომენტში საქართველოს **შსს**-მ უარი განაცხადა. დაძაბული ვითარების განმუხტვისა და ჩეჩენ მებრძოლებთან მოლაპარაკების მიზნით **შსს**-ს თანამშრომლებმა შუამავლებს – ჩეჩნებისთვის ავტორიტეტულ ადამიანებს მიმართეს, რომლებსაც ჩეჩენმა მებრძოლებმა იარაღის ჩაბარებაზე უარი განუცხადეს. უარის შემდეგ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაცია, რის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ჩეჩენი მებრძოლი და საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლები.

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ წყაროს ინფორმაციით, სპეცოპერაციაში მონაწილეობდა ავიაცია. ავიაციამ გაუხსნა ცეცხლი ჯგუფის წევრებს. ბრძოლის შედეგად დაიღუპა შვიდი ჩეჩენი მებრძოლი, რომელთაგან სამი პანკისის ხეობის მცხოვრები იყო. წყაროს ცნობით, ამ ბრძოლას ცოცხლად გადაურჩა 9 ჩეჩენი მებრძოლი, რომლებიც სპეცოპერაციიდან რამდენიმე დღეში საქართველოს **შსს**-ს წარმომადგენლებმა ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით თურქეთში გააცილეს.

საქინფორმი

ცოტნე გამსახურდია – “ზვიადობის” დაკანონებით მარგინალთა ჯგუფი პოლიტიკურ სარბიელზე გასვლას ცდილობს

31 მარტს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე იყო. გავრცელებული ინფორმაციით, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ამ თარიღის პომპეზურად აღნიშვნის დაკანონებას და **“ზვიადობის”** გამართვას აპირებდა. ამ საკითხის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ექს-პრეზიდენტის ვაჟს, ყოფილ პოლიტპატიმარ ცოტნე გამსახურდიას. როგორც ის თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ამით პოლიტიკურ სარბიელზე გასვლას ცდილობს.

“არ ვემხრობი ადამიანების გაფეტიშებას, ისევე როგორც არ ემხრობოდა მამაჩემი. ძალიან გთხოვთ, ეს დააფიქსიროთ. მე პირველად მესმის ასეთი ტერმინი “ზვიადობა”, რაც გავრცელდა. ვინ არის ამის ორგანიზატორი, არ ვიცი და რაღაც მარგინალური ჯგუფი მგონია, რომელიც ცდილობს ამით პოლიტიკურ სარბიელზე გასვლას. არ მიმაჩნია, რომ მამაჩემის გარდაცვალებიდან ასე მოკლე ხანში საჭიროა მსგავსი ღონისძიებების გამართვა და პომპეზური ორეულის შექმნა... ზვიადის მმართველოს დროს იყო არასწორი სვლებიც, მაგრამ იყო ეპოქალური მნიშვნელობის პროცესებიც. ეს დროისა და ისტორიის შესაფასებელია და არა ადამიანების გარკვეული ჯგუფის”, – აცხადებს ცოტნე გამსახურდია.

ინტერვიუში ექს-პრეზიდენტის ვაჟი ზვიად გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაპირისპირება სწორედ ამ ნიადაგზე მოუვიდა. ამ პროცესის ხელმძღვანელობის სურვილი ხელისუფლებამ გამოთქვა, რაზეც ექს-პრეზიდენტის ვაჟმა უარი განაცხადა.

“ღია დაპირისპირება იმ პერიოდიდან დაიწყო, როდესაც ისინი ჩემგან ითხოვდნენ, მათთვის დამეთმო ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების პროცესის ხელმძღვანელობა, რაც არ გავაკეთე. მათ აამოქმედეს სხვადასხვა მეთოდები, მოქრთამვიდან დაწყებული, დაშინების მცდელობით დამთავრებული...

მამაჩემის ნეშტი წინა ხელისუფლებას არ ჩამოუსვენებია, ის მე ჩამოვასვენე. ამაში საამაყო არაფერია, უბრალოდ გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა შვილს. 2007 წელსვე გაჩნდა ეს ვერსია, როცა ნეშტის ძიებისა და შემდგომ ჩამოსვენებისა და რუსეთის იმჟამინდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობდა...

ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის პროცესია ხალხმრავალი იყო. ის გზად, მამადავითისკენ, პარლამენტის წინ შეჩერდა. ეს არ ნიშნავს, რომ ეს პროცესია მიხეილ სააკაშვილისთვის გაკეთდა”, – აცხადებს ცოტნე გამსახურდია.

გავრცელებული ინფორმაციით, ექს-პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე მომხრე იყო, სახელმწიფო ჩაბმულიყო ზვიად გამსახურდიას ჩამოსვენების პროცესში, რის გამოც შვილთან უთანხმოება ჰქონდა.

“იყო გარკვეული უთანხმოებაც, რომელზეც საუბარი ამ ეტაპზე არ მსურს”,– ამბობს ცოტნე გამსახურდია.

ზვიად გამსახურდიას 31 მარტს 74 წელი შეუსრულდებოდა. 2007 წლის 28 მარტს ექს-პრეზიდენტის ნეშტი რუსეთიდან საქართველოში ჩამოასვენეს, პირველ აპრილს კი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის საფლავებს შორის დაკრძალეს.

საქართველოს მთავრობა “ევროპის სახალხო პარტიის” სამოქმედო გეგმის ტონითა და შინაარსით შეშფოთებულია

საქართველოს მთავრობა **“ევროპის სახალხო პარტიის”** სამოქმედო გეგმის ტონითა და შინაარსით შეშფოთებულია. როგორც საპასუხო წერილშია ნათქვამი, ივანიშვილის ხელისუფლებას ბრალად ედება დემოკრატიიდან გადახვევა და ევროინტეგრაციის პროცესის დაბლოკვა, რაც ახალ მთავრობაზე მორიგი თავდასხმაა. წერილში პრემიერ-მინისტრი **“ევროპის სახალხო პარტიას”** ევროპული ღირებულებების პატივისცემისკენ მოუწოდებს.

“ეს არის სულ ახალი განცხადება იმ თავდასხმათა შორის, რომლებიც ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთი წევრისგან მოდის და ცხადყოფს პარტიულ მხარდაჭერას პრეზიდენტ სააკაშვილისადმი, რომელიც 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში სასტიკად დამარცხდა. მმართველი პარტიის გადაწყვეტილებას, შეცვალოს სააკაშვილის არადემოკრატიული პოლიტიკა, მუდმივად მოჰყვება პრეზიდენტის გაღიზიანებული და არაკონსტრუქციული რეაქცია.

როგორც ჩანს, სააკაშვილის მოკავშირეები ევროპარლამენტში კონფრონტაციის ტაქტიკას არჩევენ, ამან კი, შეიძლება, ძირი გამოუთხაროს სწორედაც იმ მიზნებს, რომელთა დაცვასაც ემსახურება ევროპარლამენტი, მაშინ, როცა ევროკავშირის ემისარი ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამერბერგი დახმარებას უწევს მთავრობას რეფორმების განხორციელებაში.

ევროპის სახალხო პარტიის რეკომენდაციები სხვა არაფერია, თუ არა “ნაცმოძრაობის” მიერ წაყენებული დაუსაბუთებელი ბრალდებების ნუსხა. ეს იმას ნიშნავს, რომ “სახალხო პარტიას” არ შესწევს უნარი, ჩამოაყალიბოს საკუთარი პოლიტიკური დასკვნები საქართველოში არსებული ვითარებაზე, რომლებიც დაეფუძნება არა პარტიულ, არამედ სათანადოდ შესწავლილ და ადამიანის უფლებებზე დამყარებულ სრულ ანალიზს”,– ნათქვამია წერილში.

საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და სხვები ცდილობენ, დაარწმუნონ ევროპელი პარტნიორები, რომ პრეზიდენტის განცხადებებს ევროსტანდარტებთან საქართველოს დაშორების შესახებ საფუძველი არ აქვს.

“ევროკავშირის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროსაბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა კმაყოფილება გამოთქვეს ხელისუფლების რეფორმებით, რაც მნიშვნელოვანი წინსვლაა დემოკრატიული ნორმებისაკენ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ქვეყანაში წლების განმავლობაში ირღვეოდა ადამიანის უფლებები.

პრემიერ–მინისტრმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მზად არის მიმართვით გამოვიდეს ევროპარლამენტში, ხოლო უსუფაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, სიტყვით მიმართოს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობების საკითხთა კომიტეტს”, – ნათქვამია მთავრობის წერილში.

მიმართვაში ასევე მოყვანილია ბიძინა ივანიშვილის კომენტარი, რომელიც მან **“ევროპის სახალხო პარტიის”** დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ გააკეთა.

“მე მესმის ევროპის სახალხო პარტიის ზოგი წევრის შეშფოთება საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო. ჩვენ საქმე გვაქვს კოჰაბიტაციის რთულ პერიოდთან, მაგრამ ჩემი ხელისუფლება ძალღონეს არ იშურებს დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად. 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს მოქალაქეებმა ცალსახად უარყვეს წარსულის პოლიტიკა და კანონიერი სახე მისცეს ჩვენს პროგრამას ელიტური კორუფციისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აღმოსაფხვრელად.

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ჩვენი ევროპელი პარტნიორები მხარს დაუჭერდნენ იმ ღირებულებებს, რომლებსაც ჩვენ ვიზიარებთ და პატივს ვცემთ – ეს არის დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და სამაგალითო მმართველობის ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების დაცვა.

მიუხედავად ამისა, საქმე ალბათ ისე არ ჩანს, როგორც სიტყვა. ვწუხვარ, რომ ევროპარლამენტის ზოგიერთ წევრს ურჩევნია უსაფუძვლოდ გვაკრიტიკოს და წინასწარ გამოიტანოს ვერდიქტი ჩემი მთავრობისა და ჩემი ხალხის წინააღმდეგ. ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის უპირველესი მიზანია. სწორედ ამიტომ, მზად ვარ ნებისმიერი ევროპელი ოფიციალური პირის, პარლამენტის წევრისა თუ სხვა კრიტიკოსის მიერ გამოთქმულ საფუძვლიან ბრალდებას ვუპასუხო და მოვისმინო ნებისმიერი რეკომენდაცია, რომელიც დაგვეხმარება სტაბილური, დემოკრატიული საქართველოს აშენებაში. ევროკავშირისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, აგრეთვე ოპოზიციური პარტიის კონსტრუქციული ჩართულობით, ჩვენ შეგვიძლია, განვამტკიცოთ კავშირები და ურყევად განვაგრძოთ გზა ევროკავშირისკენ და ისეთი საქართველოსაკენ, რომელიც სტაბილურობის გარანტი იქნება კავკასიის რეგიონში.

მე გულწრფელად მივესალმები ევროპის სახალხო პარტიის მოწოდებას ყოვლისმომცველი დიალოგისკენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის და ვიმედოვნებ, ჩვენი კრიტიკოსები გააცნობიერებენ, რომ არასწორად ესმით ჩვენი ხელისუფლების მოქმედებები და მოტივაცია. მჯერა, ერთად შეეძლებთ ისეთი სამოქმედო გეგმის შექმნა, რომელიც მაღალ ევროსტანდარტებს დაეფუძნება და დაგვეხმარება თანამშრომლობაში, რათა მიღწეულ იქნას ეს სტანდარტები საქართველოსა და ზოგადად, ევროპის სასიკეთოდ”, – აცხადებს ივანიშვილი.

ზაურ გახარია

პოეზიის კუთხე

ეძღვნება დედა ენის დღეს

ჩვენი ენა ქართული

ჩვენი რწმენა და ჩვენი იარაღი,
რომელმაც იხსნა ჩვენი მამული,
ვინც გამოგვზარდა, ვინც აგვამაღლა
დედაა ენა ჩვენი ქართული.
შესაშურია ცოდნა ენების:
ივრით, რუსული, ბერძნულ, სპარსული,
მაგრამ გვახსოვდეს, უპირველესად
ჩვენი ხატია ენა – ქართული.
წარღვნას გვიქადდა მტერი-მომხდური,
ბულა-თურქი თუ შაჰ-აბასიცა,
მაინც ვერ მოსპეს ღმერთის ნაკურთხი
ენა ქუჯის და ფარნავაზისა!
რატომ აწამეს ქართველი დედა?..
სჯობს გავიხსენოთ ჩვენი წარსული!
ძუძუ აგლიჯეს, შანთით დადაღეს
ქალი – წმინდანი, ივერთ ასული,
მაინც არ დათმო სისხლში გამჯდარი,
მამული, ენა, რწმენა – ქართული!
ნუ დაგვავიწყებს ჩვენს ღმერთის ენას:
ნურც ინგლისური და ნურც ფრანგული!
ჯვარცმაზე ვიყოთ, სახრჩობელაზეც
უნდა დავიცვათ ენა ქართული!
ქართული ენის ამაყი სიტყვით,
მისი რწმენით და მისი შენდობით,
თუ კი დავიცავთ ჩვენს დედა ენას
ერო, არასდროს გადავშენდებით!
შოთამ, ილიამ, ვაჟამ, აკაკიმ,
ქართული სიტყვის ტკბობა გვამცნეს.
დედა ენას კი ვინც დაივიწყებს,
მას დამტირალიც არ უნდა ჰყავდეს.

ირი კაკავა

“ᲓᲦᲔᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲘᲡᲔᲗ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ, ᲜᲘᲙᲝ ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲣᲛᲕᲔᲚᲘᲡ”

ქვეყნის პირველი უმაღლესი სასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წელს დამოუკიდებელ საქართველოსთან ერთად დაარსდა და დღემდე სახელმწიფოებრიობის, ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთი ქვაკუთხედია... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად შექმნილ ვითარებაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲑᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** და პროფესორი, ფიზიკის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი **ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲔᲑᲝᲜᲘᲐ** გვესაუბრებიან.

ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲑᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: – საზოგადოებას კარგად ახსოვს **“ვარდების რევოლუციის”** შემდგომ, 2004-2006 წლებში უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები, როცა აღვირახსნილმა უკანონობამ უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, შეიწირა. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში თანდათან დაიწყო სამართლიანობის აღდგენის პროცესი, თუმცა, უნივერსიტეტს ჯერჯერობით ეს არ შეხებია. ამიტომ უნდა აღდგეს ყოველივე ის, რაც დაინგრა, წახდა და რაც უნივერსიტეტის სახეს ქმნიდა.

– ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებთ მეცნიერების, სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით უნივერსიტეტში შექმნილ მდგომარეობას?

– განათლების ყოფილ მინისტრს ლომაიას ეკუთვნის სამარცხვინო ფრაზა: **“რა უნდა უნივერსიტეტში მეცნიერს?”** ხელის ერთი მოსმით, ფაქტობრივად, მთელი სამეცნიერო სექტორი გააუქმეს. 2005 წლიდან უნივერსიტეტის ბიუჯეტს მთლიანად ჩამოეჭრა სამეცნიერო სექტორის დაფინანსება, 1500 თანამშრომელი უხელფასოდ დარჩა. მათ თავხედურად ეუბნებოდნენ, უნივერსიტეტში სიარულს არ გიშლით, მაგრამ ხელფასი არ გექნებათო; ათეულობით ლაბორატორიასა და სამეცნიერო კაბინეტში შეჩერდა მუშაობა. გაუქმდა რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას კაბინეტები. ეს ქართული მეცნიერების მკვლელობა იყო, რომლის შედეგის გამოსწორებას ათეულობით წელი დასჭირდება. ამიტომ თქვა სანტექნიკოსმა კახა ლომაიამ: **“ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავთო”.** სოფელ ცხრუკვეთში მყოფმა სააკაშვილმა კი უნივერსიტეტის პროფესორებს საჯაროდ წითელი პროფესურა, კორუმპირებულები, უსინდისოები და რუსეთის აგენტები გვიწოდა.

– რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა ბოლო წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან?

– უნივერსიტეტში კატასტროფულად შემცირდა აკადემიური სექტორი. რეფორმამდე უნივერსიტეტის აკადემიურ სექტორში 4000-მდე თანამშრომელი იყო, განათლების იმჟამინდელ მინისტრ ლომაიას მოთხოვნით კონკურსი მხოლოდ 700 საშტატო ერთეულზე გამოცხადდა, რის შედეგადაც აკადემიური სექტორი უნივერსიტეტში თითქმის ხუთჯერ შემცირდა, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში კი – მხოლოდ 3-4 პროცენტით.

– რა ხდება დღეს უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე?

– უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე, რომელსაც აკაკი შანიძის კათედრას უწოდებდნენ, **“რეფორმამდე”** 23 თანამშრომელი იყო, ამჟამად ძველი ქართული ენის დეპარტამენტში მხოლოდ სამი თანამშრომელია, მათგან მხოლოდ ერთია ძველი ქართული ენის გრამატიკის სპეციალისტი...

– რამ გადაგაწყვეტინათ უნივერსიტეტიდან წამოსვლა?

– რეფორმის პერიოდში სამი კონკურსი ჩატარდა: 2006, 2009 და 2012 წლებში. 2006 და 2009 წლებში, ვინც **“რეფორმის”** ამ სახით ჩატარებას ვეწინააღმდეგებოდით, უარი ვთქვით კონკურსში მონაწილეობაზე. 2010 წელს უნივერსიტეტიდან გაუშვეს მთავარი დამნაშავე ხუბუა. ამის შემდეგ, როცა 2012 წელს კონკურსი გამოცხადდა, უნივერსიტეტის რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს მივმართე განცხადებით, რომ ხუბუას წასვლა უნივერსიტეტიდან სამართლიანობის აღდგენის იმედს იძლეოდა და ამიტომ გადავწყვიტე კონკურსში მონაწილეობა. ჩემს კონკურენტად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე დასვეს, რომელიც კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტია და სამეცნიერო ხარისხი ლიტერატურაში აქვს დაცული. რექტორმა ჩემთან შეხვედრა არც ისურვა; უბრძანებია, ყველაფერი კომისიას მივანდოთო, კომისიის წევრები კი **“ერთგულებისა და მორჩილების პრინციპით”** იყვნენ შერჩეული (კომისია თვალთვაძემ შეადგინა!); და ქართული ენის პროფესორის ადგილი დაიკავა არაენათმეცნიერმა დარეჯან თვალთვაძემ. იმავე პერიოდში (ეს არჩევნების წინა ხანებში ხდება), ჩატარებული კონკურსით უკმაყოფილება გამოთქვეს პროფესორებმა ნოდარ ხადურმა და დავით ნარმანიამ, ამჟამად მთავრობის წევრებმა. არჩევნების შემდეგ ხადური და ნარმანია უნივერსიტეტში დააბრუნეს. უნივერსიტეტში კვლავ პოლიტიკური ნიშნით წყდება თანამშრომლების მიღება-არმიღების საკითხი...

– უნივერსიტეტს ამჟამად ოთხი წლით არჩეული რექტორი ჰყავს. თქვენ მის გადაყენებას ითხოვთ?

– უნივერსიტეტში უმძიმესი ვითარებაა: 23 ფაკულტეტი იყო, დღეს ექვსია, გაუქმდა არაერთი კათედრა, გაქრა სპეციალობები. უნდა გამოძიონ ყველა ის დანაშაული, რაც უნივერსიტეტში მოხდა. ამიტომ მივმართეთ საუნივერსიტეტო საზოგადოებამ, პროფესორ-მასწავლებლებმა, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა საგანგებო წერილით პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს; მოვითხოვთ, შეიქმნას კომპეტენტური კომპლექსური კომისია, რომელიც 2004-2012 წლებში უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებსა და კანონდარღვევებს შეისწავლის, მას პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას მისცემს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარდამავალი პერიოდი უნდა დაწესდეს, შეიქმნას დროებითი მმართველობა, რომელიც უნივერსიტეტის გადარჩენისა და განვითარების გზებს შეისწავლის, მოამზადებს საკანონმდებლო ბაზას მისი რეალური ავტონომიისთვის. უნივერსიტეტის რექტორის გადაყენებას ამ ეტაპზე არ ვითხოვთ, რადგან ამ ვითარებაში რექტორის შეცვლა არაფერს შეცვლის. 2010 წელს ხუბუა, როგორც დამნაშავე, გაუშვეს უნივერსიტეტიდან და მოვიდა ალექსანდრე კვიტაშვილი, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა: იგივე სტრუქტურები, იგივე ადმინისტრაცია, იგივე სასწავლო გეგმა, კვიტაშვილს თანაშემწეც კი იგივე ჰყავს, ვინც ხუბუას ჰყავდა. ასე რომ, მარტო რექტორის ჩანაცვლებას აზრი არ აქვს, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. დღეს უნივერსიტეტი ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, ნიკო კეცხოველიც ვერ უშველის, ჯერ ძირეული, მათ შორის, მსოფლმხედველობრივი ცვლილებები, რეფორმაა გასატარებელი.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲔᲑᲝᲜᲘᲐ: “ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲝᲡ”

– ე.წ. განათლების რეფორმას, რომელიც **“ვარდების რევოლუციის”** შემდეგ დაიწყო, ყველაზე აქტიური წინააღმდეგობა ფიზიკოსებმა გაუწიეს. შესაბამისად, ყველაზე დიდი დარტყმა **“რეფორმატორებისგან”** სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტმა იწვნია. აღსანიშნავია, რომ ამ ფაკულტეტზე 2006 წლამდე 112 პროფესორ-მასწავლებელი იყო, კონკურსი კი 23 ადგილზე გამოაცხადეს. ეს გაუთვლელი, გაუმართლებელი ნაბიჯი იყო, რადგან შემდეგ, დამატებით 100 პედაგოგის მოწვევაც კი დასჭირდათ იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი არ ჩაშლილიყო! იმჟამინდელმა მინისტრმა კახა ლომაიამ ერთ-ერთი დებატებისას მითხრა: თქვენი ბიოგრაფიის კაცი ჩვენს გვერდით უნდა იდგეს, თქვენ კი ბნელ ძალებთან დგახართო.. არადა, სწორედ თვითონ არიან ბნელები და უმეცრები, თუნდაც იმიტომ, რომ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო, ტექნიკური ფაკულტეტები უმძიმეს ვითარებამდე მიიყვანეს. ფიზიკის ლაბორატორიები, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, მათ შორის ორი ისეთი, რომლებიც ჩვენი თანამშრომლების ხელით იყო გაკეთებული. ლაბორატორიების გარდა, ბიბლიოთეკებსაც ემტერებოდნენ, ჩემი თვალით მაქვს ნანახი მეორე კორპუსის კიბეებზე მიმოფანტული ფიზიკის სახელმძღვანელოები, თუმცა, რა უნდა გაგიკვირდეს იმ ხელისუფალისგან, რომლის განათლების მინისტრი პირდაპირ ამბობდა: წიგნმა თავისი დანიშნულება დაკარგაო. თუ ინტერნეტს გულისხმობდა, საიდანაც ინფორმაციის სწრაფად მიღებაა შესაძლებელი, მწარედ ცდებოდა, რადგან წიგნის გარეშე ფუნდამენტური ცოდნის მიღება შეუძლებელია. ვიმედოვნებ, დღევანდელი პოლიტიკური ცვლილებების ფონზე უნივერსიტეტში ყველაფერი უკეთესობისკენ შემობრუნდება.

– თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარება ზედმეტი ფუფუნებაა ისეთი ღარიბი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

– ეს ან ბრიყვული, ან დანაშაულებრივი აზროვნებაა. საზოგადოების წინსვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მეცნიერების ყველა დარგი ჰარმონიულად ვითარდება, რადგან ისინი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ფუნდამენტური დისციპლინების განვითარება არ ნიშნავს მხოლოდ ძვირად ღირებული დანადგარებისა და ხელსაწყოების ქონას, მას, უპირველესად, ცოდნის მემკვიდრეობითობა, განათლება სჭირდება. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში მუშაობენ. ასე რომ, ამ დარგში კონკურენტუნარიანი ცოდნის მიღება პატარა ქვეყანაშიც შეიძლება დიდი ფინანსური დანახარჯების გარეშე. ასევე აუცილებელია სკოლის სახელმძღვანელოების შეცვლა, რადგან დღევანდელი ფიზიკის სახელმძღვანელოები უვარგისია.

– უნივერსიტეტში სამართლიანობის აღდგენას ითხოვთ, კონკრეტულად, რა გაქვთ მხედველობაში?

– ჩემი აზრით, ორი მთავარი ფაქტორია ერთმანეთთან დაკავშირებული, ეს ეხება არა მხოლოდ ფიზიკის ფაკულტეტს, არამედ მთლიანად უნივერსიტეტს. ბევრი პროფესორ-მასწავლებელი არ შეეგუა იმ უსამართლობას, რაც მის კედლებში ხდებოდა, რის გამოც უნივერსიტეტს მიღმა დარჩა. მათ უნდა მიეცეთ უნივერსიტეტში დაბრუნების საშუალება. მეორე მხრივ, აუცილებელია თვითონ უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, რაც ამ პროფესიონალების დაბრუნების გარეშე წარმოუდგენელია. ეს ორი ფაქტორი ურთიერთგანმსაზღვრელია. ალბათ ძნელად თუ მოიძებნება უნივერსიტეტი, რომელმაც ასეთი დიდი როლი შეასრულა თავისი ქვეყნის ისტორიაში, ამიტომ მივიჩნევთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიენიჭოს; გარდამავალ პერიოდში დროებითი მმართველობა უნდა დაინიშნოს, რასაც ორი წელი დასჭირდება. უნდა შეიქმნას მმართველობის მოქნილი სისტემა და არა ისეთი, როგორიც დღეს არის! განა არსებობს მსოფლიოში სხვა უნივერსიტეტი, სადაც ადმინისტრაციულ თანამდებობის პირთა რაოდენობა ორჯერ აღემატება აკადემიურს?! არადა, პირიქით უნდა იყოს. დღევანდელ უნივერსიტეტში სიტუაციას მკვდარი წერტილიდან ვერ დაძრავ, რადგან იქაურობა ციხე-სიმაგრედ აქვთ გადაქცეული, თვითონ კი შიგ თავს კარგად გრძნობენ. უნდა ვიჩქაროთ, რადგან ისედაც მთელი თაობები დაგვრჩა საფუძვლიანი განათლების გარეშე, უცოდინართა არმია არ უნდა გავზარდოთ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ Ნ. ᲙᲕᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲑᲘᲒᲐ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲘᲐᲜᲘᲫᲔ: „ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲐ, ᲑᲣᲨᲐ ᲙᲘᲙᲐᲑᲘᲫᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ!“

როგორც რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე გაზეთ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნავს, **„ნაციონალურ მოძრაობას“** ხელისუფლებაში დაბრუნების იმედი არ უნდა ჰქონდეს, ბიძინა ივანიშვილი კი ხალხს სიკეთეს მოუტანს. რეჟისორი ანსამბლ **„ერისიონის“** რუსეთში გასტროლებსაც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ანსამბლს ყალბი პატრიოტები აკრიტიკებენ.

„რუსეთში მუშაობდა ბევრი ქართველი ხელოვანი, რომლებმაც სააკაშვილის მხარდაჭერის გამო რუსეთის ლანძღვა დაიწყეს. დიდი სირცხვილი იყო, როდესაც ბუბა კიკაბიძე რუსეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის მერე რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდა. კულტურულ ურთიერთობებთან ბრძოლა ყველაზე დიდი უგუნურებაა.

ვუსმენ სააკაშვილს და მხოლოდ ერთი აზრი მებადება – ეს კაცი არ არის ჯანსაღად. სააკაშვილისთვის არა თუ ქვეყნის, არამედ საამქროს ჩაბარებაც არ შეიძლებოდა“, – აღნიშნავს ლორთქიფანიძე.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

100 ᲑᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘᲓᲐᲜ 98 ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲛᲔᲩᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲐ!

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელის გიული ჯაყელის განცხადებით, ბათუმის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მეჩეთის მშენებლობას ეწინააღმდეგება.

როგორც ჯაყელმა **“ობიექტივს”** აუწყა, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ორგანიზებით ბათუმში გრძელდება მოსახლეობის გამოკითხვა მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით.

“შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი 100 გამოკითხულიდან 98 ბათუმში მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგია. გამოკითხვა კვლავ მიმდინარეობს. მე, როგორც ერთ-ერთი ბათუმელი, არ ვარ თანახმა, რომ ბათუმში მეჩეთი აშენდეს. თითქმის ყველა სოფელშია მოქმედი მეჩეთი, რომლებიც ლოცვის დროს ნახევრად ცარიელია. ამ მეჩეთის მშენებლობას მუსლიმანთა გარკვეული ნაწილი ითხოვს, რომელიც თურქეთის გავლენით მოქმედებს”, – განაცხადა გიული ჯაყელმა.



ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲐ

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც “ლიბერთი ბანკში” გახსნილია ანგარიში. GE36LBO111199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაურ გახარია.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-214

„მაშასადამე, არაგვისა და მტკვრის შესართავთან დგას უკვდავების თასის წმინდა გრაალის მფლობელი არიელ (ლაზ) ქურუმთა მთავარი ტაძარი სვეტიცხოველი (სვეტი-ცხოველი ანუ სვეტიძე ღმერთი და ცხოველი-მაცხოვნებელი, მაცოცხლებელი, სიცოცხლის მომნიჭებელი), რომელიც არის ქვის წიგნი, ნივთიერი დოკუმენტი არიელ ქურუმთა ღვთიური არსებობისა და მათი ბრწყინვალე მოღვაწეობისა, რასაც ადასტურებს სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ფასადზე ამოტვიფრული გონიო (კანონი სიმბოლო) და ხელი (წმინდა წერილების ავტორობის ნიშანი). არიელ ქურუმთა დამწერლობას, ენას, მოძღვრებასა და მეცნიერულ-მართლმადიდებლურ რელიგიას ეწოდება ლაზარე, მათ კი ერთად აღებულს – უკვდავების ოქროს თასი – სიცოცხლის წმინდა ბარძიმი – გრაალის თასი, რომელსაც დაეძებდა მთელი წიგნიერი კაცობრიობა". (მირიან ქართველი, ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორია, წიგნში **„იესოს სულით ცხებული"**, თბ., 2001, გვ. 95-96.).

უფრო გვიანდელ ნაშრომში მ. ქართველი ამბობს:

ქრისტეს მართალი სიტყვის (ინფორმაციის) წინააღმდეგ აქტიურად და თავგამოდებით მებრძოლ წიგნიერ ადამიანებს, ურია-მასონები (ცრუ სიტყვის მამები) გმირებს უწოდებენ, ხოლო ქრისტეს მართალი სიტყვის დამცველებს – გოი-მებს. თანამედროვე საქართველოში ანტიქრისტეს გმირებია: ედუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი, სააკაშვილი, ჟვანია, ბურჯანაძე, და ა.შ. ხოლო მათ გოიმებად (სულელებად) მიაჩნიათ: ზვიადი, მერაბი და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი.

მ. ქართველი შემდეგ აგრძელებს: **„ლაზურ (ქართულ) არეალში მცხოვრები ტომებისათვის შედგენილ სასწავლო პროგრამას ეწოდა „ვარდი". თეოლოგმა პატრიარქმა და სახელმწიფო მოღვაწემ უნდა იცოდეს, რომ დამწერლობა, სასულიერო-სახელმწიფო ენა, მოძღვრება და განათლების ერთიანი სისტემა არის ძლიერი ოჯახის, საზოგადოებისა და ეროვნული სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედი, რომელსაც ვერ დაშლის და გაანადგურებს ვერავითარი ეშმაკი და სატანა (ბოროტი ძალა). ქართული ეთნოსისათვის შედგენილ სასწავლო პროგრამას ეწოდებოდა „ვარდი" (უმაღლესი ხარისხის, ამიტომ არიელ ქურუმთა მიერ განვლილ საგანმანათლებლო მართალ გზას ეწოდება „ეკალი" (ამიტომ ვარდი – ქრისტეს სიბრძნე, უეკლოდ არ მოიკრიფება). სასწავლო პროგრამა ვარდის გამარტივებული სახეა და ფორმაა – მითი და ზღაპარი. თავდაპირველი პროგრამა – ვარდი კაცობრიობის სულიერი სიმწიფის კვალობაზე შვიდსაფეხურიან მარტივ და უმარტივეს პროგრამად დიფერენცირდებოდა და კაცობრიობას ეძლეოდა, როგორც პური არსობისა (მხედველობაშია ცნობიერი პური). აი, ასე და ამგვარად მიიღო კაცობრიობამ წიგნიერი განათლება, რომლის ფუძემდებლები და ავტორები ლაზი (ქართველი) ქურუმები არიან".**

თავი მეექვსე
ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში

წარსულისადმი პატივისცემა, აი თვისება, რომელიც განასხვავებს განათლებულობას ველურობისაგან.
პუშკინი

ერს ვერაფერს დაუმალავ, გაიგებს, გამოფხიზლდება და დაიქუხებს.
ვაშა

საქართველოში განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობას. კოლხეთში ქრისტიანობა ჯერ კიდევ I საუკუნეში ღვთისმშობლის მიერ მოვლინებულმა სვიმონ კანანელმა და ანდრია მოციქულმა (პირველწოდებულმა) იქადაგეს. **„იესოს აღდგომის შემდგომად წილის ყრით – ივერიაში დედა ღვთისმშობელს უნდა ექადაგა, მაგრამ დრო იყო მოწევნილი მისი ამა ქვეყნით გასვლისა და თავისი ძის უპირველეს მოწაფეს, ანდრია პირველწოდებულსა და სვიმონ კანანელს გადააბარა ეს საღვთო საქმე, რომელიც იესო ქრისტეს წამების შემდეგ მალევე მოხდა. ასე რომ ნერგი კეთილი პირველსავე საუკუნეში დანერგილიყო ქართველთა შორის".**

ანდრია მოციქულმა უფლის ნებით წმ. მარიამის შეწევნით და მიმართებით ქრისტიანობა იქადაგა – საქართველოსკენ გამოემგზავრა უფლის ამაღლებიდან (30 წ. 18 მაისი) მეათე დღესა, ვარაუდობენ, რომ ანდრია პირველწოდებული საქართველოში იმყოფებოდა 30-35 წლებში.

იმასაც გარკვევით ვარაუდობენ, რომ სიმონ კანანელმა და ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში ქრისტიანობა იქადაგეს მეფე ადერკის (1-57 წლები) მოღვაწეობის პერიოდში. მეფე მცხეთაში იჯდა და ყველანაირად ხელს უშლიდა მის მეფობის დროს დაწყებული ქრისტიანობის იდეის გავრცელებას, ქრისტიანობის გავრცელებას. ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქარტველოში იერუსალიმიდან და სამეგრელოდან შემოდიოდა.

მოციქულებმა არ იცოდნენ ქრისტეს ჯვარცმის წინა სიტყვის ზუსტი შინაარსი, რადგან ქრისტემ სიტყვა თქვა მშობლიურ მეგრულ ენაზე. ეს სიტყვები პირდაპირ შეიტანეს ისე როგორც გაიგეს. ჯვარზე გაკრულმა ქრისტემ ახსენა მეფე აიეტის მამის (ღმერთის) სახელი – **„ჰელი, ელი..."**.

ანდრია მოციქულს სამეგრელოში მრავალგზის უმოგზაურია. პირველად, როგორც ჩანს, მარტო ჩამოსულა, ხოლო შემდეგ სხვა მოციქულებთან ერთად. მარტვილის საკათედრო ტაძარი და მისი მრევლი ამაყობს იმით, რომ აქ ანდრია მოციქული და სვიმონ კანანელი – ქრისტეს ორი ღირსი მოწაფეთაგანი – ერთად იღწვოდა მარტვილში და რომ სვიმონ კანანელი განისვენებს მარტვილის საკათედრო ტაძრის ეზოშიო. ამაზე მიუთითებს აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე და ზოგიერთი სხვა მეცნიერი (სხვა მონაცემებით სვიმონ კანანელი დაკრძალულია ნიკოფსიაში (თანამედროვე ტუაფსე), კიდევ სხვა, უფრო სწორი (ზუსტი) მონაცემებით ახალ ათონში – ანაკოფიაში, თუმცა, ტერიტორიები ნიკოფსიიდან საქართველო იყო – ეს მხარე საქართველოს ეკუთვნოდა. მაგრამ ეს სწორი არ ჩანს).

იესო ქრისტეს თორმეტი რჩეული მოწაფიდან პეტრე, ანდრია პირველწოდებული, იაკობი, იოანე, ფილიპე, სვიმონ კანანელი, იუდა ისკარიოტელი, როდესაც ამ უკანასკნელმა, იესო ქრისტე გასცა და შემდეგ თავი ჩამოიხრჩო, დანარჩენმა თერთმეტმა მის ნაცვლად კენჭის ყრით აირჩია იესო ქრისტეს სამოცი მოწაფეთაგან ერთი – მატათა. მოციქულები მოღვაწეობდნენ იერუსალიმში და მის ფარგლებს გარეთაც. ამ რჩეული მოციქულებიდან ორი კოლხეთში გამოიგზავნა (როგორც ჩანს მესამე – მატათაც გამოიგზავნა).

ცნობა ანდრია მოციქულის როგორც ქრისტიანობის პირველი მქადაგებლის მოღვაწეობის შესახებ, საქართველოში ცნობილი გახდა XI საუკუნეში. ანდრია მოციქული სკვითების განმანათლებლადაც ჰყავდათ მიჩნეული. მისი კოლხეთში მოღვაწეობის შესახებ პირველი ცნობა აქვს ნიკიტა პაფლაგონიელს, ანდრია მოციქულის საქართველოში საქმიანობის შესახებ ბიზანტიურ-მწერლობაში IX ს. მეორე ნახევარში ჩნდება, საიდანაც საქართველოში შემოსულა X-XI საუკუნეებში. პირველი გარკვეული ცნობა ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ მოეპოვება გიორგი ათონელს (მთაწმინდელს) – XI საუკუნეში. ანდრია მოციქულის ეთნიკური წარმომავლობის დადგენა ძნელია. სვიმონ კანანელი კოლხეთში ეწამა და როგორც აღინიშნა ახალი ათონის მთაზე დაუკრძალავთ.

ქრისტეს მცნების საქადაგებლად, წერს პროფ. ვ. გოილაძე, – ანდრია პირველად **„მეგრელთა სოფლის"** (ქვეყნის) ქალაქ ტრაპიზონის (პონტოს კაპადოკია) ეწვია. ტრაპიზონიდან ანდრია მესხეთში შემოვიდა და აწყურისაკენ მიმავალმა გზად ზადენგორა გამოიარა. **„ზადენი"** მუშქთა მიერ მცირე აზიიდან შემოტანილი წარმართების დროინდელი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მთავარი კერპი იყო.

პავლე ინგოროყვას (**რადგან ლაპარაკია** გამოჩენილ მეცნიერზე, დიდი პატრიოტზე, პავლე ინგოროყვაზე, იმასაც ვიტყვით, რომ პავლე ინგოროყვას განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიასა და აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან (ორივე უკანასკნელნი წარმოშობით აბაშის რაიონიდან იყვნენ), როცა XX ს-ის 20-იან წლებში კ. გამსახურდია დააპატიმრეს და მოსკოვის **„ბუტირკის"** ციხეში, როგორც საშიში დამნაშავე, ერთკაციან საკანში მოათავსეს, პავლემ მოსკოვში მასთან წერილი და პირსახოციც კი შეგზავნა, რომლსაც ეწერა პავლეს მეუღლის ქალბატონ ქეთო ბაქრაძის მიერ ამოქარგული სიტყვები **„დილა მშვიდობისა"**. პ. ინგოროყვა კ. გამსახურდიას გამოსახსნელად იმდენჯერ ჩავიდა მოსკოვში და **„ჩეკას"** უფროსობას ისე მოაბეზრა თავი, რომ ერთ-ერთ ჩინოვნიკს უყვირია **„Или арестуйте этого Ингороква, или освободите Гамсахурдия."** დიდი მამულიშვილი პავლე ინგოროყვა ამბობდა: მე ვარ ჯარისკაცი, ჩემი ქვეყნისა, მოუარეთ საქართველოს თხოვდა ყველას.) კოლხური აფხაზეთი, როგორც ტომობრივი შემადგენლობით, ისე გეოგრაფიულ-ტერიტორიულად დაყოფილი აქვს ექვს ერთეულად: 1. მთიანი აფხაზეთი ანუ ძირითადი აფხაზეთი; 2. ზღვისპირეთის აფხაზეთი ანუ ძველი სამხრეთ პენიოხეთი – სანიხეთი, სანიგეთი – ისტორიული აფხაზეთის ზღვისპირა მხარე – ცენტრი ცხუმი; 3. შიდა პენიოხეთი – სოჭის რაიონი, მდ. აბასხის (მძითის) ხეობის დასავლეთიდან მდინარე ახენუთამდე (შახე); 4. აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი – ტუაფსიდან მდ. ახენუთას შესართავიდან ნიკოფსიამდე, მთავარი ცენტრი იყო ნიკოფსია (ძველი სახელი **„ლაზიკა"**); 5. აფსილეთი, მდ. კელასურის (ძველი კორახი) ზემო ნაწილი, გუმისთის ხეობიდან კოდორის ხეობამდე. მთავარი ცენტრი იყო წიბელი-წებელდა; 6. მისიმიანეთი – წებელდის ზემოთ კოდორის უღელტეხილამდე, მთავარი ცენტრი ჩხარი – ჩხალი (ჩხალთა), რომელსაც **„რკინის ციხე"** ერქვა. პ. ინგოროყვა გამოყოფს კიდევ ერთ პროვინციას, რომელიც არ ეკუთვნოდა აფხაზეთს – მდებარეობდა აფხაზეთსა და შიდა ეგრისს შორის, რომელსაც ძველი ქართული მატიანე **„ეგრისს – წყალსა და კლისურას შუა ქვეყანას"** უწოდებს.

ფაქტია, რომ აფხაზეთის ჯიქეთის ცენტრი – ქალაქი ნიკოფსიის ძველი სახელწოდება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იყო **„ლაზიკა"**. არიანეს პერიპლუსში, აგრეთვე V საუკუნის ანონიმ გეოგრაფოსის პერიპლუსში, ეს პუნქტი მოიხსენიება როგორც **„ძველი ლაზიკა"** - აღაია აზიჰ (იხ. **ნანა შენგელია „შუა ქვეყანა"** (პავლე ინგოროყვას **„გიორგი მერჩულეს"** მიხედვით), ჟურნ. **„რიწა"**, 2002, №3-4, გვ. 128-129, ამას განმეორებით ხაზგასმით აღვნიშნავთ).

ამრიგად, ცხუმის თემი, ლიხნი, გუდაუთის რაიონი ანაკოფიის (ახალი ათონის) ტერიტორიიდან მოყოლებული მდინარე მიჭის ხეობამდე, ეგრისის წყლის (მდ. ღალიძგა) სანახები-მოქვი და სხვა – დასახლებული იყო მეგრელებით. V საუკუნის გეოგრაფოსი წერს: **„დიოსკურიიდან ვიდრე აფსარამდე (დღევანდელი სარფი, ბათუმის რაიონი) სახლობს ხალხი, რომელსაც ეწოდება კოლხი, და რომელსაც ამჟამად გადარქმეული აქვს სახელი, როგორც ლაზი"**. (მე-17, მე-18 საუკუნემდე ეგრისწყალს (ღალიძგას), შენარჩუნებული ჰქონდა სახელი. არქანჯელო ლამბერტი მას მოიხსენიებს **„ეკარისისი" – „ეგრისი"** სახელწოდებით.) VIII საუკუნეშიც, ასევე უფრო ადრეც და უფრო გვიანაც, აფხაზეთი დასახლებული იყო ქართველი ტომებით (უმთავრესად კოლხ-ლაზები) და ლაპარაკობდნენ ქართველურ ენაზე, ისე როგორც ქართები, მეგრელები, სვანები. (**პავლე ინგოროყვა,** გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 116, 127-129. პავლე ინგოროყვა როდესაც ლაპარაკობს თამარ მეფის გულზე საკიდ ჯვარზე მითითებული აქვს თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ. 130 და ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში-კრებულში: „ძველი საქართველო", III, გვ. 131; აგრეთვე მიუთითებს აკად. ნ. კონდაკოვზე და წიგნზე **„Опись памятников древностей в не которых храмах и монастырях Грузии", проф. Н.Кондакова, Грузинские надписи прочтены и истолкованы Д.М.Бакрадзе"**, გვ. 87-88. **„ამრიგად,– ასკვნის პ. ინგოროყვა,– ხატი შოთას ძმის გრიგოლის წარწერით, დაცული ყოფილა ხობის მონასტერში 1880-იან წლებში, როდესაც იქ იყვნენ ნ. კონდაკოვი და დ. ბაქრაძე"** (იხ. პავლე ინგოროყვა, შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, წიგნი I, 1970, გვ. 466).) მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა დასახლება აღწევდა დღევანდელ ტუაფსემდე. ტერიტორიები შიდა ეგრისიდან, ბედიიდან, – კელასურის კედელი, ჩრდილოეთით ფარნავის ქედი, შავ ზღვამდე, **„შუა ქვეყანა"**, კოდორის რეგიონი მე-17 საუკუნეშიც ოდიშის ნაწილი იყო. ამაზე ლაპარაკობს არქანჯელო ლამბერტი და კორნელი ბოროზდინიც თავის წიგნში **„სამეგრელო და სვანეთი"** (1854-1861). კ. ბოროზდინი 1854 წლიდან იმყოფებოდა სამეგრელოში, 1858-1967 წლებში იყო სენაკის ოლქის უფროსი. ([1] **კორნელი ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი 1851-1861, თბ., 2004, რედაქტორი ჯემალ შელია.).

პ. ინგოროყვა ხაზგასმით ამტკიცებს, რომ აფხაზები ერთ-ერთი ქართველური ტომია. სახელწოდება **„აფხაზეთი"** როგორც ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი პირველად შემოდის ხმარებაში VIII საუკუნის მეორე ნახევარში.

პროფესორი გივი როგავა აღნიშნავს, რომ ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი აფხაზეთში ჩადიან I საუკუნის 40-იანი წლების დასასრულს, ხოლო IV საუკუნეში დიოსკურიაში (სოხუმი) ეპისკოპოსი იჯდა, ბიჭვინთაშიც ეპისკოპოსი ჰყოლიათ (სტრატოფილე). 536 წელს აფხაზეთში აუგიათ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, 541 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქს ბიჭვინთაში დაუარსებია საარქიეპისკოპოსო, რომელიც შემდგომში დასავლეთ და ზღვისპირა საქართველოში ქრისტიანობის ცენტრი გამხდარა. მანამდე, IV საუკუნეში ბიჭვინთაში არსებულა ბაზილიკური ტიპის ეკლესია, რომელიც მდიდრულად ყოფილა მორთული – წერს პროფ. გივი როგავა.

რადგან აფხაზეთზეა ლაპარაკი, აქვე გვინდა ვთქვათ, აფხაზეთი წარმომდგარია ლაზურ-მეგრული სიტყვიდან (ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი). ადრე აქ სახლობდნენ შარაშიები (შარაშია), რომელნიც ლაზური წარმოშობისანი არიან. შარაშიები თავადები იყვნენ და ჯერ მოსახლეობდნენ გალის რაიონის სოფელ საბერიოში, შემდეგ მთელ აფხაზეთში. დღესაც საბერიოში არის ტოპონიმი **„შარაშიას ნოხორი"** (შარაშიას ნასახლარი) **„შარაშიას ტყა"** (შარაშიას ტყე) გალის რაიონის სოფელ განახლებაში, **„შარაშიას სათიბები"** სოფელ ბედიაში და სხვა. შარაშია შემდეგში გადაკეთდა: შარაშენიძე, შარვაშიძე, შარაშიძე, შერვაშიძე.

მეგრული წარჩინებული გვარები ანჩბაია, ავიძბაია, ინალისქუა, ემხვარი, ზვამბია, მარღანია, აქირთავა, ლაკირბაია – შემდეგში აფხაზებად ეწერებოდნენ.

აფხაზი მეცნიერები აფხაზებად თვლიან ლაზური გვარის მატარებლებს: აბაშ, აბიშ, არუნიშ, ბაითაშ, ბაგაპშ, ბარაბაშ, ბექირიშ, ვანილიშ, თანალიშ, ინაპშ, კაპშ, ტრაპშ, ტუღუშ, ცარგუშ, ძვიშ, ხალვაშ, სპატივშ, ჯაშ, ჯევაშ და სხვა.

როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში მრავალმა მეგრულმა გვარმა შეიძინა **„ძე"** დაბოლოება გურიაში, იმერეთში, რაჭაში, აჭარაში.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის იდუმალებით მოცული ისტორია

“სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა – გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!” – ამ სიტყვებით მიმართა იმჟამად ჯერ კიდევ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 9 აპრილს დეპუტატებს, მთელ ქვეყანას და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მალევე სხდომის დარბაზშივე დაიწყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე სახეიმო ხელმოწერა. **“სახალხო ფრონტის”** ლიდერმა ნოდარ ნათაძემ იმავე სხდომაზე განაცხადა, დღეს არაფერი მთავრდება, მხოლოდ იწყებაო, თუმცა იმხანად ვერავინ წარმოიდგენდა იმ საშინელ ქარტეხილებს, რაც ქვეყანას ელოდა. სწორედ ამ ქარტეხილების შედეგია დამოუკიდებლობის აქტის დედნის საიდუმლოებით მოცული ისტორია, უფრო სწორად, მისი გაუჩინარების ამბავი. არსებობს არაერთი ვარაუდი, როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის გარშემო, თუმცა საფუძვლიანი გამოძიება დღემდე არ ჩატარებულა და იმედი, რომ ქართველები ოდესმე დავიბრუნებთ ამ ისტორიულ დოკუმენტს – ნელ-ნელა ქრება. ის შენობები, სადაც შეიძლებოდა აქტი შენახული ყოფილიყო, დაიწვა და განადგურდა.

აი, რას იგონებს **ჰამლეტ ჭიპაშვილი**, იმ დროს უზენაესი საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელი:

– საბედნიეროდ, წელიწადში ერთხელ მაინც გვახსენდება ეს აქტი, სულ არარაობას, ესეც კარგია. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების გაცხადების შემდეგ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ რამდენიმე კაცს დაგვავალა, სასწრაფოდ შეგვემუშავებინა დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი, ამის საფუძვლად კი გამოგვეყენებინა 1918 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. თითქმის ყველა პარამეტრი 26 მაისის დეკლარაციისა გავიზიარეთ, მეტიც – ფორმაც ზუსტად ისეთივე შევარჩიეთ. როდესაც მოვრჩით ამ დოკუმენტის შემუშავებას, დაინიშნა უზენაესი საბჭოს სხდომა, რიტუალი ასეთი იყო: უზენაესი საბჭოს შენობის დარბაზში, მთავარი ტრიბუნის წინ, უნდა მდგარიყო პატარა მაგიდა, სადაც იქნებოდა მუყაოს დიდ ქაღალდზე დაბეჭდილი ტექსტი, რომელზეც მოაწერდნენ ხელს დეპუტატები. აქტზე ხელმოწერის უფლება ითხოვა მინისტრთა საბჭომაც, რაზეც ბატონი ზვიადი მცირე ფიქრის შემდეგ დათანხმდა. მოგეხსენებათ, რაოდენ უსაზღვრო იყო ბატონ მერაბ კოსტავას წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობაში, შესაბამისად, ზვიად გამსახურდიამ შემოგვთავაზა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ დოკუმენტს ხელს მოაწერდა მერაბ კოსტავას დედა, ქალბატონი ოლღა დემურია-კოსტავა. ქალბატონი ოლღა მე თვითონ მოვიყვანე სახლიდან ამ საზეიმო სხდომაზე დასასწრებად. მოკლედ, ხელმოწერის დასრულების შემდეგ, რადგან მე გახლდით უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსი, დოკუმენტი ჩამოვიტანე ჩემს კაბინეტში, დავუსვი უზენაესი საბჭოს ბეჭედი და დავადასტურე ჩემი ხელმოწერით.

– ქალბატონმა ოლღამ დედანზე მოაწერა ხელი?

– დიახ. ამ აუცილებელი პროცედურის შემდეგ გამომცემლობა **“საბჭოთა საქართველოს”** ხელმძღვანელ ვახტანგ ესვანჯიას ინიციატივით აქტს ფოტო გადაუღეს, მეორე დღესვე უნდა დაწყებულიყო მისი გამოცემა და გავრცელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. აქტის ფოტოები ასევე გადაიღეს საინფორმაციო სააგენტო **“საქინფორმის”** წარმომადგენლებმა, პრესაში გამოსაქვეყნებლად. ეს ყველაფერი შეთანხმებული იყო ზვიად გამსახურდიასთან, დილით კი აქტი, თავისი ხელმოწერებით, გაზეთებში გამოქვეყნდა. 9 აპრილსვე, სადამოს ცხრა საათზე, დამირეკა ბატონმა ზვიადმა და მთხოვა, ამეტანა მისთვის ორიგინალი, ასეც მოვიქეცი, მან ნახა, მოიწონა და მითხრა, რომ დაიტოვებდა და დილით დამიბრუნებდა. დილით მართლაც დამიბრუნა, თუმცა მასზე გაჩნდა მისი მეუღლის, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ხელმოწერა. თანაც ზვიადმა მთხოვა, ხელმეორედ გამეშვა აქტი გაზეთებში დასაბეჭდად, უკვე მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ხელმოწერით. უხერხულია-მეთქი, მაგრამ მითხრა, არა უშავსო. მეორე დღეს გამოსულ გაზეთებში უკვე ამგვარად ხელმოწერილი აქტი გამოქვეყნდა. ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ ორიგინალი წაიღო ბატონმა ზვიადმა, რის შემდეგაც აღარ დაუბრუნებია. ხშირად ვახსენებდი, რომ დაებრუნებინა, მეუბნებოდა, შინ მაქვს და აუცილებლად დავაბრუნებო. მერე სამოქალაქო ომი დაიწყო და საერთოდ გაქრა დედნის ასავალ-დასავალი. როგორც ვიცი, მან ეს დოკუმენტი წაიღო ემიგრაციაში, გროზნოში, მერე რა ბედი ეწია, ვერ გეტყვით.

ამ ვერსიას ადასტურებს იმჟამინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **თენგიზ სიგუა:**

– როგორც ვიცი, რომ გაიგო მერაბ კოსტავას დედამ მოაწერა აქტზე ხელიო, გადაირია არჩვაძის ქალი და მოითხოვა მისთვისაც მიეცათ ხელმოწერის უფლება. როგორც მახსოვს, ეს ამბავი ზვიადს სულაც არ სიამოვნებდა. როცა ზვიად გამსახურდიამ მეორედ წაიღო დოკუმენტი ჭიპაშვილისგან, იმავე საღამოს დამირეკა ჰამლეტმა და მითხრა, თუმცა ეს უცნაურად არ მომჩვენებია, ვიფიქრე, კაცი ქვეყნის პირველი პირია, სჭირდება, ალბათ, და 2-3 დღეში დააბრუნებს-მეთქი. თუმცა 2-3 დღე კი არა, პერიოდულად მირეკავდა ჰამლეტი და მეუბნებოდა, არ მიბრუნებსო. ერთიორჯერ მეც შევახსენე ზვიადს და მიპასუხა, – კი, კი, რასაკვირველია, დავაბრუნებო. მაგრამ დღემდე ეს დედანი არსად ჩანს, გამქრალია.

– სად შეიძლება დღეს ინახებოდეს აქტის დედანი, ხომ არ ფიქრობთ, რომ განადგურებულია?

– არა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ აქ, თბილისშია გადამალული.

ამავე კითხვით მივმართეთ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ **ნემო ბურჭულაძეს**:

– სამწუხაროდ, ამის თაობაზე არაფერი ვიცი. სჯობს, ეს ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ჰკითხოთ. ჰქონდა თუ არა პრეზიდენტს გროზნოში დამოუკიდებლობის აქტი, არ ვიცი. მოგვიანებით მოვიკითხეთ, ვცადეთ მოგვეძებნა, მაგრამ ვერაფერი გავარკვიეთ.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომლის მიხედვითაც დედანზე კი არა, ასლზე მოაწერა ხელი მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ. ამ ვერსიას იზიარებს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბესარონ გუგუშვილი, რომელსაც კომენტარისთვის სოციალური ქსელით დავუკავშირდით. მის პასუხში ვკითხულობთ:

“პუტჩის წინაც, მის შემდეგაც და დღემდე გრძელდება ყოვლად უსინდისო და უსირცხვილო მაქინაციები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შესახებ. კერძოდ, პუტჩისტები და ნეოპუტჩისტები ავრცელებენ დეზინფორმაციას, თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალურ ეგზემპლარზე, ანუ დედანზე, არის ქალბატონ მანანა არჩვაძის ხელმოწერა (სამწუხაროდ, ამბობდნენ, რომ ამას რაღაც მოსაზრებებით თვით ქალბატონი მანანაც ადასტურებდა). სინამდვილე კი ასეთია: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღების წინ სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების (რომელიც დააფუძნა ბატონმა მერაბ კოსტავამ) გამგეობამ, როგორც მმართველმა პარტიამ (საზოგადოებას ჰყავდა უზენაეს საბჭოში დეპუტატები) მიმართა ბატონ ზვიად გამსახურდიას თხოვნით, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთი ეგზემპლარი საგანგებოდ და სპეციალურად მიეძღვნათ მერაბ კოსტავასადმი დამოუკიდებლობის აღდგენაში მისი უდიდესი ღვაწლის აღსანიშნავად.

ბატონ ზვიადს ეს იდეა მოეწონა და გასცა განკარგულება, გაემზადებინათ ხელმოწერებისათვის დეკლარაციის დოკუმენტის კიდევ ერთი, დამატებითი ეგზემპლარი საგანგებოდ მერაბ კოსტავას სამახსოვროდ. უზენაესი საბჭოს სესიაზე დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის ოფიციალურ ეგზემპლარზე, ანუ დედანზე, ხელი მოაწერეს მხოლოდ ხელისუფლების წევრებმა. ხოლო მერაბ კოსტავას სამახსოვრო ეგზემპლარზე კი ხელი მოაწერეს როგორც ხელისუფლების წევრებმა, ასევე ქალბატონმა ოლღა დემურიამ (მერაბის დედამ) და სხვა პირებმაც. მათ შორის, ბატონი მერაბის თანამებრძოლისა და ოჯახის მეგობრის სტატუსით ქალბატონმა მანანა არჩვაძემაც. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ეს სამახსოვრო ეგზემპლარი შემდგომ (თუ არ ვცდები, ბატონ მერაბის დაბადების დღეს) გადაეცა ქალბატონ ოლღა დემურიას.”

ამ ვერსიის მიხედვით, შემდგომ მიზანმიმართულად გააქრეს აქტის დედანი და გაამრავლეს ის ასლი, რომელზეც მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ხელმოწერა იყო, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაცია რომ მოეხდინათ. ბესარიონ გუგუშვილი სვამს კითხვას: **“ხომ არ დაიკარგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი (რომელზეც არ არსებობს მანანა არჩვაძის ხელმოწერა) რაღაც ინტრიგებისა და ინსინუაციების დასაფარად? ხომ ცნობილია, რომ პუტჩისტები აქტზე მანანა არჩვაძის ხელმოწერას მნიშვნელოვან პროპაგანდისტულ არგუმენტად იყენებდნენ და დღესაც იყენებენ!”**

აქვე გთავაზობთ **ბესარიონ გუგუშვილთან** სოციალური ქსელით მიმოწერის ფრაგმენტს:

– თქვენი ინფორმაციით, არსებობდა აქტის ორი ეგზემპლარი?

– აქტის დედანი ერთი იყო, ასლები კი – მრავალი...

– ქალბატონი მანანას ხელმოწერა ასლზე იყო?

– დიახ.

– ჭიპაშვილის მტკიცებით, ბატონი ზვიადი დამოუკიდებლობის აქტს შინ ინახავდა, თქვენ იცით რაიმე ამის თაობაზე?

– მტკიცება რას ნიშნავს? თქვენ გეტყობათ ვერ ამჩნევთ განსხვავებას **“მტკიცებასა”** და ყბედობას შორის. **“მტკიცებას”** მტკიცებულებები, დოკუმენტები სჭირდება.

– თქვენი ვარაუდით, დედანი შეიძლება მიზანმიმართულად იყოს განადგურებული?

– ვარაუდები არ მაქვს. მაქვს ეჭვი... ვიცნობ რა მაგ მხეცის ხასიათსა და ზნეს, ეს ეჭვი გამიჩნდა...

– ვის გულისხმობთ?

– საქართველოს დამაქცევართა კრიმინალურ ხროვას...

ამის თაობაზე ვკითხეთ ნემო ბურჭულაძესაც:

– ბატონო ნემო, არსებობს ვერსია, რომ იყო დედანი და იყო მისი ასლი, რომელზეც მოაწერეს ხელი მერაბ კოსტავას დედამ და ექსპრეზიდენტის მეუღლემ.

– არ ვიცი, ჩვენ ხელი მოვაწერეთ ერთადერთ ეგზემპლარზე, სხვა რამ ასლზე ხელი არ მოგვიწერია. მერაბ კოსტავას რა წვლილი ჰქონდა ქვეყნის დამოუკიდებლობაში შეტანილი, კარგად იცით, ასევე ცნობილია ის, რა მნიშვნელოვანი ადამიანი იყო როგორც ზვიადის, ასევე თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ მის მაგივრად ხელს მოაწერდა ოლია დეიდა, რომელიც ასევე ესწრებოდა 1991 წლის 9 აპრილის სხდომას და საზეიმო ხელმოწერაშიც მონაწილეობდა.

ამგვარი ასლის არსებობას კატეგორიულად უარყოფს ჰამლეტ ჭიპაშვილიც. თენგიზ სიგუას განცხადებით, როდესაც ის ხელისუფლებაში დაბრუნდა, მან დაავალა საგამოძიებო ორგანოებს, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრ რომან გვენცაძეს, ამ ამბის გამოძიება, თუმცა ჭიპაშვილი აცხადებს, რომ მას ამ საკითხზე არავინ დალაპარაკებია:

– გამოძიების შესახებ არაფერი მსმენია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან სამართლადამცავი ორგანოებიდან ამ საკითხზე სასაუბროდ არავინ მოსულა.

– როგორ ფიქრობთ, რა ბედი ეწია დოკუმენტს?

– პირველი ვიყავი, ვინც ომის შემდეგ შევიდა პარლამენტის შენობაში. მე და რამდენიმე თანამშრომელი ვცდილობდით, გვეპოვა რაიმე დოკუმენტები, მათ შორის, ესეც, მაგრამ ვერ ვნახეთ. ეს იყო დიდი ფორმატის მუყაოს ქაღალდზე შესრულებული ნაბეჭდი ტექსტი, მისი ჯიბეში ჩადება და წაღება ყოვლად წარმოუდგენელი იყო. თუ წაღებას გადაწყვეტდით, სპეციალურ მრგვალ ყუთში უნდა მოგეთავსებინათ. არ არის გამორიცხული, იმ არეულობის დროს გადატანა-გადმოტანაში, დოკუმენტი დაკარგულიყო ან შელახულიყო. შესაძლოა, ის გამსახურდიას ყურადღების მიღმაც დარჩა. ქვეყანაში დაბრუნებისას თან ჰქონდა თუ არა, უცნობია, ის მისი დაღუპვის ადგილასაც არ უნახავთ.

დავუკავშირდით **რომან გვენცაძესაც,** რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო:

– კი, ამ საქმეზე ნამდვილად ჩატარდა მოკვლევა, მაგრამ აქტის დედნის კვალს ვერ მივაგენით. თუმცა მისი გაუჩინარების თაობაზე მე ომამდე, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროსვე ვიცოდი. უზენაესი საბჭოს შიგნით დაკარგეს.

– ამის შესახებ ზვიად გამსახურდიას ხომ არ დალაპარაკებიხართ?

– არა, მე არ ვიყავი სამინისტროში პირველი პირი. დილარ ხაბულიანმა შეიძლება იცოდეს რამე, ის იყო მინისტრი.

– არსებობს ვერსია, რომ ექსპრეზიდენტს შესაძლოა გროზნოში წაეღო ეს დოკუმენტი.

– ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ, ზვიად გამსახურდიას არაფერში სჭირდებოდა ეს აქტი.

ვცადეთ კომენტარისთვის ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას დავკავშირებოდით, მაგრამ მან ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა. თუ მომავალში სურვილს გამოთქვამს ამ საკითხზე თავისი ვარაუდი გაგვიზიაროს, მზად ვართ, მოვუსმინოთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ისტორია მეტად აბსურდულია, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ოდესმე გამოჩნდება. კარგი იქნება, თუ სრულფასოვანი გამოძიება ჩატარდება და, ბოლოს და ბოლოს, შევიტყობთ, რა მოხდა ჩვენი დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე?

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

დამოუკიდებლობის საქვეყნოდ ცნობილი დეკლარაციებიდან ყველაზე ძველ დეკლარაციად მიიჩნევა 1320 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც შოტლანდიამ ინგლისისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1328 წელს ინგლისი იძულებული გახდა, ეცნო ამ დოკუმენტის საფუძველზე გამოცხადებული შოტლანდიის დამოუკიდებლობა.

1776 წლის 4 ივლისს მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის ორიგინალი მიჩნეულია სახელმწიფო მნიშვნელობის ღირებულებად და დღეს ინახება ვაშინგტონის ნაციონალურ არქივში, სპეციალური ინერტული აირით სავსე კონტეინერში, რომელიც დამზადებულია ტყვიაგაუმტარი მინისგან. დღის განმავლობაში დეკლარაცია გამოფენილია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნახოს, ღამით კი კონტეინერი არქივის სარდაფში, სპეციალურად დაცულ ადგილას ინახება.

მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში 2009 წლის 7 აპრილს, პოლიტიკური არეულობის დროს, პარლამენტის შენობაში ცეცხლი გაჩნდა. როგორც მომხდარიდან ცოტა ხანში გახდა ცნობილი, ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტი სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად ხანძრისას დაიწვა. ამის შესახებ ინფორმაცია ქვეყნის მოსახლეობას პრეზიდენტმა ვლადიმერ ვორონინმა პირადად მიაწოდა. მოლდოვის დამოუკიდებლობის დეკლარაციას 1991 წლის 27 აგვისტოს მოეწერა ხელი.

2010 წელს ფიჯის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ დიდი ხნის ძიების შემდეგ ვერ იპოვეს 1970 წელს გამოცემული ბრძანება ფიჯის დამოუკიდებლობის შესახებ.

დიდი ძალისხმევა დაიხარჯა ლიტვაში 1918 წლის 16 თებერვალს ხელმოწერილი დამოუკიდებლობის აქტის ორგინალის მოსაძიებლად, თუმცა ამაოდ.

2008 წელს ბანგლადეშის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც 1991 წელს პაკისტანთან ომის დროს მიიღეს.

„იმედის“ დარბევა ამერიკაში გადაწყდა?!



2007 წლის 7 ნოემბერს, ტელეკომპანია **„იმედის“** დარბევის სანქცია მიხეილ სააკაშვილს ამერიკის იმჟამინდელი ხელისუფლების გავლენიანმა პოლიტიკოსებმა მისცეს.

ამის შესახებ **„ივერიონს“** საქართველოს ხელისუფლების ყოფილმა წარმომადგენელმა უთხრა, რომელიც 2007 წელს სოლიდურ თანამდებობას იკავებდა. მისი თქმით, 7 ნოემბერს, როდესაც რიყეზე სპეცრაზმმა მიტინგი დაარბია და ხალხმა სამების ეკლესიასთან შეკრება დაიწყო, მიხეილ სააკაშვილი, უახლოეს გარემოცვასთან ერთად, შავნაბადას რეზიდენციაში იმყოფებოდა. ამ დროს მის კაბინეტში იყვნენ ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი, გივი თარგამაძე, გელა ბეჟუაშვილი, ზურაბ ნოღაიდელი, ნინო ბურჯანაძე, კახა ლომაია, ერეკლე კოდუა, დათა და ბაჩო ახალაიები და გიორგი პაპუაშვილი.

წყაროს ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ძალიან შეშინებული იყო – რაიონებიდან ხალხი თბილისში მოემგზავრებოდა, რათა დარბეულ მომიტინგეებს შეერთებოდნენ, **„იმედის“** და **„კავკასიის“** ეთერით საზოგადოებისთვის ანგარიშგასაწევი ადამიანები, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ და სააკაშვილის რეჟიმის დამთავრებისკენ მოუწოდებდნენ. სააკაშვილიც და მისი უახლოესი გარემოცვაც გრძნობდა, რომ თუ თბილისში ხალხის კრიტიკული მასა მოიყრიდა თავს, რევოლუცია გარდაუვალი იქნებოდა.

„სიტუაცია განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როცა მომიტინგეებმა თავი მოიყარეს სამების ეკლესიასთან. სააკაშვილს ჰქონდა ინფორმაცია, რომ მომიტინგეთა დარბევის გამო განრისხებული იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე. საკმარისი იყო, სამებასთან სპეცრაზმელებს სისხლი დაეღვარათ ან რომელიმე სასულიერო პირისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, რომ აწყვეტილ მასას ვეღარავინ შეაკავებდა და სასულიერო პირებიც მრევლის მხარეს ღიად გადავიდოდნენ. სააკაშვილმა კატასტროფის მოახლოება იგრძნო და ვანო მერაბიშვილს სასწრაფოდ მოსთხოვა „იმედის“ გათიშვა. მერაბიშვილმა სააკაშვილს შესთავაზა „იმედში“ ჩანერგილი საკუთარი აგენტურის მეშვეობით შიგნიდანვე მოეხდინა არხის პარალიზება. პრეზიდენტი დათანხმდა მერაბიშვილს. შს მინისტრი ცალკე კაბინეტში გადიოდა ერეკლე კოდუასთან, დათა ახალაიასთან და ამირან მესხელთან ერთად, რომ ამ სპეცოპერაციის დეტალები დაემუშავებინა. თუმცა მერაბიშვილს ეს არ დასცალდა, რადგან კაბინეტში აღელვებული გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი შემოიჭრნენ“ – განუცხადა წყარომ **„ივერიონს“.**

მისივე თქმით, გიგა ბოკერიამ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და სააკაშვილს მოსთხოვა, რომ **„იმედში“** სპეცრაზმი გაეგზავნა და ასე აღეკვეთა არხის მაუწყებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოკერია თავისი გუნდით ოპოზიციაში გადასვლით დაემუქრა. ბოკერიას მხარი უყოყმანოდ დაუჭირეს ახალაიებმა, თარგამაძემ, ლომაიამ. ვანო მერაბიშვილმა ბოკერიას არხის შიგნიდან, ტექნიკური მიზეზით გათიშვის გეგმა გააცნო. ამაზე ბოკერია და რამიშვილი ერთხმად აყვირდნენ და სააკაშვილს უთხრეს, რომ თუ **„იმედს“** სასწრაფოდ და ნებისმიერ ფასად არ გათიშავდა, რევოლუციას ვერ აირიდებდა თავიდან და მის ადგილს ბადრი პატარკაციშვილი დაიკავებდა, თავად კი იმავე საკანში ჩასვამდნენ, რომელშიც იმხანად ირაკლი ოქრუაშვილი იჯდა.

სააკაშვილისთვის ბოკერიას გუნდის ოპოზიციაში გადასვლა არანაკლები უბედურება იყო, ვიდრე რევოლუცია – მას ხელისუფლება ჩამოეშლებოდა და ამერიკისა და ევროპის კეთილგანწყობას დიდწილად დაკარგავდა. ბოკერია და მისი გუნდი ამ კეთილგანწყობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდნენ. გახლეჩილი ხელისუფლება რომც შეენარჩუნებინა სააკაშვილს, ოპოზიცია მას რამდენიმე თვეში გამოუყვანდა წირვას, რადგან ბოკერიას გარეშე იგი საპარლამენტო უმრავლესობასაც დაკარგავდა, რადგან ამ უკანასკნელის კვოტით პარლამენტში 30-ზე მეტი დეპუტატი იყო. სააკაშვილმა, ალბათ, ეს ყველაფერი გაიაზრა, რადგანაც ის ბოკერიას უყოყმანოდ დათანხმდა იმ პირობით, რომ ამის ნებართვა ამერიკის ადმინისტრაციისგან უნდა მიეღოთ. გიგა ბოკერიამ სააკაშვილს უთხრა, რომ ამის თაობაზე მან უკვე დაურეკა ამერიკელ სენატორებს – ჯოზეფ ლიბერმანსა და რიჩარდ ჰოლბრუკს, რომლებიც შეჰპირდნენ, რომ დაიყოლიებდნენ ამერიკის ვიცეპრეზიდენტს დიკ ჩეინს, რომელსაც უზარმაზარი გავლენა ჰქონდა. ბოკერიამ და სააკაშვილმა დახმარება კიდევ ერთ სენატორს სთხოვეს – ჯონ მაკ-კეინს და მას ორივე ესაუბრა ტელეფონით. მაკ-კეინმა, ლიბერმანმა და ჰოლბრუკმა დიკ ჩეინისგან თანხმობა მიიღეს, რომ სააკაშვილს დაერბია დამოუკიდებელი ტელეკომპანია. ამის შესახებ სააკაშვილს მაკ-კეინმა აცნობა. სააკაშვილმა ამ გადაწყვეტილების შესახებ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს მეთიუ ბრაიზას მოახსენა, რომელიც თბილისში იმყოფებოდა. ბრაიზამ ხელები დაიბანა და საქმეში არ ჩაერია, რადგან მასში ვიცეპრეზიდენტი და გავლენიანი სენატორები იყვნენ გარეული. ანალოგიურად მოიქცა ამერიკის ელჩი საქართველოში – ჯონ ტეფტი. თუმცა ორივე მათგანი შეჰპირდა სააკაშვილს, რომ ტელეკომპანიის დარბევის მერე შეეცდებოდნენ მის გამართლებას. სწორედ ამის შემდეგ დაავალა მიხეილ სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილს **„იმედის“** დარბევა და იქ მომუშავე ჟურნალისტების სამაგალითოდ დასჯა.

წყაროს თქმით, სააკაშვილმა უშუალოდ უბრძანა მერაბიშვილს, რომ ტელეკომპანიაში ყველაფერი დაელეწათ, თუმცა მინისტრი ისე იყო გამწარებული ხალხსა და ოპოზიციაზე, უამისოდაც არ დაინდობდა არავის და არაფერს. მეორე დღეს, 8 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში სპეცრაზმის შეჭრის, არხის გათიშვისა და ჟურნალისტებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო მწვავედ გააკრიტიკეს მეთიუ ბრაიზამ და ჯონ ტეფტმა. იმავე საღამოს, ამერიკულმა საგენტოებმა გაავრცელეს ლიბერმანისა და ჰოლბრუკის კომენტარები – ორივე მათგანი ღრმა შეშფოთებას გამოთქვამდა დამოუკიდებელი ტელეკომპანიის დარბევის გამო და უმწვავესად გააკრიტიკეს მიხეილ სააკაშვილი.

ერთი სიტყვით, ყველაფერი წინასწარ შეთანხმებული სცენარით წარიმართა – დამოუკიდებელი ტელეკომპანია სამაგალითოდ დაარბიეს, ჟურნალისტები სასტიკად სცემეს, ხოლო ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობიდან გადადგა. თუმცა მის ხელისუფლებას ძვრა მაინც ვერ უყვეს. სააკაშვილი ისევ პრეზიდენტად მოგვევლინა, არჩევნების თავხედურად გაყალბების შედეგად, ხოლო მან და მისმა ბანდამ პოლიტიკური ზეწოლისა და ფსიქოლოგიურ-ფიზიკური ანგარიშსწორების მეთოდები კიდევ უფრო **„დახვეწეს“.**

ზაურ ნაჭყებია,
საინფორმაციო-ანალიტიკური
სააგენტო “ივერიონი”

აკადემიკოსი ილია ვეკუა

2013 წლის 23 აპრილს სრულდება გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის დიდი ორგანიზატორის, საზოგადო მოღვაწის ილია ნესტორის ძე ვეკუას დაბადებიდან 106 და გარდაცვალებიდან 36 წლისთავი.

აფხაზეთში, გალის რაიონში (სამურზაყანო), ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებულმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ თავისი შრომისმოყვარეობით და უდრეკი ნებისყოფით გაიარა გზა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგითი სტუდენტიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიჟული მათემატიკური დაწესებულებების ხელმძღვანელის, საქვეყნო სამეცნიერო და საზოგადოებრივი აღიარების მწვერვალებამდე; მან, ნიკო მუსხელიშვილთან ერთად, საქართველოს მათემატიკურ სკოლას მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

აღსანიშნავია, რომ უსწავლელმა, მაგრამ ბუნებრივი სიბრძნით შემკულმა მამამ – ნესტორ ვეკუამ, ოჯახის მარჩენალი კამეჩი გაჰყიდა, რათა ნიჭიერ ახალგაზრდას თბილისში ჩასვლისა და რამდენიმე თვე თავის შენახვის საშუალება ჰქონოდა.

ახალგაზრდა მეცნიერის განსაკუთრებული ნიჭიერება ღირსეულად განჭვრიტეს ქართული მათემატიკური მეცნიერების ისეთმა კორიფეებმა, როგორებიც იყვნენ ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე, არჩილ ხარაძე, ლევან გოკიელი, ხოლო ქართველ მათემატიკოსთა მამამ, ნიკო მუსხელიშვილმა ასპირანტურის გასავლელად მას რეკომენდაცია გაუწია მსოფლიო აღიარების მქონე აკადემიკოს კრილოვთან სანკტ-პეტერბურგში.

1939 წელს, 32 წლის ასაკში, ილია ვეკუა მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, **თსუ**-ს პროფესორი ხდება, 1944-1947 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია სასწავლო დარგში. ამ დროისთვის ილია ვეკუა უკვე აღიარებული მეცნიერია არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. მისი მონოგრაფიები ღებულობენ უმაღლეს სახელმწიფო პრემიებს, მისი შრომები ითარგმნება ინგლისურ, გერმანულ, იაპონურ და სხვა ენებზე, ლექციების წასაკითხად იწვევენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა მოსკოვში, სადაც ხელმძღვანელობდა მსოფლიო აღიარების მქონე სამეცნიერო ცენტრებს. უშუალოდ მის სახელთან არის დაკავშირებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების შექმნა, აკადემიური ქალაქის და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა, რომლის პირველი რექტორიც თვითონ გახდა. ამ უნივერსიტეტში აღიზარდა თანამედროვეობის მრავალი დიდი მათემატიკოსი.

1964 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შექმნა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემათა ლაბორატორია, მოგვიანებით გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც მის სახელს ატარებს.

1972 წელს ილია ვეკუას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, სადაც მკაფიოდ გამოჩნდა მისი კიდევ ერთი ტალანტი, კერძოდ, შექმნა პირობები, რათა ხელი შეწყობოდა მეცნიერების ფუნდამენტური და პრაგმატული დარგის განვითარებას, ეროვნული კულტურის აყვავებას, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა-პატრონობას, მეცნიერებისა და კულტურის ერის სამსახურში ჩაყენებას. ამავე წლებში მეცნიერებათა აკადემიასთან იქმნება სვანეთის (საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების) შემსწავლელი ექსპედიცია. მის სახელთან არის დაკავშირებული გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების სახელთა უკვდავყოფა, საიუბილეო ღონისძიებების პირდაპირი დაკავშირება სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერების ნიჭიერების წარმოჩენასთან. აკადემიკოს ვეკუას ინიციატივით გრანდიოზული მასშტაბით აღინიშნა ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი. საზეიმო დღეებში საქართველო მსოფლიოს ელიტარულ მოღვაწეთა დიდი თავყრილობის ცენტრად იქცა, ხოლო თბილისი მსოფლიოს აღიარებულ მეცნიერთა ოლიმპად.

ილია ვეკუას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ აფხაზეთთან; მან მრავალი სახელოვანი მეცნიერი და მოღვაწე გაუზარდა აფხაზეთს, მუდამ აინტერესებდა მშობლიური აფხაზეთის ამბები, მისი ტკივილი და სიხარული, დიდი მოუცლელობის მიუხედავად ახერხებდა აფხაზეთში ჩასვლას, ამიტომაც მოიაზრებოდა იგი წმინდა ადამიანად აფხაზი მოსახლეობის თვალში; მას განსაკუთრებული ზეიმით ხვდებოდნენ სოხუმში, გუდაუთაში, გალში. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის უცვლელი დირექტორი აკადემიკოსი გიორგი ძიძარია წერდა: **„ილია ნესტორის ძეს მშობლიურად მიაჩნდა აფხაზეთი, და რა თქმა უნდა, ჩვენი ინსტიტუტი. როცა ბატონი ილია ჩვენთან რეკავდა და ვსაუბრობდით, მას არასოდეს არ უკითხია როგორ გაქვთ საქმე, ან როგორ არის თქვენთან საქმეო, ის ყოველთვის მეკითხებოდა: როგორ არის ჩვენთან საქმე, ან როგორ გვაქვს საქმე. დიახ, მან უდიდესი წვლილი შეტანა აფხაზეთის მეცნიერების და კულტურის განვითარებაში.“**

1968 წელს, როცა უკვე მკაფიოდ იკვეთებოდა ქართულ–აფხაზური დაპირისპირების პროვოცირების მორიგი მცდელობა, აფხაზეთის საზოგადოებამ ილია ვეკუას დიდი ზეიმი გაუმართა ქ. სოხუმში. აფხაზებმა იგი ერთ კვირით მიიწვიეს გუდაუთაში. ეს იყო დაუვიწყარი ყურადღების და ღვთიური პატივისცემის დღეებიო, იხსენებდა ილია ვეკუა.

აფხაზთა აზრით, იგი იყო თავისი ხალხის ნამდვილი შვილი, ქართულ–აფხაზური ზნეობის და ტრადიციების დამცველი და გამტარებელი, პირდაპირი და რაინდი, რომელსაც ხალხისთვის მიცემული სიტყვა არასოდეს გაუტეხავს.

1985 წლის აპრილში აკადემიკოს ვეკუას მშობლიურ სოფელ შეშელეთში (გალის რაიონი) მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმის გახსნის ცერემონიალი, (მიუხედავად შემდეგ განვითარებული ტრაგიკული მოვლენებისა) ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის და ნათესაობის უპრეცედენტო გამოვლინება იყო, რომლის დავიწყება შეუძლებელია.

1977 წელს თბილისის უნივერსიტეტში გაიმართა ილია ვეკუას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო საბჭოს სხდომა. მან, უკვე უკურნებელი სენით შეპყრობილმა, ვერ შეძლო საქართველოს ახალგაზრდებისადმი მიმართვის ტექსტის წაკითხვა, მაგრამ ათასობით სტუდენტმა და ათეულ ათასობით ადამიანმა მოისმინა ამ სიტყვის აუდიოჩანაწერი; მისი ეს მიმართვა დღემდე ითვლება აღმზრდელისა და აღსაზრდელის დამოკიდებულების, მამულიშვილობის, ეროვნული და მსოფლიო მეცნიერებისადმი ფანატიკური ერთგულების, ცოდნისა და განათლების მუდმივი განახლების აუცილებლობის, ეროვნული უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებაზე საყოველთაო ზრუნვის, აღზრდისა და განათლების ერთიანობის კლასიკურ მაგალითად.

იუბილეზე მოწვეულმა უცხოელმა სტუმრებმა იგი XX საუკუნის უდიდეს მეცნიერად და საზოგადო მოღვაწედ აღიარეს.

აკადემიკოსი ილია ვეკუა 1977 წელს გარდაიცვალა, დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი ბრძოლა სიკვდილთან მისივე მორიგი გამარჯვება იყო, რადგანაც მეცნიერის ბოლო შრომები, საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით, იქცა მათემატიკური მეცნიერების ახალ, ურთულეს დარგებში ქართული სკოლის კიდევ ერთ გამობრწყინებად, რომლის სათავეებთან მისივე აღმზრდელი, უდიდესი ქართველი მათემატიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი იდგა.

რაფიელ გელანტია

“ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲮᲘᲐ” – ᲤᲘᲚᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ

ხშირად ხდება – წაკითხული წიგნის ეკრანიზაციას ნახავ და იმედგაცრუება გეუფლება. **“დათა თუთაშხია”** კი ფილმი-შედევრია, რომელიც ლიტერატურული შედევრიდან შეიქმნა, ამდენად, იმ იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა პირველწყაროც და ფილმიც ადამიანზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. საბჭოთა დროს მსგავსი ფილმის შექმნა რისკთან იყო დაკავშირებული – შეიძლებოდა, ცენზურის მსხვერპლი გამხდარიყო. საბედნიეროდ, რეჟისორების მოხერხებულობამ და ზოგიერთმა სხვა ფაქტორმა ფილმს ეკრანისკენ გზა გაუხსნა. როგორ იქმნებოდა **“დათა თუთაშხია”** და რა უსწრებდა წინ მის გადაღებას, ამის შესახებ **“დათა თუთაშხიას”** დამდგმელი რეჟისორი (გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად), **ბატონი ბიზო ბაბისკირია** მოგვითხრობს.

– ბატონო გიზო, ჭაბუა ამირეჯიბის “დათა თუთაშხია” 1973 წელს წიგნად გამოიცა, 1975 წელს კი მის კინოვერსიაზე მუშაობა დაიწყეთ. მიამბეთ იმ ფიქრებზე, რომელიც ფილმს წინ უძღოდა.

– **“დათა თუთაშხიას”** ბეჭდვა 1971-72 წლებში ჟურნალმა **“ცისკარმა”** დაიწყო და საქართველოში მაშინვე პოპულარული გახდა. მაშინ მოსკოვში ვცხოვრობდი (ვსწავლობდი კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე) და ბუნებრივია, არც ერთ ღონისძიებას, რომელიც საქართველოს უკავშირდებოდა, არ ვაცდენდი. რომანის შეძენა მოსკოვში, გალაკტიონის სადამოზე მოვახერხე. მახსოვს, ორი წიგნი ვიყიდე – ჭაბუას **“დათა თუთაშხია”** და ოთარ ჭილაძის **“გზაზე ერთი კაცი მიდიოდა”.** ამ წიგნების ორივე ავტორს ვიცნობდი და უაღრესად დიდ პატივს ვცემდი. დამათენდა ის ღამე **“დათა თუთაშხიას”** კითხვაში და ვხედავ, წიგნი ხელში მელევა. გადავკეცე და გადავდე – შევინახე, გავიხანგრძლივე კითხვის პროცესი. იმის ილუზია არ გამჩენია, რომ ამის გადაღების უფლებას ვინმე მომცემდა. ძალიან გასაკვირი იქნებოდა ჩვენს იერარქიაში, რომ სადიპლომო ნაშრომის შემდეგ, რეჟისორისთვის ამხელა ფილმი მიეცათ გადასაღებად. გავიდა ხანი. ისევ მოსკოვში ვიყავი და რეზო ჩხეიძემ დამირეკა (ჩემი სადიპლომო ნამუშევარი ჰქონია ნანახი და დაინტერესდა ჩემი ბედით). – რას აკეთებო? – მკითხა. – **“მოსფილმში”** ფილმის გადაღებას ვაპირებ-მეთქი, – ვუპასუხე. ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან კინოსტუდია **“ქართული ფილმის”** დირექტორმა, რომელიც რეზო ჩხეიძის დანიშვნამდე მუშაობდა იქ, არ მომცა საშუალება საქართველოში მემუშავა. რეზომ მითხრა, – მანდ ნუ ხიხარ, ჩამოდი და აქ ფილმი გადაიღეო. რაღაც პერიოდის შემდეგ მოსკოვში ჭაბუა ამირეჯიბი ჩამოვიდა და როგორც ყოველთვის, დამირეკა; მითხრა, – აქ ჩემს დასთან, როდამთან გაჩერდიო. იმ საღამოს, ახალაშენებულ სასტუმრო **“როსიის”** რესტორანში დავსხედით. ულამაზესი და-ძმა! როდამის იტალიელი მეუღლეც იქ იყო – დიდი ფიზიკოსი, ბრუნო პონტეკორვო. ბუნებრივია, ცოტა დავლიეთ კიდეც და ჭაბუამ მკითხა: – იცი, რომ **“დათას”** გადაღებები იწყებაო? არაფერი ვიცოდი. ჭაბუამ გააგრძელა: – და რამე რომ იყოს, გადაიღებდიო? – ისე ვარ მოჯადოებული, რომ ალბათ გადავდგამდი ამ საბედისწერო ნაბიჯს-მეთქი, – ჩავიცინე. – აბა, თუ ვინმე გადაიღებს ამ ფილმს, მათ შორის შენც იქნებიო, – მითხრა, მაგრამ მაინც ვერ დავიჯერე ჭაბუას სიტყვები და ეს ცოტაი, ღვინოსაც მივაწერე... არადა, რაც თქვა, მერე ყველაფერი შეასრულა. გიგას ზარმა კი, თბილისიდან, ყველაფერი საბოლოოდ გადაწყვიტა, – მან თავისთან ერთად მუშაობა შემომთავაზა.

– ამან საფიქრალი გაგიჩინათ?

– რა თქმა უნდა! ასეთი ნაწარმოების ეკრანიზაცია დიდი პასუხისმგებლობაა რეჟისორისთვის. როგორია ასეთი გენიალური ნაწარმოების გაფუჭება?! ამ პერიოდში კინოსტუდიის რედაქტორად გია ბადრიძე, ცნობილი მომღერლის, დავით ბადრიძის ვაჟიშვილი მუშაობდა. სწორედ მას გაუწნდა **“დათა თუთაშხიას”** ეკრანიზაციის იდეა და რეზო ჩხეიძეს გაანდო. თავიდან 24 სერიის გადაღება უნდოდათ, მაგრამ მოსკოვმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკება, სცენარის ჩატანა-ჩამოტანა, ხელახალი წაკითხვა, სამხატვრო საბჭოზე გატანა... რუსები ჯიუტად ითხოვდნენ 3-4 სერიას. ძალიან დაზარალდებოდა ტექსტი... ბოლოს, 7 სერიაზე შეჩერდნენ და ჭაბუაც დათანხმდა. როდესაც ჩვენ ჩავერთეთ პროცესში, უკვე გადაწყვეტილი იყო 7 სერიის გადაღება.

– სცენარზე თავად ბატონმა ჭაბუამ იმუშავა?

– დიახ, სცენარი თავად გააკეთა ჭაბუამ; კონსულტაციას ბრწყინვალე პოეტი და მწერალი, ანზორ სალუქვაძე უწევდა. ჭაბუა არ იყო კინოში ახალი მოსული, ის რედაქტორადაც მუშაობდა და დოკუმენტური სტუდიის დირექტორიც იყო, მაგრამ როდესაც ადამიანს ყველა სტრიქონზე აქვს ნაფიქრი, მისთვის ძალიან ძნელია, რამეს შეელიოს. ისეთი ადამიანი სჭირდებოდა გვერდით, რომელსაც ენდობოდა... სხვათა შორის, გადაღებების დაწყებიდან რაღაც მომენტში, ჭაბუამაც დაიჯერა, რომ ფილმი გამოგვდიოდა და მახსოვს, ეს კმაყოფილება დათასა და მუშნის სადგურში შეხვედრის სცენის გადაღების შემდეგ გამოხატა.

– ფილმის რუსულმა სახელწოდებამ საგონებელში ჩამაგდო. რატომ შეცვალეთ რუსულ ვარიანტში ქართული ფილმის სათაური?

– ეს რუსების მოთხოვნა იყო. **“დათა”** რუსულად **“დატად”** გამოითქმის, რაც თარგმანში **“თარიღს”** ნიშნავს. რუსებს ქართული სათაური დააბნევდა. ვიფიქრეთ ჩვენ ამ საკითხზე. ნაწარმოების იდეა ასეთია: დათა ხან ერთ გზას ირჩევს, ხან – მეორეს, თავისი ცხოვრების კრედოდ, ხან – ჩაურევლობას, ხან – ჩარევას, ხანაც – მმარგველის როლის აუცილებლობას; სხვადასხვა ნაპირს აწყდება იმის ძიებაში, თუ როგორ უნდა იცხოვროს. ამიტომაც დავარქვით ფილმს **“ნაპირები”.**

– ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი იყო პერსონაჟების შერჩევის პროცესი. ვინ გადაწყვიტა, რომ მთავარი როლი ოთარ მეღვინეთუხუცესს ეთამაშა?

– ასეთი ფრაზა არსებობს: **“თუ არ გყავს ჰამლეტი, “ჰამლეტი” არ უნდა დადგა”.** ბედს მივაწერ იმასაც, რომ იმ პერიოდში ამდენი დიდი მსახიობი გვყავდა. სამი მთავარი პერსონაჟიდან (დათა, მუშნი და გრაფი სეგედი), ორზე არც კი გვიმსჯელია, პირდაპირ გადავწყვიტეთ, ოთარ მეღვინეთუხუცესი და თენგიზ არჩვაძე აგვეყვანა. აბა, მითხარით, განა იყვნენ სხვა მსახიობები, რომლებიც ამ როლებს შეასრულებდნენ? სინჯებიც კი არ გვქონია. ოთარი მხოლოდ და მხოლოდ გრიმსა და კოსტიუმში გავსინჯეთ. რაღაც სცენაც გადავიღეთ და ესეც, სამხატვრო საბჭოზე სურათის პროექტის დაცვა რომ იყო საჭირო, ამისათვის.

– თავად როგორი რეაქცია ჰქონდა ყოველივეზე ბატონ ოთარს, როდესაც გაიგო, რომ დათას როლს შეასრულებდა?

– ოთარმა თავიდანვე იცოდა, რომ ის იქნებოდა დათა. ერთ-ერთი თანაავტორია ამ ფილმისა. იმ პერიოდში, თეატრშიც და კინოშიც ყველა სხვა როლზე უარი თქვა დათას როლის გამო. მხოლოდ ფიროსმანი ითამაშა რამდენჯერმე. უამრავ როლს სთავაზობდნენ, 4 წელიწადი მთელი ცხოვრებაა მსახიობისთვის. როდესაც ფილმს ვამთავრებდით, მხოლოდ მაშინ გვითხრა, – თენგიზ აბულაძემ შემომთავაზა როლი და იქ რომ არ წავიდე, არ შეიძლებაო. ელიოზის როლი იყო **“ნატვრის ხეში”.** ოთარი მოაზროვნე კაცია, ფიქრი უყვარს. რეჟისორები ამას ვიყენებდით – ხშირად გადავდიოდით მსხვილ ხედზე, როდესაც მისი პერსონაჟი ფიქრობდა, რაღაცას განიცდიდა, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო... ფილმს რეპეტიციების გარეშე ვიღებდით. მიზანსცენას კი ვალაგებდით, ფიზიკურ მოქმედებებს ოპერატორთან, მხატვართან ერთად გავდიოდით, მაგრამ არ დაგვჭირვებია მსახიობებთან ტექსტზე მუშაობა, რადგან ოთარიც, თენგიზიც, სხვებიც დიდი მსახიობები არიან, ნაწარმოები კი – იმდენის მომცემია, რომ ახსნაც აღარ იყო საჭირო, საკუთარი გმირი რომ შეესისხლხორცებინათ. ამან გასაოცარი სიმართლე შექმნა ეკრანზე.

– პირველი კადრები მინდა გაიხსენოთ: საოცარი ბუნება, მეჯოგე დათა, ნავით მოსული სტუმარი ანუ წამი, რომელმაც მერე მთელი მისი ცხოვრება შეცვალა...

– ეს კადრები აფხაზეთში გადავიღეთ. სასტუმრო **“გუდაუთაში”** ვცხოვრობდით, ნაწილი სოფელ გამარჯვებაში დაბინავდა. შემთხვევით ვნახეთ ის ნაციხარიც. ამ ადგილას ყველაფერი იყო, ბუნებრივი **“დეკორაცია”** იყო – საოცარი, გაკრიალებული ზღვა და დიდებული ბუნება. შემთხვევით დავესწარით ყველის ამოყვანასაც, რომელიც მერე ფილმის პირველი კადრი აღმოჩნდა: თითქოს იყო იმ სისუფთავეში რაღაც სიმბოლური.

– მუშნიზეც მიამბეთ.

– თენგიზ არჩვაძე ინტელექტუალი მსახიობია. ეს თაობა ასეთია. თენგიზი ძალიან ძუნწი ხერხებით აღწევს დიდ შედეგს. ეს არის სწორედ ოსტატობა.

– დანარჩენი მსახიობები როგორ შეარჩიეთ?

– როლების ჩამონათვალს მივეყვით და მსახიობების გვარები მივაწერეთ. ყველა მსახიობმა იმედი გაამართლა. ერთადერთი, გრაფი სეგედის როლის შემსრულებლის პრობლემა გვქონდა. ჭაბუა წერს, რომ სეგედი 300 წლის წინ ჩამოსული, უნგრელი გრაფის შთამომავალია. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ეთნიკურად განსხვავებული ადამიანი უნდა მოგვეძებნა, ამიტომ სხვა ეროვნების მსახიობებზე დავიწყეთ ფიქრი. იმ მსახიობების მცირე სიაც შევადგინეთ, ვინც შეიძლებოდა, მოგვწვია ამ როლზე. ამ შემთხვევაშიც ბედმა და შემთხვევამ ითამაშა დიდი როლი. მე რუსეთში წავედი სეგედის მოსაძებნად. ლიტვაშიც ვიყავი, მსახიობ ნორეიკასთან, მაგრამ მან უარი თქვა, მოუცლელობის გამო. მოსკოვშიც ვერავინ ვნახე... მოკლედ, განსაცდელში ვიყავით – არ გვყავდა მსახიობი ძალიან მნიშვნელოვან როლზე, დრო კი მიდიოდა. მოსკოვში მაშინ მიხეილ კალატოზიშვილის სახლში მისი ვაჟი, ჩვენი მეგობარი, ცნობილი კინორეჟისორი და ოპერატორი, ტიტო კალატოზიშვილი, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ამ სახლში ხშირად დავდიოდი და ბევრი გამოჩენილი პიროვნება გამიცნია. იმ დღეს სრულიად იმედგადაწურული მივედი ტიტოსთან. იქ დამხვდა ანდრეი ტარკოვსკი, რომელიც ტიტოსთან მეგობრობდა და მეც ახლოს ვიცნობდი. ვუამბე ჩემი გასაჭირის შესახებ. – რატომ არ გინდათ, როლზე იარვეტი მოიწვიოთო? – მკითხა. – როგორ არ გვინდა, მაგრამ მეფე ლირის შემდეგ ძნელი მისაწვდომი იქნება-მეთქი. ტარკოვსკიმ წერილი დამიწერა და მსახიობთან გამატანა. იმავე ღამეს მოსკოვი-ტალინის მატარებელში ვიჯექი, ჩანთაში კი კონვერტი მედო... ზღვის პირას, ულამაზეს პატარა კოტეჯს მივადექი. კარი გამიღეს და მშვენიერ, ფერადი ფილებით მოოთულ ბუხრიან ოთახში შემიყვანეს. იარვეტი მალევე შემოვიდა. საოცრად ექსცენტრიკული კაცი, რომელიც საშინლად ლაპარაკობდა რუსულად. ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მისული. უარის მიზეზი ამიხსნა: მსახიობი, თან თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი ვარო... გიგას თეატრალური ავტორიტეტი მოვიშველიე... მან ისევ მოუცლელობა მოიმიზეზა. თან კონიაკი, ყავა შემომთავაზა, მაგრამ რა გადამივიდოდა ყელში?! ბევრი იფიქრა, მაგრამ ბოლოს მაინც უარი მითხრა... არადა, ვუყურებდი და ვფიქრობდი: ეს ხელები, ეს თმა, ეს თვალები... გრაფი სეგედისაა! ტანით სხვაა, პატარა, მაგრამ სახე ის არის, რა! ლომია! როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ უარით მისტუმრებდა, წერილი მივაწოდე. დღემდე არ ვიცი, რა ეწერა იმ წერილში... **“ჰოო, აქ წერია, რომ თქვენ გენიალური რეჟისორი ხართ. მე ანდრეის დიდ პატივს ვცემ...”** უცებ შეიცვალა სურათი: სცენარი დამიტოვეთო, მთხოვა. ამოვიღე სცენარი – ოთხი სქელი რვეული და დავალაგე ერთმანეთზე. – არა, ერთი ეგზემპლარი დამიტოვეთო, – მითხრა. – ეს ერთი ეგზემპლარია, პირველი ოთხი სერია... ამას კიდევ სამი მოჰყვება, – მშვიდად ვუთხარი და უცბად შეხტა: – გაგიჟდით? მე ხომ ყველაფერს გაგიფუჭებთ! – მთლიანად თქვენს გრაფიკზე ავეწყობითმეთქი, – დავპირდი... მიხვდა, რომ ღირსეულად ვეპატიჟებოდით, ისე, როგორც იმსახურებდა დიდი არტისტი. – კარგი, დამიტოვეთ და ხუთშაბათს დამირეკეთო, – მითხრა ბოლო სიტყვა. იმავე ღამით მოსკოვში დავბრუნდი და გიგას დავურეკე. 4 დღე ვიცადე და იარვეტისგან თანხმობა მივიღე.

– ენის ბარიერი როგორ დაძლიეთ?

– უნდა გენახათ, რა ხდებოდა გადაღებებზე: ერთ სცენაში იარვეტი ესტონურად ლაპარაკობდა, თენგიზი – ქართულად, ხოლო კაპიტანი როგოვი – რუსულად... გიგას ვეუბნები ერთხელ, – ახლა ვიღაცა რომ შემოვიდეს, საგიჟეთი არ ეგონებამეთქი?.. სიტყვაზე თანხმდებოდნენ: როდესაც მას საჭირო რეაქცია უნდა ჰქონოდა, პარტნიორს ის შეთანხმებული სიტყვა უნდა წარმოეთქვა. დიდი მსახიობი იყო. არც ჩვენებმა დააკლეს...

– ბატონი ჭაბუა გადაღებებს ესწრებოდა?

– ამდენს რას დაესწრებოდა, რაც ჩვენ ვიბორიალეთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ხშირად მოდიოდა.

– ფილმში ყველა თაობის მსახიობები არიან...

– მერე და მერე, გადაღებები რომ გახურდა, ყველა დაგვჭირდა... სამწუხაროდ, ყველას ვერ ჩამოთვლი, მადლობა კი ყველას ეკუთვნის. გადაღებების პროცესში მსახიობებს ეპიზოდების მიხედვით ვამატებდით. ადგილების ანუ ნატურის შერჩევასაც დიდი ენერგია შეევალიეთ, მთელი საქართველო მოვიარეთ.

– ის საოცარი ჩანჩქერი სად ნახეთ?

– აფხაზეთში, რიწის გზაზე, ხელმარცხნივ. მახსოვს, პირველად რომ დავინახე, გავოგნდი. უზარმაზარი კლდე, რომელიც შუაზეა გახლეჩილი, ნაპობიდან კი წყალი გრგვინვით მოდის და ქვემოთ, სამსართულიანი სახლის სიმაღლის თოვლში ვარდება. ფილმის ფინალი კი ყირიმში გადავიღეთ. ჩვენთან არსად არის ზღვაში შეჭრილი კლდე...

– ყველა ფილმში დიდი როლი მუსიკასა და მხატვრობას, ოპერატორის ხელოვნებას უკავია...

– იმთავითვე იყო გადაწყვეტილი, რომ ფილმზე ბიძინა კვერნაძე და ჯანო კახიძე იმუშავებდნენ. ბიძინას მუსიკა აზროვნებაში ეხმარება ადამიანს. ჯანო იმიტომ დაგვჭირდა, რომ საქართველოს ყველა კუთხის ჰანგი გაგვეთვალისწინებინა. ნანი ბრეგვაძის შესრულებული სიმღერაც ძალიან კარგად ჩაჯდა...

– და ფილმის საუნდტრეკად იქცა.

– დიახ, გალაკტიონის ლექსზე დაწერილი მუსიკა, რომელიც მართალია, სხვა მიზნით შეიქმნა, მაგრამ არსად აუღერებულა... მოკლედ, მუსიკაზე კლასიკოსები მუშაობდნენ. **“დათა თუთაშხიას”** მხატვარი, კახი ხუციშვილიც ქართული კინემატოგრაფის კლასიკოსია. ზოგჯერ დგება მომენტი, როცა გეჩვენება, რომ შეიძლება გაგიჟდე, რადგან იმდენ ხანს მუშაობენ მხატვარი და ოპერატორი, იმდენ რაღაცას ამატებენ კადრს, იმდენი დრო მიაქვს ამ ყველაფერს, გგონია, მსახიობი დაიღალა – ვეღარ გაუძლებს... ფილმის ოპერატორი, ლევან ნამგალაშვილიც ნამდვილი პროფესიონალი იყო. ის შესანიშნავად იღებდა პორტრეტებს. მის ნამუშევარში არასდროს ჩანდა **“ნაკერები”.**

– ცენზურას როგორ გადაურჩით?

– გეგმით, ფილმის ოთხი სერია გვქონდა ჩასაბარებელი. 1977 წელს უკვე მზად გვქონდა და დამტკიცება იყო საჭირო. ამ პერიოდში დისიდენტური მოძრაობის აფეთქება იყო საბჭოთა კავშირში. დათა კი კითხვას სვამს – როგორ ვიცხოვროთო?! ფილმში სეთურის ეპიზოდი გვაქვს, კომუნიზმის პატარა მოდელით, იქ კი, რეალურ ცხოვრებაში, სამხატვრო საბჭო და სტელა ივანოვნა ჟდანოვა გვყავს, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს, რომ ფილმში ეს ეპიზოდი არ შევიდეს! ამ ეპიზოდის გადაღების დროს ჩვენმა უხუცესმა რედაქტორმა, საშა მახარაძემ თქვა: – თუ ამ ეპიზოდს დატოვებენ, ვიტყვი, რომ ამ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება აღარ არსებობსო... თვალწინ მიდგას: პატარა დარბაზში ვისხედით, სულ უკანა რიგში, სამნი – ჭაბუა, გიგა და მე. წინ – მაგიდა, სავარძელი, საფერფლე, ფურცლები, ფანქარი, ჩამქრალი ნათურა გვაქვს და ჟდანოვას სილუეტი, რომელიც ამერიკულ სიგარეტს ეწევა. ფეხს ხან აქეთ გადადებს, ხან – იქით... მერე უეცრად ამოძრავდა და აყვირდა, – ეს ეპიზოდი არ იქნებაო! ჩვენ რაღაცას ვუხსნით, ვცდილობთ, დავიყოლიოთ... ბოლოს ჟდანოვამ გადაჭრით თქვა, – ბავშვების სცენა ნამდვილად არ იქნებაო! რა გვექნა, შეველიეთ იმ პატარა სცენას, მაგრამ მთავარი მაინც შევინარჩუნეთ.

– ბატონო გიზო, “დათამ” რა უქნა თქვენს ცხოვრებას?

– **“დათა თუთაშხიამ”** ჩემი მშობლების შემდეგ, მეორე გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში... მადლობა უნდა ვუთხრა ბედს, რომ ამ ნაწარმოებზე ვიმუშავე... მაშინ თითქოს რაღაც დიდი დამთავრდა. მთელი ეს ამხელა პერიოდი ამ დიდ რეჟისორებს არც ერთი ფილმი არ გადაუღიათ... მე თვითონ ფრანგებთან ერთად ჰიუგოს ეკრანიზაციაზე ვიმუშავე **“პატესინემაში”,** მაგრამ ეს არ იყო ამირეჯიბი ან ვაჟაფშაველა, ეს მათი ფილმი იყო – **“ჰიუგო”.** აქ დაბრუნებულს კი 1988 წელს, ადარაფერი დამხვდა. აქ ყველაფერი დამთავრდა. თან... მე **“დათა თუთაშხიაზე”** ვიმუშავე, მას შემდეგ ძნელი იყო საყურადღებო, მნიშვნელოვანი მასალის პოვნა ახალი ფილმისთვის.

Დ. ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ:

SOS!!! SOS!!! – ნეხვმზიდი ტანკერი იძირება!

რომელი ობიექტები გაყიდა ბენდუქიძემ

რა მიზნით ჩამოვიდა საქართველოში, რომელი სტრატეგიული ობიექტები გაასხვისა 8 წლის განმავლობაში და რა იდეოლოგიას ატარებს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი კახა ბენდუქიძე საკუთარი უმაღლესი სასწავლებლების მეშვეობით – ამ საკითხებზე **"ქართული ოცნების"** წევრი **დავით ფაცაცია** გვესაუბრება:

– კახა ბენდუქიძის საქართველოში ჩამოსვლის მიზანი კარგად ჩანს მისი მოწაფის, ლარისა ბურაკოვას მიერ 2011 წელს გამოცემულ წიგნში **"რატომ გამოუვიდა საქართველოს"**. იქ არის ასეთი პასაჟი: 1992-2005 წლებში რუსეთის ფედერაციის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე არკადი ვოლსკი ეუბნება ბენდუქიძეს: **"საჭიროა საქართველოში წასვლა"**, ბენდუქიძე მიუგებს: **"მე სხვა გეგმები მაქვს"**... ვოლსკი: **"სააკაშვილმა მიგიწვია, პუტინი თანახმაა"**... ასე რომ, 2004 წლის მარტში კახა ბენდუქიძე საქართველოში ჩამოვიდა მიხეილ სააკაშვილისა და პუტინის გარიგების თანახმად. ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც შემუშავდა 2003 წლის შემოდგომაზე. ბენდუქიძე საქართველოში გამოგზავნეს ინვესტიციის გზით მეზობელი ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩასაგდებად. ბენდუქიძე ჩამოსვლისთანავე ეკონომიკის მინისტრი გახდა და მან, პრაქტიკულად, გაყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში იყო. მანვე ჩამოიყვანა თავისი ჯგუფი, რომელიც გაერთიანებული არიან ბიზნესმენები და ე.წ. ექსპერტები. ამ ჯგუფსა თუ სექტაში შედიან: დეპუტატი ზურაბ ჯაფარიძე, მიშა თავხელიძე, ქეთა გაბიანი, თამარ ჩერგოლეიშვილი... ე.წ. რადიკალი ლიბერალების ეს ჯგუფი, ერთი მხრივ, წარმოადგენს **"გაპრავების"** იდეოლოგიურ მანქანას, შეფარული ე.წ. დია ეკონომიკისა და პროევროპულობის რიტორიკით, სინამდვილეში კი ისინი ე.წ. ლიბერალური პოლიტიკით ამართლებენ მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტების გასხვისებას. მეორე მხრივ, ეს ადამიანები რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ლანძღვა-გინებით, შეფარულად მოქმედებდნენ საქართველოს საწინააღმდეგოდ. ანუ ორმაგ დანაშაულს სჩადიოდნენ:

1. სტრატეგიული ობიექტების გასხვისება რუსულ სახელმწიფო კომპანიებზე;
2. გამომწვევი რიტორიკა, რომელიც ორმაგად ვნებდა ქვეყანას.

საუბედუროდ, ეს ყველაფერი ურთიერთშეთანხმებული თამაში იყო და ხელს აძლევდა ორივე მხარეს – ქართულსაც და რუსულსაც. ამ თამაშში კი მთავარი ფიგურა სააკაშვილი იყო. მისი აგრესიული რიტორიკით სარგებლობდნენ რუსეთის გარკვეული წრეები. სააკაშვილი ატყუებდა ევროპასა და ამერიკასაც (როცა სააკაშვილზე ვლაპარაკობ, ხშირად მომყავს ფინეთის პრეზიდენტის, ურხო კეკონენის მაგალითი: 1990-იანი წლების შემდეგ, როდესაც გაიხსნა საბჭოთა საიდუმლო დოკუმენტები, პრაქტიკულად დამტკიცდა მისი 25-წლიანი თანამშრომლობა საბჭოთა სპეცსამსახურებთან). ბენდუქიძის თანამოაზრეა საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, რომელიც აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდშიც რუსეთის მოქალაქე იყო და თავის დროზე საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა ატომური უსაფრთხოების საკითხებზე. ბენდუქიძის სახელს უკავშირდება რუსული კომპანია **"ატომსტროიექსპორტი"**, რომელიც აშენებს ატომურ სადგურებს რუსეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე, პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და ევროპაში. ეს ერთადერთი კომპანიაა, რომელიც ირანში აშენებს ბუშერის ატომურ სადგურს და სხვა საიდუმლო ობიექტებს.

– შეგიძლიათ ჩამოთვალოთ, კონკრეტულად რა გაასხვისა ბენდუქიძემ საქართველოში?

– ესენია: **"მადნეული"**, **"თბილისის წყალი"**, **"თელასი"** და მასთან მიბმული ენერგოსადგურები, აგრეთვე **"კვარციტი"**, **"ფეროშენადნობთა ქარხანა"**, **"აზოტი"**, **"ყაზტრანსგაზი"**, **"ელმავალმშე ნი"**, საკომუნიკაციო სისტემები და **"რაოეესისთვის"** გადაცემული სადგურები. ბენდუქიძემ სააკაშვილის ხელმძღვანელობით გაყიდა ბათუმისა და ფოთის პორტები, ენგურჰესი. აღსანიშნავია ისიც, რომ 2008 წლის სექტემბერში (აგვისტოს ომის შემდეგ!), გასხვისდა ენგურჰესი რუსულ კომპანია **"რაოეესზე"** – გაფორმდა საიდუმლო მემორანდუმი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და **"რაოეესს"** შორის. ერთი თვეც არ იყო გასული აგვისტოს ომიდან, ოკუპანტს უწოდებდნენ რუსეთს, ომი გამოუცხადეს მას და, ამასთანავე, მიმდინარეობდა კულუარული ვაჭრობა სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტებით. საბედნიეროდ, ამ ინფორმაციამ გაუონა აფხაზეთში და სწორედ მათმა წინააღმდეგობამ ჩაშალა ბენდუქიძის გეგმა. ამ ყველაფერს ბენდუქიძე ახორციელებდა გრიგოლ ვაშაძისა და სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას მეშვეობით.

– თუ არ ვცდები, "ბილაინიც" სწორედ კახა ბენდუქიძის ლობირებით შემოვიდა.

– **"ბილაინის"** 60 პროცენტი რუსებისაა, 40 პროცენტი – ქართველების. დიახ, ეს კომპანია ქართულ ბაზარზე ბენდუქიძემ შემოიყვანა, პრაქტიკულად ყველა დიდი რუსული კომპანია, რომელიც ამჟამად ჩვენს ბაზარზეა, ბენდუქიძის ლობირებით არის შემოსული. ამაში ცუდი არაფერია, თუ ეს ჯანმრთელი ინვესტიციაა, მაგრამ ბენდუქიძე საქართველოსთვის მნიშვნელოვან ობიექტებს ჩალის ფასად ჰყიდდა და უზარმაზარ მოგებას იღებდა. ბენდუქიძის ბოლო ინტერესი იყო გაზსადენისა და რკინიგზის გასხვისება, მაგრამ ეს, საბედნიეროდ, ჩვენმა ამერიკელმა პარტნიორებმა არ დაუშვეს. მათ 2005 წელს გამოყვეს თანხა და მოხდა გაზსადენის რეაბილიტაცია იმ პირობით, რომ მის გასხვისებაზე ლაპარაკიც კი არ იქნებოდა 2011 წლის ბოლომდე მაინც. თუმცა იმავე წლის მიწურულს ხელისუფლება კვლავ ფიქრობდა გაზსადენის გასხვისებას, მაგრამ ამას საზოგადოების პროტესტი მოჰყვა და ვეღარ გაბედეს.

ბენდუქიძე არის ავანტიურისტი, რომელიც გამდიდრების მიზნით, მზად იყო, გაეყიდა მთელი ქვეყანა. მისი, ისევე როგორც სააკაშვილის პროდასავლურობა არის ბლეფი, რომელიც, სამწუხაროდ, რადაც პერიოდში დაიჯერა საზოგადოების, ასევე, მსოფლიოს დიდმა ნაწილმაც.

– ამას წინათ პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ბენდუქიძის მინისტრობისას ტოტალურად ნადგურდებოდა სოფლის მეურნეობა და ნეტავ ვის უზრდის კადრებსო...

– ბიძინა ივანიშვილის პირველ განცხადებას – **"ერთმილიარდიანი ინვესტიცია სოფლის მეურნეობას"** – ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ბენდუქიძემ გაუწია და თავისი ე.წ. ლიბერტარიანული თვალსაზრისი გაგვაცნო: ბიზნესში ასეთი ჩარევა არ არის საჭირო და ხალხი თავისით დაიწყებს მის გაძლიერებასო. ბენდუქიძეს ხომ არ ანადგლებს ხალხის გაჭირვება, ეს ყველაფერი არა უბრალო ხალხისთვის, არამედ ისევ ელიტასა და მის სამეგობროზე იყო გათვლილი. აგრარული უნივერსიტეტი, რომელიც უნიკალური კომპლექსია თავისი მეურნეობით, ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში სააკაშვილის დახმარებით, ისევე როგორც მიშას დედამ, გიული ალასანიამ შეისყიდა უმნიშვნელო თანხად ლამის მთელი ტექნიკური უნივერსიტეტი. აგრარულ უნივერსიტეტში აგრარული სპეციალობები არის, მაგრამ კადრები და სპეციალისტები, პრაქტიკულად, არ არსებობს. ეს უნივერსიტეტი მფლობელის პირად ინტერესებსა და მიზნებზეა მორგებული და ბენდუქიძისთვის იდეოლოგიური მანქანაა. ბენდუქიძის მიზანია თავისი ჯგუფის გადარჩენა და ისევ პოლიტიკურ ავანგარდში გაყვანა.

ეს უნივერსიტეტი ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების (მათგან ბევრი დამნაშავეა) თავშესაფარია, სადაც ისინი ახერხებენ თავიანთი პოლიტიკური ინტერესების მობილიზებას. აღსანიშნავია, რომ ბენდუქიძის უშუალო კურატორობით შეიქმნა ე.წ. ლიბერტარიანული სკოლა, დაფინანსდა ჟურნალი **"ტაბულა"**, ტელევიზია **"ტაბულა"**, ახალი ეკონომიკის სკოლა და თავისუფალი უნივერსიტეტი. მათი მიზანია ქვეყნის გარყვნა-განადგურება. ეს ადამიანები არიან ამ ცხრაწლიანი ძალადობისა და პოლიტიკის იდეოლოგები. ისინი ცდილობენ ისეთივე მეთოდით იმუშაონ და აწარმოონ ანტისახელმწიფო და ანტისახელისუფლებო კამპანია, როგორითაც თავის დროზე ხელმძღვანელობდა ბოკერიარამიშვილის **"თავისუფლების ინსტიტუტი"**. ამ ადამიანების ხელში გაიარა, დაახლოებით, 20-30 მილიარდმა, ისინი ძარცვავდნენ ბიზნესმენებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს. ეს თანხები აკუმულირებული აქვთ სხვადასხვა ანგარიშზე, თუმცა, ადრე თუ გვიან, მოუწევთ პასუხისგება. მათ ეს თანხები ჯერ ისევ ხელთ აქვთ და არაფერს დაზოგავენ იმისათვის, რომ ძალაუფლება დაიბრუნონ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს.

ნ. ფიცხელაური

გაზეთ "ილორი"-ს კომენტარი – ბოდიშს ვიხდით მკითხველთან ამ წერილის არც თუ ტაქტიანი რუბრიკის გამო, მაგრამ ბენდუქიძე იმ გაუთლელ და უზრდელ პიროვნებად მიგვაჩნია, რომელიც სწორედ ამგვარ ეპითეტს იმსახურებს. ცნობილია, რომ ასეთი გველაძუა პოლიტიკოსები, რომლებიც უცხოური სპეცსამსახურების მიერ არიან ჩანერგილი ჩვენს სინამდვილეში, საკუთარი ვერაგული განაზრახის ეუალირებას აქცენტის სხვა ასპექტებზე გადატანით ახერხებენ ხოლმე. ბენდუქიძეც იმ "ძალით უზრდელთა" კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც ხან "სირად" მოიხსენიებს ხოლმე პოლიტიკურ ოპონენტებს და ხან რუსული სალანძღავი ფრაზით "Пошел на х-й"-თ ამკობს მათ და სხვა მრავალ უღირს საქციელზეც მიდის ეპატაჟისათვის. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ მის უზრდელობაზე ნაკლებად უხეშად გვეპასუხა, ამ მართლაც "ნეხვმზიდისათვის", რადგან იგი ასეთ "არაორდინალურ" შეფასებას ნამდვილად იმსახურებს!

გულბაათ რცხილაძე: „თუ საქართველო შევა NATO-ში, ჩვენი ტერიტორიები სამუდამოდ დარჩება ჩვენ მიღმა!"

გულბაათ რცხილაძე: **NATO** იქცა თვითმიზნად, ანუ რაიმე პოზიტიურისთვის კი არა, არამედ **NATO**-სთვის. ჩვენ გვეუბნებიან, რომ თითქოს **NATO**-ში ჩვენი შესვლა ნიშნავს საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ეს არ არის ასე.

– იქნებოდა ეს შევარდნაძის ხელისუფლება, თუ სააკაშვილის (ივანიშვილი, ვნახოთ, რას იზამს, ჯერ არ ვიცით), საქართველო უპირობოდ და უსიტყვოდ ასრულებდა დასავლეთის, იქნება ეს უშუალოდ აშშ თუ ალიანსის წევრი სახელმწიფოები, პოლიტიკურ ნებას, მონური მორჩილება გვაქვს დასავლეთის მიმართ და ამ დროს დასავლეთს არანაირი ვალდებულება არ აქვს ჩვენ წინაშე. **NATO**-ში რომ შევიდეთ, გარკვეული ვალდებულებები უნდა აიღოს დასავლეთმა, თუმცა, ამ ვალდებულებებს ის მაინცდამაინც და აუცილებლად არ შეასრულებს. დღეს დასავლეთი იყენებს საქართველოს მთლიანად, როგორც უნდა. ამ დროს, თვითონ საქართველოს წინაშე არანაირი ვალდებულებები არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, საქართველო არის ძალიან სახიფათო ვითარებაში, უაღრესად დიდი ხიფათის შემცველ მდგომარეობაში და ეს ცალსახად დასავლური კურსი ჩვენ რეალურად არანაირ პერსპექტივას არ გვაძლევს და არანაირ შანსს არ გვტოვებს, რომ ჩვენი უსაფრთხოება იყოს დაცული და ჩამოყალიბებული.

– რომ გავიძახით, აფხაზეთი ჩვენია, სამაჩაბლო ჩვენია და რეალურად სხვისია, ასეთი პრობლემატური ქვეყანა ნატოს რაში ჭირდება? ვუნდივართ? ან, რომც ვუნდოდეთ, რა, სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ ჩვენს ტერიტორიებს?

– აი, მაგაშია საქმე. აქ ისმის ხოლმე არგუმენტი – კვიპროსი დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის მიუხედავად მიიღეს ევროკავშირშიო, არავინ ამბობს, რომ მიიღეს ბერძნული კვიპროსი თურქული კვიპროსის გარეშე, ანუ მათი გათიშულობა უფრო ჩაცემენტდა.

კვიპროსმა გააკეთა თავისი არჩევანი, სიტყვით არა, მაგრამ, ფაქტობრივად, უარი თქვა თავის ტერიტორიულ მთლიანობაზე და ისე შევიდა ევროკაშირში, ანუ იგივე ვითარებაში შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო. თუკი ოდესმე, ჰიპოთეტურად, რა თქმა უნდა, წარმოიდგინეთ, რომ საქართველო შევა ევროკავშირში ან **NATO**-ში, ჩვენი ტერიტორიები სამუდამოდ დარჩება ჩვენ მიღმა და ეს საბოლოოდ გაფორმდება იურიდიულად. ჩვენ გვინდა, შევიყვანოთ საქართველო, ვთქვათ, ევროკავშირში, მაგრამ მე და თქვენც ხომ ვიცით, რომ აფხაზებს და ოსებს არ უნდათ ეს, მათ უნდათ მჭიდრო ურთიერთობა რუსეთთან. აქედან გამომდინარე, ყველაფერი ნათელია, ანუ საქართველომ უარი უნდა თქვას საკუთარ ტერიტორიებზე **NATO**-ში ან ევროკავშირში გაერთიანების სანაცვლოდ.

ამონარიდები ინტერვიუდან ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელთან, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატ გულბაათ რცხილაძესთან, რომელიც მან „საერთო გაზეთს" მისცა.

ებრაული იავნანა ჰავანაგილა 6.300 წლისაა

(სენსაცია თვით ფაქტშია)

"ჰავანაგილა" ქალაქ ურის ჩაძირვასთან დაკავშირებული თხოვნა-გოდებაა ღვთაებებისადმი, რომელიც ძველებრაულ **"იავნანად"** იქცა.

სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ ებრაელთა ქალაქის ჩაძირვა მოხდა 6.300 წლის წინ ის რომ მაინცდამაინც ებრაელთა საცხოვრისი იყო, ჩანს თვით გოდების ტექსტიდან, სადაც ყველაფერი ნათელია. ჩვენც შევბედოთ ტექსტის გაშიფვრა, რომელიც წარმოუდგენლად მართლად გადმოსცემს იმას, რომ სასწაული მოხდა და **"ძენი და ქალნი"** ითხოვენ დახმარებას...

"ურუახიდ რასა მეა, ურუახიდ რასა მეა"!.. "ურ-უა-ხი-დ(ი)" უდრის: **"ურის ხალხი, ძენი და ქალნი"; "ურ"**-ქალაქი, რომელიც ჩაიძირა, **"უაა"-"ბევრი"** – **"ა-უაარება"** (იგულისხმება შუამდინარეთის ქარდუს ხალხი), უფრო სწორად, ხალხის **"ხი"** და **"დ(ი)"** – **"ხი"** – **"ძე"**, (ძველიბერიული), **"დი"-"ქალნი"**; ესე იგი **"ურის ხალხი – ძენი და ქალნი"...**

"რას" (მზეს), "სუას" – **"სუ"**-ს – წყლის ღვთაებას, **"მეას"** – ასევე ერთ-ერთ უპირველესს... თხოვნა-აღდგენაა

ჩაძირული ქალაქისა, რაც ხმელთაშუა ზღვის შემოგარენში არაერთგზის მომხდარა!!!

"ო! უსმანა!" – "ო, როდემდე" (ძველიბერიულად), მაგრამ აქ არ ჩერდებიან: **"ანა ანა რა ნანა, ანა ანა რა ნანა",**

მოხმობილი არიან ღმერთთან **"ახლოს მყოფი"** ღვთაებები...

"საყვედურით": "ო, როდემდე?!" – "ო, უსმახა?!". ებრაელებს ქართველები **"ურ-ი-ას"** ვუხმობთ – ურიდან ჩამოსულებს, რაც გალობის ტექსტის დადასტურებაცაა...

ესე იგი, მოხდა შემდეგნაირად: 7.000 წლის წინ წარღვნით განდევნილი კავკასიელები ხმელთაშუა ზღვის აუზში მოხვდნენ და იქ დაფუძვნდნენ, რაღაც 700 წლის შემდეგ მოხდა ეს ტრაგედია და **"ურ-ების"** ნაწილი დაუყოვნებლივ დაუბრუნდა ძველ საცხოვრისს, რომელზეც გადმოცემით იცოდნენ. ასევე შექმნეს თავიანთი მთავარი საცხოვრისი **"ისრაელი" – "ი-სუ-რა-ელი" – "მზის" ("რა") და "წყლის" ("სუ")** პატივსაცემად შექმნილი ქვეყანა. თვით სიტყვა **"ებრაელი"** ნიშნავს **"ე-ბო-რეა-ელე"**-ს. **"ძე" ("ბო")** რეა და ელე ღვთაებებისა...

ურიდან ჩამოსული ხალხის ამბავი აქ არ დამთავრებულა – მათ საფუძველი ჩაუყარეს **"ურ-არტუ"**-ს – პირველ სახელმწიფოს **"აია"**-ს შემდეგ და **"ივერია"** უწოდეს. ენაც შექმნეს – **"ივრიტი"**, რაც **"ივერიათი"**-ს ნიშნავს – ივერიის ჯიშის... **"თი-ჯიში"** – წარმომავლობის მაჩვენებელია...

"ივერია" მოდის **"იბერიიდან"** (პირველი 9.000 წლის წინანდელი საცხოვრისი კავკასიაში...). როგორც ყველაფრიდან ჩანს, ებრაელი ხალხის ასაკი შორეული წარსულიდან იწყება და იბერიის ჩასახვას უნდა დაუკავშირდეს, სადაც ათზე მეტი ტომი იყრიდა თავს და ერთ-ერთი მათ შორის სწორედ ებრაელები იყვნენ...

ამ აზრს ზურგს უმაგრებს ისიც, რომ **"აიდნ"** ებრაელი ხალხის თვითსახელწოდებაა, რაც **"აია"**-დანს ნიშნავს... აიელს...

ი. კვეკვესკირი,
თბილისი-სოხუმი

ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐ “ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲨᲔᲣᲜᲓᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡ“ ᲓᲐ “ᲜᲐᲢᲝ ᲛᲐᲙᲘᲐᲟᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ“

2013 წლის 10 აპრილს, ძველი თბილისის ცენტრში – ოტელ **„ამბასადორში“** (Ambassador Hotel in Tbilisi) საერთაშორისო ორგანიზაცია **„ისტორიულმა მემკვიდრეობამ“** მის მიერ ახლად გამოცემული ორი წიგნის – **“დემოკრატიის სახელით: “ღმერთო, იხსენ ამერიკა“** და **“დემოკრატიის სახელით: “ნატო მაკიაჟის გარეშე“** პრეზენტაცია ჩაატარა. გარდა ამისა, პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო გაზეთ **“საქართველო და მსოფლიოს“** საიუბილეო მე-200 ნომერი.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ გამოცემული წიგნების სარედაქციო კოლეგიების წევრები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ექსპერტები, პოლიტოლოგები, პოლიტიკოსები, მათ შორის – სხვადასხვა პარტიის ლიდერები, საზოგადო მოღვაწეები და დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

პრეზენტაციამ თბილ გარემოში და საინტერესო საუბარში ჩაიარა, მოწვეულმა სტუმრებმა ახალგამოცემული წიგნების თემატიკის თაობაზე თავიანთი აზრი გამოთქვეს.

წიგნში **“დემოკრატიის სახელით: “ნატო მაკიაჟის გარეშე“** ავტორიტეტულ უცხოურ გამოცემებზე (**The Guardian, Washington Post, Time, International Herald Tribune, The New York Times, Newsweek, Asia Times** და სხვ.) დაყრდნობით თავმოყრილია მასალა იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ და რას ფიქრობენ ნატოზე საზღვარგარეთ და რას წერენ ამ ორგანიზაციაზე უცხოელი ჟურნალისტები, პოლიტოლოგები, ფილოსოფოსები, ავტორიტეტული და კვალიფიციური ექსპერტები. როგორც გამოცემის ავტორები აღნიშნავენ, წიგნის მიზანია – საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს ნატოს მოღვაწეობის რეალური მიზნებისა და შედეგების შესახებ.

რაც შეეხება წიგნს **“დემოკრატიის სახელით: “ღმერთო, იხსენ ამერიკა“**, აქ თავმოყრილია მთელი სიმართლე ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომელსაც დამოუკიდებელი ჟურნალისტები, მკვლევარები, უფლებადამცველები და სხვა ავტორიტეტული ექსპერტები წერენ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს მასალა გაცნობისას უფრო შეგაძრწუნებთ, ვიდრე მიგიზიდავთ, რადგან აცამტვერებს მითს იმის შესახებ, რომ აშშ **“მიწიერი სამოთხეა“...** წიგნში გაერთიანებულია მასალები, რომლებიც სხვადასხვა გავლენიან უცხოურ გამოცემაში (**The New Yorker, Associated Press, Foreign Policy, BBC.co.uk** და სხვ) გამოქვეყნდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“** თავმჯდომარე **ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲑᲐᲒᲜᲘᲫᲔ:** ჩვენმა ორგანიზაციამ გამოსცა წიგნები იმ თემაზე, რომელზეც საქართველოში არ ლაპარაკობენ – ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის რეალური მიზნები და შედეგები, რომლებსაც იღებს იმ ქვეყნებში, სადაც **„შედის“,** და ნატოს რეალური სახე, რომელიც დეკლარირებულია, როგორც თავდაცვითი პოლიტიკური ბლოკი, სინამდვილეში კი მისი მიზნები სრულიად სხვა გახლავთ – ნატო ე.წ. **„ოქროს მილიარდის ჟანდარმის“** ფუნქციის მატარებელია და მისი საქმიანობა ძალიან შორს დგას თავად ბლოკის მიერ დეკლარირებული მიზნებისაგან.

აღნიშნული წიგნები იმ პუბლიკაციების კრებულია, რომლებიც დროდადრო იბეჭდებოდა გაზეთში **„საქართველო და მსოფლიო“.** გადავწყვიტეთ, ამ მასალისთვის წიგნებში მოგვეყარა თავი. გამოცემების მიზანი საზოგადოების გათვითცნობიერება გახლავთ. გვინდა, მოქალაქეებმა იცოდნენ, თუ რასთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, ისევე, როგორც სააკაშვილის მთავრობის, ახალი ხელისუფლების საგარეო კურსიც ნატოზე და ევროკავშირზე არის ორიენტირებული, იმ დროს როდესაც საზოგადოება არანაირ ინფორმაციას არ ფლობს მათ შესახებ. აღნიშნული წიგნების გამოცემით ჩვენ შევეცადეთ პირველი ნაბიჯები გადაგვედგა ამ მიმართულებით და ობიექტური ინფორმაცია მიგვეწოდებინა ქართული საზოგადოებისათვის, რომელსაც ხელისუფლება არ ეუბნება, თუ რატომ მიისწრაფვის ქვეყანა ნატოსკენ, რა შედეგები მოჰყვება ამ პროცესს და ა.შ.

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (მოძრაობა **“თეთრების“** ლიდერი): სააკაშვილის **“ნაციონალთა“** ხელისუფლებამ ქართველ ხალხს შესთავაზა ისეთი ამერიკა, რომელსაც თვითონ ამერიკელები არ იცნობენ! ჩემი აზრით, საქართველოს საგარეო პოლიტიკა ზომიერი უნდა იყოს. ჩვენ ყველა ქვეყანასთან კარგი ურთიერთობა გვჭირდება – ლანძღვის პოლიტიკა საშინელებაა... გვეუბნებიან, რომ ევროპულ პარტიებს მოწიწებით უნდა ველაპარაკოთ, ხოლო რუსეთს უნდა ვაგინოთ – ეს ხომ დიდი შეცდომა და სისულელეა?! ის, რაც რუსეთთან მოგვივიდა, არ უნდა დაგვემართოს სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა გავაფეტიშოთ არც ამერიკა, არც რუსეთი და არც ევროპა. საქართველოში ნატოს ქება და რუსეთის ლანძღვა ხელისუფლების მოპოვების ინსტრუმენტად იქცა, რადგან ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ლანძღვა **„კარგად იყიდება“.** ნატოს აქებენ არა იმიტომ, რომ მოსწონთ, არამედ იმიტომ, რომ ეს რიტორიკაც **„კარგად იყიდება“.** როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობდა, პოლიტიკურად გაცნობიერებული ხალხი ყველაზე სწორ გადაწყვეტილებას იღებს. ხალხს უნდა ჰქონდეს რეალური და ზუსტი ინფორმაცია. ამიტომ მივესალმები აღნიშნულ თემატიკაზე ამ უნიკალური წიგნების გამოცემას და წარმატებებს ვუსურვებ შემოქმედებით კოლექტივს!.

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲐᲛᲠᲐᲫᲔ (მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, ყოფილი პარლამენტარი): ვფიქრობ, **„ისტორიული მემკვიდრეობის“** მიერ ამ თემატიკის წიგნების გამოცემა ძალზე დროული და საჭირო იყო. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს და ნატოს, მინდა გითხრათ, რომ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ დაშვებული იქნა სერიოზული შეცდომები, რომლებზეც ბევრს წერენ ამერიკელი პოლიტოლოგები. თუ სხვა პრეზიდენტების ადმინისტრაციები მნიშვნელოვან საკითხებს მთელ მსოფლიოს უთანხმებდნენ, კონსენსუსს აღწევდნენ და გაეროს მანდატით მოქმედებდნენ, ჯორჯ ბუშის შემთხვევაში ეს დაირღვა და ამერიკა მოქმედებდა, როგორც ერთადერთი პოლუსი მთელ მსოფლიოში, რამაც მძიმე შედეგები გამოიღო. რაც შეეხება ნატოს, 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მიერ განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის შემდეგ (რომელიც ნატოს წევრმა ქვეყნებმა დაგმეს), საქართველოსთვის ნატოს კარი განუსაზღვრელი დროით ჩაირაზა.

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი): ვფიქრობ, საზოგადოება ყოველთვის მაქსიმალურად ინფორმირებული უნდა იყოს. დემოკრატიის ძირითადი ფასეულობა სწორედ ინფორმაციის მისაწვდომობაა. **“ისტორიული მემკვიდრეობის“** მიერ გამოცემული წიგნები (ისევე, როგორც ამ ტიპის სხვა გამოცემები) საზოგადოებას ობიექტურ ინფორმაციას აწვდის კონკრეტულ საკითხებზე, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძალზე მნიშვნელოვანია. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ყველა სახის სარწმუნო ინფორმაცია და შესაძლებლობა – დასკვნები თავად გამოიტანოს. ამიტომ ეს წიგნები ამისათვის შესანიშნავი საშუალებაა!

ᲓᲔᲛᲣᲠ ᲑᲘᲝᲠᲮᲔᲚᲘᲫᲔ (ეკონომიკის ექსპერტი, ყოფილი პარლამენტარი – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ხელმძღვანელი): საქართველოში ნატოს შესახებ ძალზე ცოტა რამ იციან. ამ ბლოკს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, რომლებზეც დასავლეთში ღიად ლაპარაკობენ. ჩვენს ქვეყანაში არ არის ჯანსაღი საზოგადოება, რომელშიც ასეთ მნიშვნელოვან თემებზე იმსჯელებენ – საქართველოში მხოლოდ შტამპები გვაქვს... კარგია, რომ ამ თემებზე მეტად ინფორმაციული წიგნები გამოიცა – ეს დაეხმარება ადამიანებს, რომ ამ საკითხებს სხვადასხვა კუთხით შეხედონ.

გაზეთ **“საქართველო და მსოფლიოს“** მთავარი რედაქტორი **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲜᲓᲣᲐ**: მოგეხსენებათ, ზოგადად მედიას მიმართ წინა ხელისუფლების (სააკაშვილის მთავრობის) 9-წლიანი ბრუტალური მიდგომის ფონზე უამრავი ინფორმაცია სერიოზულად იფილტრებოდა და საზოგადოებას ხშირად მხოლოდ ცალმხრივი რაკურსით მიეწოდებოდა. ჩვენი გაზეთი **“საქართველო და მსოფლიო“** იყო ერთ-ერთი იმ იშვიათ წყაროთაგან, სადაც ალტერნატიული ინფორმაცია ყოველთვის მისაწვდომი იყო.

დღეს პრეზენტაციაზე **“საქართველო და მსოფლიოს“** მე-200 ნომერია წარმოდგენილი. დაფუძნების შემდეგ 4 წლის განმავლობაში ჩვენმა გაზეთმა ძალიან რთული პერიოდი გაიარა – მედიის მიმართ წინა ხელისუფლების დამოკიდებულების გამო გაზეთის არსებობას რამდენჯერმე დაემუქრა საფრთხე – ორჯერ დაგვარბიეს, გაგვძარცვეს და სხვადასხვა მეთოდით გვებრძოდნენ, მაგრამ ჩვენ ეს ეტაპი დავძლიეთ და **“საქართველო და მსოფლიო“** აქტიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.

ᲑᲘᲕᲘ ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი):

გავეცანი არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“** მიერ გამოცემულ წიგნებს და მინდა გითხრათ, რომ აქ აშკარად ჩანს, თუ ვინ არის საქართველოს მტერი და ვინ – მოყვარე! დღეს დიდი აგიტაცია მიდის ნატოს შესახებ და აღნიშნული წიგნების გამოცემა დროული იყო, რათა საზოგადოებამ საკითხის მეორე, **“ჩრდილოვანი“** მხარეც დაინახოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქართველმა ახალგაზრდება მიიღონ ინფორმაცია ნატოს და იმ საეჭვო საქმეების შესახებ, რომლებსაც აშშ სჩადის სხვადასხვა ქვეყანაში. წიგნების გაცნობის შემდეგ მკითხველი ამერიკის და ნატოს რეალურ სახეს დაინახავს!.

რეპორტაჟი პრეზენტაციიდან
მოამზადა ᲜᲐᲢᲐ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲛᲐ
ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

ᲙᲐᲛᲔᲩᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲜ?!

“ᲫᲠᲝᲮᲐ ᲜᲔᲛᲡᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲛᲮᲐᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲩᲐᲘᲓᲝᲛ?“

“სამეგრელოს რეგიონში გამალებული ქურდობაა. ხალხს ბოსლებიდან, ეზოებიდან ჰპარავენ პირუტყვს, უზარმაზარი კამეჩები თვალის დახამხამებაში ქრებიან. პოლიციას თავის შეწუხება არ უნდა ქურდების დასაჭერად. ამიტომაც ვეჭვობთ, რომ სამართალდამცველები ყაჩაღებთან არიან შეკრული. მოგვხვედოს თბილისიდან ვინმემ, თორემ დაგვექცა ოჯახები!“ – დაგვირეკეს სენაკიდან და ჩვენც სამეგრელოს ვესტუმრეთ.

ადგილზე ჩასულს, გლეხების ორი კატეგორია დამხვდა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ პირუტყვის ქურდობა არჩევნებამდე მძვინვარებდა. მეორენი ამბობდნენ, კრიმინალმა არჩევნების შემდეგ იმატაო.

სორდელ **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲫᲐᲚᲐᲕᲐᲡ** ოთხი კამეჩი სწორედ არჩევნების დღეს, პირველ ოქტომბერს დამით ბოსლიდან მოჰპარეს. ამავე სოფლელ, ინვალიდ ნუგზარ ცაგურიას კი 2 ნოემბერს ორი დღე-დღეზე მოსაგები კამეჩი ეზოდან ააცალეს. ალიოშა ბჟალავას თქმით, პირუტყვის ქურდობა 2008 წლის ბოლოს დაიწყო – დღემდე მხოლოდ ერთ სოფელში 250 სულზე მეტი დაიკარგა.

ᲐᲚᲘᲝᲨᲐ ᲑᲫᲐᲚᲐᲕᲐ: – 2008 წლის მიწურულს რვა ცხენი მოიპარეს სოფლიდან, მათ შორის ხუთი ჩემი იყო. დილით გაქრნენ ცხენები. დიახ, გაქრნენ. აქვე, ეზოსთან ძოვდნენ, მოვიხედე და აღარც ერთი აღარ იყო. ამდენი ცხენი რომ გააჭენო, ფეხის ხმას ხომ მაინც გაიგებ? მეზობელს 19 სული საქონელი მოჰპარეს. კაცი პოლიციაში განცხადებას რომ შეიტანდა, რამდენიმე დღეში ისევ ჰპარავდნენ საქონელს, თითქოს პოლიცია და ქურდები ერთად დასცინოდნენ. პოლიცია დაგვცინოდა, საძოვარზე გადენის შემდეგ დაკარგული საქონლის ასავალ-დასავალი ჩვენ როგორ მოვიკითხოთ, თუ გინდა არ დაგეკარგოს, სახლში უნდა გყავდეს ჩაკეტილიო. ხალხმა პოლიციის იმედი დაკარგა და საჩივრებიც აღარ შეჰქონდათ. ჩვენი ძალებითაც ვერაფერს გავხდით.

აგერ, სახლის უკან მყავდა ორი კამეჩი. ეზოში ვმუშაობდი, კამეჩებს გამოვხედე და აღარ იყვნენ. ვერ გამიგია, კვალის დაუტოვებლად როგორ წაიყვანეს. ქურდები, ძირითადად, დეკემბერსა და მარტში აქტიურდებოდნენ, ალბათ, წინასაახალწლოდ და აღდგომის დღესასწაულის მოახლოებისას. ახლა აპრილში ველით მათ გამოჩენას, მაგრამ პოლიცია ფხიზლობს და არა მგონია, ისევ გაბედონ გამოჩენა. საწყალ ჩემს მეზობლებს – ელიავას, ბესელიას, ჩიქობავას – რამდენიმე სული საქონელი ერთდროულად მოჰპარეს, მაგრამ ჯერ კაცი არ არის დაკავებული. პოლიციაში ჰყავთ მფარველები, თორემ აქამდე რა უნდოდა მაგ ხალხის დაჭერას? მარტო ის არ არის საქმე, ქურდობა აილაგმოს. უნდა დაიჭირონ დამნაშავეები და ზარალი უნდა აანაზღაურებინონ.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲪᲐᲑᲣᲠᲘᲐ: – ნოემბერში კამეჩები რომ მოგვპარეს, ჩემმა ცოლმა სენაკის პოლიციაში საჩივარი შეიტანა, დაჰპირდნენ, ახალ წლამდე ვიპოვით დაკარგულ პირუტყვსო, მაგრამ საქმის გამოსაძიებლად არავინ მოსულა. მეუღლეს საქონლის დამახასიათებელი ნიშნები გამოჰკითხეს და ეგ იყო. შემთხვევის ადგილი არ უნდა დაეთვალიერებინათ? ეზოდან წაასხეს კამეჩები. ჩემი საქონელი ვინც წაიყვანა, სავარაუდოდ, ნაქურდალი ცხენებით იყო მოსული, ორი ვეებერთელა კამეჩის ხელში მოგდების შემდეგ ცხენზე შემომჯდარს ეტყობა, მეორე ცხენი ეზედმეტა და ჭალაში დატოვა. დადის დღემდე ის ცხენი მარტო, პატრონი არ ჰყავს. ვერავინ ბედავს მის სახლში მოყვანას, გვეშინია, რომ ნაქურდლის მითვისება დაგვბრალდება. ვინ იცის, საიდან მოჰყავდა იმ ღვთის პირიდან გადავარდნილს. ასე უპატრონოდ მოლაყუნეს კი მგელი შეჭამს ალბათ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, სამეგრელოს რეგიონში პირუტყვის ძარცვის გამო გართულებული კრიმინოგენული სიტუაციის დასარეგულირებლად შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საგანგებო ღონისძიებების ჩატარება ბრძანა და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის მთავარ სამმართველოს საქმის განსაკუთრებული კონტროლი დაავალა. გამოძიების კონტროლი დაევალა აბაშის სამმართველოს უფროს გურამ ჭანტურიასაც.

– მხოლოდ ქურდები კი არა, რეალიზატორებიც მონაწილეობენ ამ ძარცვაში. მათი იმედი აქვს ქურდს და იმიტომ იპარავს. ამიტომაც დავიბარეთ და გავაფრთხილეთ, რომ საბუთების გარეშე შეძენილი საქონელი ჩამოერთმევათ და დაიწყება მოკვლევა. თუ რეალიზატორი იტყვის, პირუტყვი გლეხისგან ვიყიდეო, გლეხსაც და მასაც საბუთი უნდა ჰქონდეთ. სხვანაირად კონტროლი არ გამოვა.

წინა ხელისუფლების პირობებში პოლიციას საქონლის ქურდობა არ ანაღვლებდა, ამიტომაც ხალხს მიაჩნდა, რომ დამნაშავეებთან იყვნენ შეკრული. მეც მომპარეს საქონელი, მაგრამ არც ის ფაქტი გახსნილა და არც სხვა გამოუძიებიათ. ოთხი წლის განმავლობაში ერთი ძროხის ქურდი არ არის დაკავებული, არადა, ძროხა ნემსი ხომ არ არის, ჯიბეში ჩაიდო. მხოლოდ აბაშის რაიონში 2012 წლის იანვრიდან ნოემბრამდე 23 ფაქტია რეგისტრირებული. ერთ საქმეში შესაძლოა იყოს ორი ან მეტი საქონელი. საჩივრების მიხედვით ას სულამდეა დაკარგული. ამას დაუმატეთ ფაქტები, რომელთა შესახებ პოლიციისადმი უნდობლობის გამო არ განაცხადეს გლეხებმა.

– თქვენ დაიჭირეთ ქურდები?

– ორი ქურდი დავიჭირეთ, ერთს უკვე დაკლული ცხენი ბათუმში მიჰქონდა სარეალიზაციოდ, მეორეს ცოცხალი აღმოვუჩინეთ. ბათუმის სამმართველომაც დაიჭირა ყოფილი პატიმარი, ძროხის ქურდი, გვარად დანელია, რომელმაც უშობელი მოჰპარა გლეხს. საქონლის ქურდებს ასეთი სქემა აქვთ: ერთდროულად მოქმედებენ სხვადასხვა რეგიონში და მერე ნაქურდალს ცვლიან, რომ სამეგრელოში იმერლის ან გურულის პირუტყვი ვერ იცნონ... ამიტომაც ჯერ ვერ დავადგინეთ, ქურდის დაკავებისას ჩამორთმეული ცხენი ვის ეკუთვნის. სანამ პატრონს მივაკვლევთ, იპოდრომს მივაბარეთ აბაშაში.

p.s. ***სენაკში ისიც თქვეს, “ნაციონალები“ გაძარცულ გლეხებს სთავაზობენ, მოპარულ და დაკლულ საქონელს ვერ დაიბრუნებთ, ჩვენ კი ფულს მოგცემთ და თქვით, რომ კრიმინალმა არჩევნების შემდეგ იმატაო. თუმცა ასეა თუ ისე, გლეხს თავის ავლა-დიდება ურჩევნია პოლიტიკას და დროა, პოლიციამ ხელი გამოიღოს.***

Ე. ᲚᲝᲛᲘᲫᲔ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ოპტიმალური გამოსავალი: კობიაშვილს და იაშვილს ნოემბერში გავაცილებთ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 4 აპრილს ოფიციალური განცხადება გაავრცელა:

ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება:

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოხატავს გულწრფელ მადლიერებას ყველა იმ ფეხბურთელის მიმართ, ვინც წლების მანძილზე ერთგულად იცავდა ეროვნული ნაკრების ღირსებას და სიამაყით ატარებდა ნაკრების ფორმას.

ჩვენმა ფეხბურთელებმა ქართველ ერთგულ გულშემატკივარს არაერთი დასამახსოვრებელი წუთი აჩუქეს. მათ ბევრი რამ გააკეთეს ეროვნული ნაკრებისათვის.

სწორედ ამიტომ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2013 წლის ნოემბერში, როცა ეროვნული ნაკრები საშინაო ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს, მოეწყობა იმ ფეხბურთელების ოფიციალური, საზეიმო გაცილება, რომლებმაც მიმდინარე სეზონში საკუთარი სურვილით განაცხადეს ხანგრძლივი სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ.

საზოგადოებას და გულშემატკივარს მიეცემა საშუალება, კიდევ ერთხელ იხილონ გამორჩეული ფეხბურთელები ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და ყველამ ერთად, მადლობითა და მხურვალე ოვაციით გავაცილოთ ისინი ქვეყნის უპირველესი გუნდიდან.

ვიმედოვნებთ, რომ ეს დღე ყველასათვის დაუვიწყარი იქნება.

ვფიქრობთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ეს განცხადება ბოლო დღეების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საფეხბურთო თემის ლოგიკური გაგრძელება და პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზაა.

შეგახსენებთ, სოციალურ ქსელ **"ფეისბუქის"** მეშვეობით ჯერ ლევან კობიაშვილმა, შემდეგ კი ალექსანდრე იაშვილმა სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადეს და გულისტკივილი გამოთქვეს იმის გამო, რომ გულშემატკივრებთან დამშვიდობების საშუალება არ ეძლეოდათ.

ვერ გეტყვით, ჰქონდათ თუ არა ჩაფიქრებული **სფფ**-სა და ნაკრების თავკაც თემურ ქეცბაიას მათი გაცილება, მაგრამ ახლა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს.

მთავარია, რომ ნოემბერში კობიაშვილს, იაშვილს და შესაძლოა, კიდევ რომელიმე ვეტერანს ქართველი გულშემატკივარი თბილისში უკანასკნელად იხილავს ნაკრების მაისურით და ეროვნული გუნდისთვის გაწეული სამსახურის გამო ისინი კუთვნილ მადლობასა და აპლოდისმენტებს მიიღებენ.

დაგვეთანხმებით, ეს მეტად იოლად განსახორციელებელი საქმეა და უმჯობესი იქნებოდა, საქვეყნოდ გავრცელებული ეს წესი საქართველოში უფრო ადრე დანერგილიყო.

თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და იმედია, დამსახურებული ვეტერანების გაცილება ქართული საფეხბურთო კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

თბილისის "დინამოდან" ბაქოს "ინტერში" გადასული რობერტინიო გასახდელში სცემეს

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია: თბილისის **"დინამოს"** ყოფილ გარემარბს, 24 წლის რობერტინიოს (რობერტო სოარეშ ანგინეტი) სეზონის ბოლომდე უქმობა მოუწევს.

არადა, ეს უაღრესად სწრაფი და ტექნიკური ბრაზილიელი ფეხბურთელი სულ ახლახან აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, ბაქოს **"ინტერში"** ლამის კონკურსგარეშედ ჩაირიცხა.

რობერტინიოსა და აზერბაიჯანის ყველაზე ქართული კლუბის მეგობრული **"ურთიერთობა"** თურქეთში დაიწყო, სადაც **"ინტერი"** ზამთრის მოსამზადებელ შეკრებას გადიოდა და ბრაზილიელი თავდამსხმელიც, ფაქტობრივად, შეკრების ბოლო დღეს მივიდა კახა ცხადაძისა და ზაურ სვანაძის (**"ინტერის"** მწვრთნელები) გუნდში.

არ დაგვავიწყდეს, რომ რობერტინიო არც თბილისის **"დინამოს"** გაჰყოლია თურქულ შეკრებაზე და **"ინტერში"** ისე მივიდა, მოსამზადებელი პერიოდი არ ჰქონდა გავლილი.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ თბილისის **"დინამოდან"** თავისუფალი აგენტის სტატუსით წასული რობერტინიო ბაქოს **"ინტერში"** მაისის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო. აზერბაიჯანის ჩემპიონობისათვის მებრძოლი გუნდის ქართველი მწვრთნელების გათვლაც გამართლებული იყო: სეზონის მსვლელობისას გუნდის ორმა ფორვარდმა, 32 წლის გიორგი ადამიამ და 31 წლის ტალეს შუტცმა ტრავმები მიიღეს და რობერტინიოს მათი სრულფასოვანი თუ არა, ნაწილობრივ შეცვლა უნდა მოეხერხებინა.

თუმცა, ამის გარდა **"ინტერში"** ისედაც მძაფრი კონკურენცია იყო, ზამთრის მოსამზადებელი შეკრების გაცდენამაც უარყოფითი როლი ითამაშა, თვითონ რობერტინიომაც (ისე როგორც – თბილისის **"დინამოში"**) მაქსიმალურად არ მოინდომა და აი, **"ინტერისა"** და მისი ხანმოკლე ურთიერთობა, ფაქტობრივად, დასრულებულია.

თუმცა, ამ ყველაფერზე გავლენა ერთმა ფაქტმაც მოახდინა: 3 მარტს, **"ყარაბაღთან"** უპრინციპულეს მატჩში კახა ცხადაძემ რობერტინიო შეცვლაზე შეიყვანა (64-ე წუთზე გუნდის საუკეთესო ბომბარდირის ბაჩანა ცხადაძის ნაცვლად).

ეს მატჩი ფრედ, 0:0 მორჩა, მაგრამ მთავარი მოვლენები გასახდელში განვითარდა: მასპინძელთა კაპიტანის, რაშიდ სადიქოვის ძმამ და კიდევ ერთმა უცხო პირმა, რობერტინიოს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს!

რა თქმა უნდა, **"ჩვენებურ"** ბრაზილიელს მაშინათვე გამოექომაგნენ **"ინტერის"** ქართველი ფეხბურთელები და სხვა თანაგუნდელები, შემდეგ კი უკვე სამართალდამცავების მცდელობით, ხელჩართული ჩხუბი, როგორც იქნა, გაშველებით დამთავრდა.

თურმე, მატჩის ბოლოს, ერთ-ერთ ეპიზოდში სადიქოვსა და რობერტინიოს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მომხდარა და მასპინძლებმაც ასე დააპირეს **"შურისძიება"...**

აი, ეს იყო რობერტინიოს პირველი და ბოლო მატჩი **"ინტერის"** შემადგენლობაში.

არადა, ეს სეზონი მისთვის მართლაც დანავსულია: პირველ ეტაპზე თბილისის **"დინამოს"** შემადგენლობაში 14 მატჩი ჩაატარა და ყველა შემთხვევაში... შეცვლაზე შემოდიოდა!

შეგახსენებთ, რომ რობერტინიო **"დინამოში"** 2009/10 წლების სეზონში ჩაირიცხა და უმაღლეს ლიგაში 72 ჩატარებულ შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი

ჩვენი სამხრეთელი მეზობლებისათვის ველოსიპედი საშიში ტრანსპორტია

თბილისში, ელბაქიძის დაღმართზე სეირნობისას, სწორედ ავარიამ იმსხვერპლა ველოსიპედზე ამხედრებული რევოლუციონერი **"კამო"** ტერ-პეტროსიანი.

ახლახან კი, კინაღამ ველოსავარიამ იმსხვერპლა კამოს თანამემამულე და **"თანამოაზრე"** მიხეილ სააკაშვილი!

როგორც თურქული სააგენტო იუწყება, სააკაშვილი ველოსიპედით სეირნობისას საავტომობილო გზაზე გადავიდა და ტრაილერს შეეჯახა. მას, ხელის მოტეხილობის გარდა, სხვა დაზიანებებიც აღენიშნება.

საქართველოს პრეზიდენტი სტამბულის საავადმყოფოში მკურნალობს. არსებული ინფორმაციით მან ხელი მოიტეხა. მომხდარის გამო თურქეთში პრეზიდენტის მონაწილეობით დაგეგმილი ღონისძიებები გადაიდო.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პრეზიდენტის დაშავების შესახებ ინფორმაცია დაადასტურა.

"შეხვედრები, მათ შორის, შეხვედრა და სადილი თურქეთის პრეზიდენტთან, რომლებიც ორშაბათისთვის იყო დაგეგმილი, გაიმართება სამშაბათს. აღნიშნული შეხვედრების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი დატოვებს თურქეთს", – აცხადებენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

მიხეილ სააკაშვილის დაშავების შესახებ არაოფიციალური ინფორმაცია 8 აპრილს გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს პრეზიდენტი ანტალიაში ველოსიპედით სეირნობისას ტრაილერს შეეჯახა. ამ შემთხვევის შემდეგ იგი ანტალიიდან სტამბულში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე რთული ოპერაცია გაუკეთეს.

გამოვიდა

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ "აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი.

მთავარი რედაქტორი გიორგი სიჯინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან. თბილისში – ტაშკენტის ქ. №28, I სადარბაზო, ბინა, 1.

ფასი 4 ლარი

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: თემურ ძორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაქაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge